

# ინტეგრირებული ანგარიში 2025

---

## ჩვენ შესახებ

სააქციო საზოგადოება მიკრობანკი „კრისტალი“ საქართველოში წამყვანი ფინანსური ჩართულობის ორგანიზაციაა. „კრისტალი“ მართავს 566 მილიონიან საკრედიტო პორტფელს<sup>1</sup>. მის 48 ფილიალში დასაქმებული 1047 თანამშრომელი ქვეყნის მასშტაბით 85 ათასზე მეტ უნიკალურ მომხმარებელს ემსახურება. „კრისტალის“ მისიაა მეწარმეების კაპიტალით, ცოდნითა და უნარებით გაძლიერება, რათა მათ თავიანთი შესაძლებლობები საყოველთაო კეთილდღეობად გარდაქმნან. „კრისტალი“ ოპერირებს როგორც ეკონომიკური განვითარების პლატფორმა და მიკრო და მცირე მეწარმეებსა და ფერმერებს მათზე მორგებულ ინოვაციურ ფინანსურ პროდუქტებსა და მომსახურებას აწვდის. 2025 წელს საერთაშორისო კომპანია Scope Ratings-ისგან კრისტალმა საკრედიტო რეიტინგი B+ Stable მიიღო. გარდა ამისა, 2024 წელს კომპანიამ გლობალური სარეიტინგო სააგენტოს Microfinanza-საგან კლიენტების დაცვის ვერცხლის სერტიფიკატი მიიღო. საუკეთესო წლიური ანგარიშისა და გამჭვირვალობის კონკურსში BARTA „კრისტალი“ საქართველოში შვიდგზის გახდა ჯილდოს მფლობელი.

მეტი ინფორმაცია, ისე როგორც ანგარიშის ციფრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: <https://ir.crystal.ge/>

---

<sup>1</sup> მომხმარებლებზე გაცემული სესხებისა და იჯარაში წმინდა ინვესტიციების ჯამი, ძირითადად მიხედვით.

## შინაარსი

სტრატეგიული ანგარიში .....	3
მიმოხილვა .....	3
ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები .....	4
თავმჯდომარის განცხადება .....	5
გენერალური დირექტორის წერილი .....	9
მაკროეკონომიკა და ბაზრის მიმოხილვა .....	13
კორპორაციული სტრატეგია .....	22
ბიზნესმოდელი .....	24
ინვესტორებთან ურთიერთობა და დაფინანსება .....	28
ტექნიკური დახმარება 2025 წელს .....	30
რისკების მართვა 2025 წელს .....	31
გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობა .....	34
ადამიანები ჩვენს ორგანიზაციაში .....	37
ერთად მიღწეული წარმატება .....	40
ოპერაციების მართვა .....	42
ინფორმაციული ტექნოლოგიები .....	45
ინფორმაციული უსაფრთხოება .....	47
მმართველობითი ანგარიში .....	48
სამეთვალყურეო საბჭო .....	50
თავმჯდომარე .....	50
საბჭოს შემადგენლობა .....	51
სამეთვალყურეო საბჭოს წევრები .....	53
დირექტორთა საბჭო .....	56
კომიტეტების ანგარიშები .....	60

# სტრატეგიული ანგარიში

## მიმოხილვა

„კრისტალის“ მისიაა მეწარმეების კაპიტალით, ცოდნითა და უნარებით გაძლიერება, რათა მათ თავიანთი შესაძლებლობები საყოველთაო კეთილდღეობად გარდაქმნან.

კრისტალის ხედვაა გახდეს წამყვანი ბანკი, რომელიც მოემსახურება მიკრო და მცირე მეწარმეებს, კომერციული საქმიანობისა და სოციალური/გარემოსდაცვითი მდგრადობის პრინციპების დაცვით.

„კრისტალის“ სტრატეგიაა, გამოიყენოს არსებული ბრენდი, მომხმარებელთა ბაზა და ფილიალების ვრცელი ინფრასტრუქტურა და ამავდროულად, მოახდინოს შეთავაზებული პროდუქტის დივერსიფიკაცია, რაც მოიცავს შემნახველ დეპოზიტების, ფულადი გზავნილების, ვალუტის კონვერტაციის, მობილური ბანკის, საკონსულტაციო და ტექნოლოგიურ მომსახურების როგორც არსებული, ისე ახალი მომხმარებლისათვის შეთავაზებას, აქცენტით სოფლის მეურნეობის, მიკრო და მცირე მეწარმეების სეგმენტებზე.

„კრისტალი“ მართავს 566 მილიონიან საკრედიტო პორტფელს და 48 ფილიალში დასაქმებული დაახლოებით 1,047 თანამშრომლით ქვეყნის მასშტაბით 85 ათას უნიკალურ მომხმარებელს ემსახურება. „კრისტალის“ ინსტიტუციური აქციონერები არიან Incofin IM და Developing World Markets. კომპანიას აქვს გრძელვადიანი ურთიერთობა 25 პარტნიორთან, რომელთა შორისაც არიან საერთაშორისო საინვესტიციო ფონდები, ფინანსური ინსტიტუტები და ადგილობრივი კომერციული ბანკები.

## ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები

<b>წმინდა მოგება</b>		<b>უმოქმედო სესხები</b>	
$\Delta$	- 40.5%	$\Delta$	+ 0.65%
2025	13,474	2025	3.19%
2024	22,663	2024	2.54%
<b>მთლიანი აქტივები</b>		<b>რისკის ხარჯი</b>	
$\Delta$	+ 16.25%	$\Delta$	+ 1.91%
2025	669,902	2025	4.18%
2024	576,246	2024	2.27%
<b>სასესხო და სალიზინგო პორტფელი</b>		<b>ხარჯი შემოსავალთან მიმართებით</b>	
$\Delta$	+ 9.93%	$\Delta$	+ 0.78%
2025	565,900	2025	62.36%
2024	514,785	2024	61.58%
<b>მთლიანი კაპიტალი</b>		<b>ფილიალები</b>	
$\Delta$	+ 10.56%	$\Delta$	0.00%
2025	106,085	2025	48
2024	95,950	2024	48
<b>ROA</b>		<b>მომხმარებლები</b>	
$\Delta$	- 2.15%	$\Delta$	- 10.50%
2025	2.16%	2025	85,261
2024	4.31%	2024	95,260
<b>ROE</b>		<b>თანამშრომლები</b>	
$\Delta$	- 13.29%	$\Delta$	+ 4.08%
2025	13.34%	2025	1,047
2024	26.63%	2024	1,006

## თავმჯდომარის განცხადება

2025 წელს საქართველო განაგრძობდა საბანკო სექტორისათვის ხელსაყრელი მაკროეკონომიკური გარემოს უზრუნველყოფას რეალური მშპ-ს დაახლოებით 7.5%-იანი ზრდის ფონზე, რაც შიდა მოთხოვნამ, მომსახურების სფერომ, ტურიზმმა და საინვესტიციო აქტივობამ განაპირობა. გასული წლების გამორჩეულად მაღალ მაჩვენებლებთან შედარებით ზრდის ტემპის შემცირების მიუხედავად, ეს მაინც იყო რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი. წლის განმავლობაში გაიზარდა ინფლაციური ზეწოლა, წლის ბოლოს კი ინფლაციამ საქართველოს ეროვნული ბანკის 3%-იან სამიზნე მაჩვენებელს გადააჭარბა, რაც, მეტწილად, საგარეო ფაქტორებით და სურსათზე ფასებით იყო გამოწვეული. საპასუხოდ, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განაგრძო ფრთხილი მონეტარული პოლიტიკის გატარება - რეფინანსირების 8.0%-იანი განაკვეთი უცვლელად დატოვა, რამაც ხელი შეუწყო ფასების სტაბილურობას, ინფლაციის მოლოდინის გამყარებას და გაცვლითი კურსის სტაბილურობას.

ძირითადად შენარჩუნდა ფისკალური და საგარეო პოზიციების სიმტკიცე. სახელმწიფო ვალის მაჩვენებელი ზომიერ დონეზე, მშპ-ს დაახლოებით 35-36%-ზე შენარჩუნდა, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მართვად დონეზე დარჩა, ხოლო საერთაშორისო რეზერვები გაიზარდა, რამაც საგარეო ბუფერები გაამყარა. ამ გარემოში საბანკო სექტორმა შეინარჩუნა მაღალი კაპიტალიზაცია, ლიკვიდობა და მომგებიანობა; ამასთან, კრედიტების ზრდა მდგრადი ტემპით გაგრძელდა, ხოლო აქტივების ხარისხის მედეგობა უცვლელი დარჩა. საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები, მათ შორის, საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), საქართველოს საშუალოვადიან პერსპექტივას დადებითად აფასებენ და, ამავდროულად, ყურადღებას ამახვილებენ რისკების ფრთხილი მართვისა და სტრუქტურული რეფორმების გაგრძელების მნიშვნელობაზე.

ამ ფონზე, 2025 წელს კრისტალმა დაბალანსებული შედეგები აჩვენა. 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, წმინდა მოგებამ 13.5 მილიონი ლარი შეადგინა. ეს შედეგი მიღწეულ იქნა თანმიმდევრული ბიზნესსაქმიანობის, რისკების რაციონალურად აღებისა და ხარჯების ფრთხილი მართვის წყალობით და არა ერთჯერად ეფექტებზე ან ბაზარზე არსებულ მოკლევადიან შესაძლებლობებზე დაყრდნობით. კაპიტალზე უკუგებამ (ROE) 13.3% შეადგინა, ხოლო აქტივებზე უკუგებამ (ROA) 2.2%-ს მიაღწია, რაც მომგებიანობის მდგრად დონეს ასახავს და შეესაბამება ბანკის კონსერვატიული რისკის მადას.

ხარჯების მკაცრი კონტროლი, რომელსაც ბანკი გრძელვადიანი გათვლით ახორციელებდა, მნიშვნელოვანი პრიორიტეტი იყო მთელი წლის განმავლობაში. საოპერაციო ხარჯები 6.8%-ით გაიზარდა, რაც, ძირითადად, ასახავდა მიზნობრივ ინვესტიციებს საინფორმაციო ტექნოლოგიების, კიბერუსაფრთხოების, რეგულაციებთან შესაბამისობისა და თანამშრომლების განვითარების მიმართულებით. ეს ინვესტიციები აუცილებელია უსაფრთხო, შესაბამისი და მომავლისათვის მომზადებული ორგანიზაციის შესანარჩუნებლად

და განხორციელდა ფინანსური დისციპლინის დარღვევის გარეშე. შესაბამისად, წინა წელთან შედარებით არ შეცვლილა ხარჯისა და შემოსავლის კოეფიციენტი, რომელმაც 62.4% შეადგინა. ეს ადასტურებს, რომ 2025 წლის თებერვალში ლიცენზირებულ მიკრობანკად გარდაქმნასთან დაკავშირებული ხარჯების ზრდა კომპენსირებულ იქნა ეფექტიანობის გაუმჯობესებით, მომსახურების ხარისხისა და შიდა კონტროლის გაზრდილი სტანდარტების შენარჩუნების პარალელურად.

ბანკის ფინანსური სიმტკიცე კვლავ მისი სტრატეგიის ქვაკუთხედი და მომხმარებლების, მარეგულირებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ნდობის აუცილებელი ელემენტია. 2025 წლის ბოლოს პირველადი კაპიტალის (CET1) კოეფიციენტი 14.98%-ს შეადგენდა, ხოლო მთლიანი კაპიტალის კოეფიციენტმა 19.09%-ს მიაღწია, რაც მნიშვნელოვნად აღემატება როგორც მარეგულირებელ მოთხოვნებს, ისე სამეთვალყურეო საბჭოს შიდა კაპიტალის სამიზნე მაჩვენებლებს. ლიკვიდობის მაჩვენებლები მყარად შენარჩუნდა: ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR) 1,700%-ს, ხოლო წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR) – 112.5%-ს შეადგენს, რაც ასახავს ბანკის საბითუმო დაფინანსების სტრუქტურას და მომხმარებელთა სტაბილურ, მზარდ სადეპოზიტო ბაზას. ეს მაჩვენებლები ბანკს სტრესულ სიტუაციებთან გამკლავებისა და არახელსაყრელ პირობებშიც კი მომხმარებლების მხარდაჭერის მნიშვნელოვან შესაძლებლობას აძლევს.

ძლიერი მმართველობა, რისკების ეფექტიანი მართვა და გამართული კონტროლის გარემო 2025 წელსაც ბანკის მთავარი პრიორიტეტი გახლდათ. ჩვენ განვაგრძეთ რისკების მართვის ჩარჩოს, სტრესტესტირების შესაძლებლობის, მონაცემთა ხარისხისა და ანგარიშგების პროცესების გაუმჯობესება; განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საკრედიტო რისკების კონცენტრაციას, საოპერაციო მდგრადობასა და ცვალებად მარეგულირებელ და საზედამხედველო მოთხოვნებთან შესაბამისობას. მარეგულირებლებთან თანამშრომლობა მთელი წლის განმავლობაში იყო კონსტრუქციული და გამჭვირვალე და ბანკმა დააკმაყოფილა ყველა საზედამხედველო მოთხოვნა და მოლოდინი.

2025 წელს ბანკმა მოიზიდა 230 მილიონი ლარის ოდენობის ახალი დაფინანსება წამყვან საერთაშორისო და ადგილობრივ ფინანსურ ინსტიტუტებთან პარტნიორობით, რათა საქართველოს მასშტაბით გაეზარდა ფინანსებზე ხელმისაწვდომობა. კაპიტალის ეს მობილიზება კომპანიის ისტორიაში წლიური დაფინანსების ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ეტაპი იყო და წარმოაჩინა „კრისტალის“ გადამწყვეტი როლი მცირე და საშუალო საწარმოების, მიკრომეწარმეების, ქალების, ახალგაზრდებისა და ფერმერების მხარდაჭერის მიმართულებით. ძირითად ოპერაციებს შორის იყო 10 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის ფინანსური რესურსი, მიღებული ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან (EBRD) და ევროპის საბჭოს განვითარების ბანკთან (CEB) გაფორმებული 8 მილიონი ევროს დაფინანსების ხელშეკრულება. კომპანიის კაპიტალის პოზიცია ასევე გააუმჯობესა Triple Jump-ის ფონდებიდან 7.5 მილიონი აშშ დოლარის სუბორდინირებული სესხის მიღებამ.

„კრისტალის“ მდგრადობასა და პასუხისმგებლიან საბანკო საქმიანობაზე ფოკუსირება 2025 წელს კიდევ ერთხელ იქნა აღიარებული საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ - ჩვენ მივიღეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (UN) ჯილდო. „კრისტალი“ აღიარებულ იქნა როგორც ბანკი, რომელმაც აჩვენა მდგრადობის პროცესებში ჩართულობის უმაღლესი დონე და რომელიც მუდმივად ხელს უწყობს ბიზნესისა და ფართო საზოგადოების წინსვლას მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის მიმართულებით. გარდა ამისა, „კრისტალი“ დასახელდა CAREC-ის 2025 წლის გენდერული თანასწორობისა და მწვანე ინოვაციების კონკურსის გამარჯვებულად. ეს არის საერთაშორისო კონკურსი, რომელიც ორგანიზებულია აზიის განვითარების ბანკისა (ADB) და ცენტრალური აზიის რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის (CAREC) პროგრამის მიერ გენდერული თანასწორობისა და მწვანე ინოვაციების სფეროში საუკეთესო ორგანიზაციების გამოსავლენად. კონკურსის მიზანი იყო იმ გამორჩეული ინიციატივების დაჯილდოება, რომლებიც ხელს უწყობს გენდერულ თანასწორობასა და ეკოლოგიურ მდგრადობას.

2025 წელს, „კრისტალის“ დაარსებიდან პირველად, აქციონერებმა აირჩიეს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი თავმჯდომარე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მენეჯმენტისა და ზედამხედველობის ფუნქციების მკაფიო გამიჯვნა, გაძლიერდეს აღმასრულებელი გუნდის საქმიანობის ობიექტური კონტროლი და დაცული იყოს ყველა აქციონერის გრძელვადიანი ინტერესები. თავმჯდომარის დამოუკიდებლობა ხელს უწყობს საბჭოს ეფექტიან ხელმძღვანელობას, რისკების მართვის მტკიცე სისტემასა და კონსტრუქციულ კრიტიკას მარეგულირებლის მოლოდინისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად.

სამეთვალყურეო საბჭო მთელი წლის განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდა პროცესებში, ახორციელებდა ზედამხედველობას, გასცემდა მითითებებს და უზრუნველყოფდა მენეჯმენტის კონსტრუქციულ კრიტიკას. ძირითადი პრიორიტეტები მოიცავდა კაპიტალისა და ლიკვიდობის ადეკვატურობას, რისკის მადის კალიბრირებას, ციფრულ ტრანსფორმაციას, სტრატეგიასა და ორგანიზაციულ მდგრადობას. გარდა ამისა, საბჭომ დიდი ყურადღება დაუთმო ორგანიზაციულ კულტურასა და ქვეყნის სტანდარტებს, რადგან აცნობიერებდა, რომ რისკების მართვის სათანადო კულტურა და ეთიკური სტანდარტები აუცილებელია ნდობის შესანარჩუნებლად და მდგრადი შედეგების მისაღწევად. საბოლოოდ, საბჭო დარწმუნებულია, რომ ბანკის მმართველობის სისტემა და ხელმძღვანელობის მოდელი შეესაბამება მის ზომას, სირთულესა და სტრატეგიულ მიზნებს.

ჩვენი თანამშრომლები კვლავ ბანკის ერთ-ერთ უმთავრეს ძალად განიხილებიან; 2025 წელს ჩვენ განვაგრძეთ ინვესტირება სწავლების, ლიდერობის განვითარებისა და სამუშაო გარემოს მოდერნიზების მიმართულებით, რაც ხელს უწყობს როგორც ეფექტიანობას, ისე თანამშრომელთა აქტიურობას. მომსახურებისა და კონტროლის მაღალი სტანდარტების შენარჩუნების პარალელურად, ჩვენი პერსონალის პროფესიონალიზმი და ერთგულება გადამწყვეტი იყო მნიშვნელოვანი შედეგების მისაღწევად.

მოსალოდნელია, რომ 2026 წელს საბანკო სექტორი კვლავ შეინარჩუნებს მყარ მაჩვენებლებსა და მდგრადობას. ამ მოლოდინს განაპირობებს ხელსაყრელი მაკროეკონომიკური ფონი, კაპიტალის ძლიერი ბუფერები და ეფექტიანი სარეგულაციო ზედამხედველობა. მზარდი ბალანსი, ერთგულ მომხმარებელთა ბაზა და მკაფიო სტრატეგიული ფოკუსი მტკიცე საფუძველს ქმნის მომავალი გამოწვევების დასაძლევად. ბანკის პრიორიტეტები უცვლელია: ფრთხილი და შერჩევითი ზრდა, რისკების კონსერვატიული მართვა, ადამიანურ რესურსებსა და სისტემებში ინვესტირების გაგრძელება და მომხმარებლების, მარეგულირებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ნდობის შენარჩუნება.

სამეთვალყურეო საბჭოს სახელით გულწრფელ მადლობას ვუხდით თანამშრომლებს თავდადებისა და პროფესიონალიზმისათვის, მომხმარებლებს - უწყვეტი ნდობისათვის, ხოლო მარეგულირებლებსა და პარტნიორებს - კონსტრუქციული ჩართულობისა და მხარდაჭერისათვის.

რობერტ ს. კოსმანი

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

## გენერალური დირექტორის წერილი

ძვირფასო აქციონერებო და პარტნიორებო,

გასული წელი კრისტალისათვის ერთდროულად გარდამტეხი და გარდამავალი იყო.

თებერვალში მიკრობანკის ლიცენზიის წარმატებით მოპოვების შემდეგ, 2025 წელი ამ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციის მომდევნო ეტაპს - „კრისტალის“ მართვის სისტემების, პროცესების, რისკების მართვის, პროდუქტების, ორგანიზაციული და მმართველობითი სტრუქტურების მიმართულებით ძირეული ცვლილებების განხორციელებას დაეთმო.

ლიცენზიის მიღებიდან ოთხი თვის შემდგომ, კრისტალმა საბანკო პროდუქტები და მომსახურება დაწერა. ამისათვის აუცილებელი გახდა მრავალი მიმართულებით კომპლექსური სამუშაოების პარალელურ რეჟიმში და კოორდინირებულად განხორციელება, რაც მოიცავდა რეგულატორულ მოთხოვნებთან შესაბამისობის, ტექნოლოგიური ცვლილებების, ოპერაციული მოდელის, პროდუქტების განვითარების და ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერებას. ცვლილებების წარმატებულად განხორციელების ტემპმა და ხარისხმა დაადასტურა განვითარების ის მაღალი დონე, რომელსაც ორგანიზაციამ გასული წლების განმავლობაში მიაღწია.

ამავდროულად, ჩვენ ვაგრძელებდით ძირითად ბიზნესზე და მომხმარებლებზე ორიენტაციას. „კრისტალის“ ფინანსური მდგრადობა კიდევ უფრო გამყარდა. მთლიანი აქტივები 669.9 მილიონ ლარამდე გაიზარდა, სესხების და ლიზინგის პორტფელმა 565.9 მილიონ ლარს მიაღწია, ჯამური საკუთარი კაპიტალი კი 106.1 მილიონ ლარამდე გაიზარდა. წმინდა მოგება 13.5 მილიონი ლარი შეადგინა, კაპიტალზე უკუგების (ROE) მაჩვენებელმა - 13.34%, ხოლო შემოსავალთან მიმართებით ხარჯეფექტურობის კოეფიციენტი (Cost to Income) - 62.36%-ს. აღსანიშნავია, რომ ეს შედეგები მიღწეულ იქნა იმ წელს, როცა ორგანიზაციას, იმავდროულად, უწევდა რეგულირებად მიკრობანკად ტრანსფორმაციის ხარჯების გაწევა და ოპერაციული მოთხოვნების დაკმაყოფილება.

2024 წელთან შედარებით მომგებიანობის შემცირება შესაბამის კონტექსტში უნდა განვიხილოთ. 2025 წლის განმავლობაში კრისტალი მოქმედებდა რისკების მიმართ უფრო კონსერვატიული მიდგომით, გავზარდეთ რა საკრედიტო დანაკარგების რეზერვები და ავსახეთ გაუფასურების უფრო მაღალი ხარჯები. ამასთანავე, გავაგრძელებთ ინვესტიციების განხორციელებას ტექნოლოგიების, შესაბამისობის, კიბერუსაფრთხოებისა და ადამიანური რესურსების განვითარების მიმართულებით, რაც აუცილებელი იყო ორგანიზაციის გრძელვადიანი სტაბილურობისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

კრისტალის საკრედიტო ბიზნესი კვლავაც მდგრადი და დივერსიფიცირებული იყო. მომხმარებლებზე გაცემულმა წმინდა სესხებმა 549.7 მილიონ ლარს მიაღწია, ბიზნესისა და აგროსექტორის დაფინანსების ზრდის ფონზე. ასევე გაიზარდა ლიზინგის მიმართულება, რომელიც მეწარმეებს უფრო მოქნილი ფინანსური გადაწყვეტილებებით უზრუნველყოფს. მიღწეული შედეგები ადასტურებს, რომ „კრისტალი“ ინარჩუნებს მჭიდრო კავშირს

ეკონომიკასთან და პასუხობს საქართველოს მასშტაბით მიკრო და მცირე ბიზნესის რეალურ საჭიროებებს.

2025 წელს ერთ-ერთი საკვანძო მიმართულება კომპანიის დაფინანსების უფრო დივერსიფიცირებული მოდელის განვითარება იყო. ლიცენზიის მიღების შემდეგ, „კრისტალმა“ დაიწყო ანგარიშებით და სადეპოზიტო პროდუქტებით მომხმარებლების მომსახურება, ამასთანავე, განაგრძო თამასუქების პორტფელის ზრდა. წლის ბოლოსთვის, მომხმარებელთა ანგარიშებზე განთავსებულმა სახსრებმა 33.1 მილიონ ლარს მიაღწია, ხოლო თამასუქების პორტფელმა - 59.7 მილიონ ლარს, რაც ნიშვნელოვანი ნაბიჯია ჩვენი დაფინანსების დივერსიფიცირებისა და ადგილობრივ ვალუტაში რესურსების მოზიდვის მიმართულებით.

კვლავ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა პარტნიორობა საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან. 2025 წელს „კრისტალმა“ მიიღო დაფინანსება როგორც არსებული, ისე ახალი პარტნიორობისგან, მათ შორის EBRD-ისა და ევროპის საბჭოს განვითარების ბანკისგან (CEB). კაპიტალის პოზიციის გაძლიერებას მოხმარდა სუბორდინირებული სესხების მოცულობის 40.8 მილიონ ლარამდე ზრდა. გრძელვადიანი და ახალი ფინანსური პარტნიორობების გაძლიერება ასახავდა გაზრდილ ნდობას არა მხოლოდ ფინანსური მაჩვენებლების, არამედ ჩვენი მმართველობის ხარისხის, და გრძელვადიანი სტრატეგიის აღსრულების დისციპლინის მიმართ.

2025 წლის განმავლობაში კრისტალმა გააძლიერა კორპორაციული მმართველობის ჩარჩო; უზრუნველყო ამ მიმართულებით საზედამხედველო და აღმასრულებელი რგოლების მკაფიო გამიჯვნა, და გადაწყვეტილებების თანმიმდევრული მიღება, რაც შეესაბამება რეგულირებული ფინანსური ინსტიტუტის მიმართ არსებულ მოთხოვნებს. ამავდროულად, მნიშვნელოვნად გავაუმჯობესეთ რისკების მართვისა და ოპერაციული მართვის ჩარჩო. მიკრობანკად გარდაქმნამ მოითხოვა უფრო მაღალი სტანდარტების დანერგვა კაპიტალის მართვის, ლიკვიდობის, შესაბამისობის, ოპერაციული მდგრადობისა და ანგარიშგების მიმართულებით.

საინფორმაციო ტექნოლოგიები კვლავ რჩებოდა ტრანსფორმაციის ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორად. 2025 წელს ჩვენმა გუნდმა 100-ზე მეტი IT და ბიზნესპროექტი განახორციელა, რომლებიც ეხებოდა ძირითადი საბანკო ფუნქციონალის, სახაზინო ოპერაციების, რეგულატორული ანგარიშგების, ციფრული სერვისების და პროცესების ავტომატიზაციას. ამ ინვესტიციებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე, ეფექტიანი საბანკო ინსტიტუტის ჩამოყალიბების პროცესში, რომელსაც თან საქმიანობის მასშტაბის გაფართოება შეუძლია.

მიღწეული წარმატების ძირითადი მამოძრავებელი ძალა ჩვენი თანამშრომლები იყვნენ. ტრანსფორმაციის ყოვლისმომცველი მასშტაბის მიუხედავად, კრისტალმა უზრუნველყო გუნდის მაღალი ჩართულობა და შეძლო გაეუმჯობესებინა თანამშრომელთა შენარჩუნების მაჩვენებელი. ჩვენ ვაგრძელებდით ინვესტიციებს ცოდნის, ლიდერული უნარების განვითარებისა და უნარების გაძლიერების მიმართულებით, რათა სრულად მოგვემზადებინა ჩვენი გუნდი უფრო კომპლექსური და მომთხოვნი გარემოსთვის.

ჩვენს წარმატებულ საქმიანობას შეუმჩნეველად არ ჩაუვლია; პასუხისმგებლიანი და გამჭვირვალე ბიზნეს-პრაქტიკისადმი ერთგულებისათვის, კრისტალმა მნიშვნელოვანი აღიარება მოიპოვა:

- **Scope Ratings:** კაპიტალზე ხელმისაწვდომობის გაზრდის, დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციის, მდგრადი ფინანსური შედეგებისა და მიკრობანკად წარმატებული ტრანსფორმაციის შედეგად, „Scope Ratings“-მა კრისტალს მიანიჭა „B+“ რეიტინგი სტაბილური პროგნოზით, რაც მნიშვნელოვანი აღიარებაა გლობალური ეკონომიკური ბუნდოვანების ფონზე.
- **საუკეთესო წლიური ანგარიშისა და გამჭვირვალობის ჯილდო (BARTA):** კრისტალმა ზედიზედ მეშვიდედ მოიპოვა ჯილდო საუკეთესო წლიური ანგარიშისა და გამჭვირვალობის (BARTA) კონკურსში, რაც ადასტურებს კომპანიის ერთგულებას ძირეული ორგანიზაციული ღირებულებების - გამჭვირვალების მიმართ.
- კრისტალმა მიიღო **CAREC-ის ჯილდო**, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ორგანიზაციის ერთგულება პასუხისმგებლიანი დაფინანსების პრინციპების მიმართ და ხაზი გაუსვა ჩვენს როლს მდგრადი ეკონომიკური განვითარების პროცესში.

## ხედვა

საქართველოში დადებითი ეკონომიკური გარემოს და მიკრობანკად ტრანსფორმაციის შედეგად მოსალოდნელი სარგებლის გათვალისწინებით, კრისტალს გააჩნია მყარი პოზიცია მომავალი წარმატების მისაღწევად. მჯერა, რომ პოზიტიურ ტენდენციებს 2026 წელსაც შევინარჩუნებთ და ერთობლივი ძალისხმევით კრისტალის ძლიერ, მდგრად საბანკო ინსტიტუტად ჩამოყალიბებას გავაგრძელებთ.

2026 წელს კრისტალის ძირითადი პრიორიტეტებია:

- საკრედიტო ბიზნესის მდგრადი ზრდის გაგრძელება და, ამავდროულად, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის დაკრედიტების შესაძლებლობების გაფართოება.
- დეპოზიტების, გადახდებისა და ციფრული სერვისების შემდგომი განვითარება უფრო დაბალანსებული საბანკო ბიზნეს მოდელის შესაქმნელად.
- ინვესტიციების გაგრძელება ტექნოლოგიების, რისკების მართვისა და ოპერაციული ეფექტიანობის მიმართულებით.

კრისტალი ერთგული რჩება თავისი მისიისა - „მეწარმეების კაპიტალით, ცოდნითა და უნარებით გაძლიერება“, და თავისი ბრენდის დაპირებისა - „შენი შესაძლებლობების ბანკი“.

2025 წელმა ნათლად აჩვენა, რომ ამბიციური მიზნების დასახვასთან ერთად, კრისტალს მათი განხორციელებაც უამრავი გამოწვევის ფონზეც შეუძლია. ტრანსფორმაცია არასდროს არ არის ერთჯერადი და ფინალური მოვლენა; ის მუდმივი განვითარების შემდგომი ეტაპის საფუძველია. ყოველივე ეს კი შესაძლებელი გახდა მკაფიოდ ჩამოყალიბებული

სტრატეგიული ხედვისა და მენეჯმენტის მხრიდან ეფექტური მართვის, აგრეთვე ორგანიზაციული, მასშტაბური ცვლილებების მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ფოკუსირებული მუშაობის და თანმიმდევრულობის წყალობით.

მსურს მადლობა გადავუხადო კრისტალის თანამშრომლებს ამ კომპლექსური წლის განმავლობაში გამოჩენილი ერთგულების, პროფესიონალიზმისა და მდგრადობისთვის. ცალკე მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენ მომხმარებლებს, პარტნიორებს, ინვესტორებსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, მათი ურყევი ნდობისა და მხარდაჭერისთვის. აქვე მინდა გამოვხატო განსაკუთრებული მადლიერება საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ გასული წლის განმავლობაში მათი მხრიდან კონსტრუქციული საზედამხედველო ჩართულობისა და მხარდაჭერისთვის.

კრისტალი განაგრძობს განვითარებას უფრო მყარი პოზიციით, მკაფიო ხედვითა და საკუთარი შესაძლებლობების ღრმა რწმენით.

**ილია რევია**

გენერალური დირექტორი

მიკრობანკი „კრისტალი“

## მაკროეკონომიკა და ბაზრის მიმოხილვა

### მთლიანი შიდა პროდუქტი

2024 წლის მაღალი ეკონომიკური აქტივობის შემდეგ, 2025 წელს საქართველოს ეკონომიკა შედარებით სტაბილურ და ნორმალიზებულ ზრდის ფაზაში გადავიდა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში კვლავ არსებობდა გარკვეული პოლიტიკური და გარე ეკონომიკური რისკები, მაკროეკონომიკური გარემო უფრო დაბალანსებული გახდა.

ეკონომიკური ზრდის ტემპი 2024 წელთან შედარებით შემცირდა, რაც ძირითადად განპირობებული იყო მაღალი საბაზისო ეფექტითა და 2022-2023 წლებში დაფიქსირებული ერთჯერადი ფაქტორების სრული განეიტრალებით. მიუხედავად ამისა, ეკონომიკური აქტივობა კვლავ შენარჩუნდა შიდა მოთხოვნისა და მომსახურების სექტორის ზრდის ხარჯზე.

პოზიტიური ტენდენციები შენარჩუნდა რიგ მიმართულებებში — ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები მაღალ დონეზე დარჩა, ინფლაცია სტაბილურად შენარჩუნდა მიზნობრივ მაჩვენებელთან ახლოს, ხოლო მონეტარული პოლიტიკა ეტაპობრივად შერბილდა. ასევე გაგრძელდა უმუშევრობის კლების ტენდენცია.


ამასთან, რიგი გამოწვევები კვლავ აქტუალური იყო. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მხოლოდ ნაწილობრივ აღდგა 2024 წლის კლების შემდეგ, ფულადი გზავნილები სტაბილიზაციის ფაზაში შევიდა, ხოლო საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგებზე კვლავ გავლენას ახდენდა პოლიტიკური ფაქტორები და გარე რისკები.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთ-უკრაინის ომი კვლავ გრძელდებოდა, მისი ეკონომიკური გავლენა მნიშვნელოვნად შემცირდა. რუსეთიდან მიგრაციული ნაკადები დაბალ დონეზე დარჩა, ხოლო სავალუტო შემოდინებებზე ომის ეფექტი პრაქტიკულად სრულად განეიტრადა. 2022 წელს დაფიქსირებული გზავნილების შოკური ზრდა სრულად გაიწოვა ბაზამ, რის შედეგადაც 2025 წელს აღნიშნული ფაქტორი ეკონომიკურ დინამიკაზე არსებით გავლენას აღარ ახდენდა.

ეკონომიკური ზრდა კვლავ განპირობებული იყო ძირითადად იმავე სექტორებით, რაც 2024 წელს — მშენებლობა, ინფორმაცია და კომუნიკაცია, ფინანსური სექტორი და განათლება რჩებოდა ზრდის მთავარ მამოძრავებლებად. ამასთან, შედარებით სუსტი დინამიკა შენარჩუნდა ენერგეტიკაში, დამამუშავებელ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და საბითუმო ვაჭრობაში.

<b>ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე</b>	<b>10.3%</b>
შინამეურნეობები და შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები	8.6%
სახელმწიფო მართვის ორგანოები	19.6%
ინდივიდუალური საქონელი და მომსახურება	22.2%
კოლექტიური მომსახურება	17.5%
<b>მთლიანი კაპიტალის ფორმირება</b>	<b>-5.5%</b>
მირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება	-2.8%
<b>საქონლისა და მომსახურების ექსპორტი</b>	<b>7.0%</b>
საქონლის ექსპორტი	7.1%
მომსახურების ექსპორტი	6.9%
<b>საქონლისა და მომსახურების იმპორტი</b>	<b>5.7%</b>
საქონლის იმპორტი	6.5%
მომსახურების იმპორტი	2.6%
<b>მშპ საბაზრო ფასებში</b>	<b>7.5%</b>

წლის მიხედვით რეალური მშპ-ს ზრდა 7.5% იყო, ერთ სულ მოსახლეზე კი 10,886 აშშ დოლარს შეადგენდა; საერთაშორისო დოლარში ეს მაჩვენებელი 33,3 დოლარის ტოლია.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

### **ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი**

ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართველოში ინფლაციის დინამიკა და მონეტარული პოლიტიკა მნიშვნელოვნად შეიცვალა, რაც ასახავს როგორც გლობალური შოკების განეიტრალებას, ისე შიდა მაკროეკონომიკური გარემოს ნორმალიზაციას.

2023 წელს ინფლაცია მკვეთრად შემცირდა და საშუალოდ 0.4% შეადგინა, რაც განპირობებული იყო წინა წლებში დაგროვილი მკაცრი მონეტარული პოლიტიკით,

საერთაშორისო ბაზრებზე ფასების სტაბილიზაციითა და მიწოდების ჯაჭვების აღდგენით. ამ პერიოდში ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად დაბლა იყო.

2024 წელს ინფლაცია შედარებით გაიზარდა, თუმცა კვლავ დაბალ დონეზე — 1.9%-ის ფარგლებში შენარჩუნდა. აღნიშნული ზრდა უკვე ასახავდა ეკონომიკური აქტივობის გაძლიერებასა და შიდა მოთხოვნის ზრდას, თუმცა ფასების საერთო დონე კვლავ კონტროლირებად ფარგლებში რჩებოდა.


2025 წელს ინფლაცია დაუბრუნდა მიზნობრივ მაჩვენებელს და დაახლოებით 3%-ის ფარგლებში დასტაბილურდა. ეს მიუთითებს, რომ ეკონომიკა გადავიდა უფრო ნორმალურ და დაბალანსებულ ფაზაში, სადაც არც დეფლაციური და არც მაღალი ინფლაციური რისკები არ დომინირებს.

მონეტარული პოლიტიკის მიმართულებით, 2023 წელი ხასიათდებოდა ჯერ კიდევ მკაცრი პოლიტიკის შენარჩუნებით, თუმცა წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო განაკვეთის ეტაპობრივი შემცირება. აღნიშნული განპირობებული იყო ინფლაციის მკვეთრი კლებით და მაკროეკონომიკური გარემოს გაუმჯობესებით.

2024 წელს ეს ტენდენცია გაგრძელდა და რეფინანსირების განაკვეთი 8%-მდე შემცირდა, რაც ასახავდა ინფლაციის დაბალ დონესა და ეკონომიკური სტიმულირების საჭიროებას. თუმცა, პოლიტიკურმა გაურკვეველობამ და გარე რისკებმა განაკვეთის უფრო სწრაფი შემცირება შეაფერხა.

2025 წელს მონეტარული პოლიტიკა გახდა უფრო დაბალანსებული. ეროვნული ბანკი აგრძელებდა შერბილებას, თუმცა ინარჩუნებდა სიფრთხილეს, რათა არ გაძლიერებულიყო ინფლაციური წნეხი. პოლიტიკა ორიენტირებული იყო როგორც ფასების სტაბილიზაციაზე, ასევე ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერაზე.

საერთო ჯამში, 2023-2025 წლები შეიძლება შეფასდეს, როგორც გადასვლის პერიოდი მაღალი ინფლაციიდან სტაბილურ და მიზნობრივ ინფლაციაზე, ხოლო მონეტარული პოლიტიკა — მკაცრი რეჟიმიდან ზომიერად შემსუბუქებელ ფაზაზე.




### დასაქმება და უმუშევრობა

ბოლო სამი წლის განმავლობაში შრომით ბაზარზე შეინიშნებოდა სტაბილური გაუმჯობესების ტენდენცია. 2023 წელს უმუშევრობის დონე შემცირების ტრექტორიაზე გადავიდა, რაც ეკონომიკური აქტივობის ზრდითა და სამუშაო ადგილების ეტაპობრივი აღდგენით იყო განპირობებული.

2024 წელს აღნიშნული ტენდენცია კიდევ უფრო გამყარდა — უმუშევრობის დონე წლიურად 2.5 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 13.9% შეადგინა. ეს, ძირითადად, გამოწვეული იყო ეკონომიკური ზრდის დაჩქარებითა და ბიზნეს აქტივობის გაფართოებით, მთავრობისა და ბიზნესის მიერ შექმნილი დამატებითი სამუშაო ადგილებით, მომატებული მოთხოვნით რუსეთ-უკრაინიდან მიგრაციის გამო და საქართველოდან უმუშევარი ხალხის გადინებით. უმუშევრობის დონის კლებამ გამოიწვია შრომით ბაზარზე ანაზღაურების მკვეთრი ზრდა და დეფიციტი.

2025 წელს შრომითი ბაზრის გაუმჯობესების ტენდენცია შენარჩუნდა, თუმცა ტემპი შედარებით შენედა. საშუალოვადიან პერიოდში, მთავრობის მიზანია უმუშევრობის დონის 10%-მდე შემცირება, რაც მოითხოვს როგორც ეკონომიკური ზრდის შენარჩუნებას, ისე შრომითი ბაზრის ეფექტიანობის გაუმჯობესებას.



### ექსპორტი და იმპორტი

ბოლო 3 წლის მანძილზე ეკონომიკის ზრდის, ტურიზმის აღდგენის, გზავნილების მკვეთრი მატებისა და მიგრაციის ფონზე, გაიზარდა როგორც იმპორტი, ასევე ექსპორტი. ამასთან, იმპორტის ზრდაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ლარის კურსის გამყარებამ.


2025 წელს საგარეო ვაჭრობის ზრდის ტემპი ნაწილობრივ ნორმალიზდა. ექსპორტმა განაგრძო ზრდა, თუმცა უფრო ზომიერი ტემპით, რაც უკავშირდებოდა გარე მოთხოვნის სტაბილიზაციასა და ბაზის ეფექტის ამოწურვას. პარალელურად, შეინიშნებოდა ექსპორტის ბაზრების ეტაპობრივი დივერსიფიკაციის მცდელობა.

იმპორტი კვლავ მაღალ დონეზე რჩებოდა, თუმცა შედარებით შენედა მისი ზრდის ტემპი, რაც ასახავს შიდა მოთხოვნის სტაბილიზაციასა და ლარის კურსის ნაკლებ ცვალებადობას.

საერთო ჯამში, 2023-2025 წლებში საქართველოს საგარეო ვაჭრობა ზრდით ხასიათდებოდა, თუმცა 2025 წელს უკვე გამოიკვეთა ნორმალიზაციის ტენდენცია. ამასთან, ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება ექსპორტის ბაზრების დივერსიფიკაცია და იმპორტზე მაღალი დამოკიდებულების შემცირება.

### ტურიზმი

2024-2025 წლისთვის ტურიზმიდან შემოსავლებმა გადააჭარბა პანდემიამდე პერიოდს (2019 წელი). ასევე საგრძნობი გაუმჯობესება დაფიქსირდა წლიდან წლამდე. კერძოდ, 2024 წელთან შედარებით, 2025 წელს ტურიზმიდან შემოსავლები 6.2%-ით გაიზარდა და 4,700 მლ აშშ დოლარს მიაღწია.




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

### ფულადი გზავნილები

2025 წელს ფულადი გზავნილების შემოდინება წლიურად 8.6%-ით გაიზარდა და 3,649 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ფულადი გზავნილების მნიშვნელოვანი წილი – 19% აშშ-ზე მოდიოდა, 17% - იტალიაზე, ხოლო 12% - რუსეთზე (1,772 მლნ აშშ დოლარი, 49% ჯამურად, რაც გულისხმობს წლის წლიურად 1 კპ-ით შემცირებას. შემცირების ძირითადი მიზეზი იყო რუსეთი, რომელსაც მოსდევდა ისრაელი, გერმანია და საბერძნეთი – საშუალოდ 8-8%-ით (891 მლნ აშშ დოლარი,

რაც გულისხმობს ჯამურად წილის წლიურად 5.3 პპ-ით ზრდას სამივე ქვეყნის ჭრილში), სხვა ქვეყნების ჯამური წილი კი 27 %-ს შეადგენდა 985 მლ ლარით.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


### პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2025 წელს საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) დინამიკა ხასიათდებოდა ეტაპობრივი სტაბილიზაციით, 2024 წელს დაფიქსირებული შემცირების შემდეგ.

2025 წელს ინვესტორთა აქტივობა კვლავ ზომიერი იყო. თუმცა, შედარებით გაუმჯობესებული მოლოდინების ფონზე, აღინიშნა ახალი საინვესტიციო პროექტების ეტაპობრივი გააქტიურება. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა ფინანსური სექტორი, რომელიც კვლავ ინარჩუნებდა წამყვან პოზიციას ინვესტიციების მოზიდვის კუთხით. პარალელურად, გაიზარდა ინტერესი ისეთ სექტორებშიც, როგორებიცაა ენერჯეტიკა, უძრავი ქონება და მომსახურების სფერო.

ნაწილობრივი აღდგენის მიუხედავად, FDI-ის დინამიკა კვლავ მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის პოლიტიკურ სტაბილურობაზე, რეგულაციური გარემოს პროგნოზირებადობასა და გლობალურ ეკონომიკურ კონიუნქტურაზე.


საერთო ჯამში, 2025 წელი შეიძლება შეფასდეს როგორც გარდამავალი ეტაპი — 2024 წლის შემცირებიდან ინვესტიციების სტაბილიზაციისა და ეტაპობრივი აღდგენისკენ.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

### მიმდინარე ანგარიში

2025 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი ისტორიულ მინიმუმზე იყო, რაც გამოიწვია საგრძნობლად გაზრდილმა გზავნილებმა, ექსპორტმა, უცხოურმა ინვესტიციებმა, ტურიზმიდან შემოსავლებმა, ვალუტის გამყარებამ და ეკონომიკის გახსნამ. ამ ყოველივემ დადებითი გავლენა იქონია მიმდინარე ანგარიშის ბალანზე.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

### გაცვლითი კურსები და უცხოური ვალუტის რეზერვები

2025 წელს, 2024 წელთან შედარებით, ლარის საშუალო წლიური გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 1%-ით, ევროსთან მიმართებით 5%-ით და რუბლთან მიმართებით 12%-ით გაუფასურდა, თურქულ ლირასთან მიმართებით კი 16%-ით გამყარდა.

FX rates	EUR	USD	TRY	100 RUB
2024	2.9440	2.7208	0.0829	2.9401
2025	3.0960	2.7422	0.0696	3.2875

**ბიუჯეტის დეფიციტი და სამთავრობო ვალი მშპ-ის მიმართ**

გაზრდილი ეკონომიკური აქტივობისა და პოზიტიური მაკროეკონომიკური გარემოს ფონზე, ბიუჯეტის დეფიციტი კლებადი ტენდენციით გამოირჩეოდა. კერძოდ, 2020 წელს დაფიქსირებული 9.3%-იანი დეფიციტი ეტაპობრივად შემცირდა და 2024 წელს 2.5% შეადგინა.

2025 წელს ფისკალური დისციპლინა შენარჩუნდა და დეფიციტი დაბალ, კონტროლირებად დონეზე დარჩა, რაც ასახავს მთავრობის კონსერვატიულ პოლიტიკას.

სამთავრობო ვალის მაჩვენებელიც სტაბილურ ტრაექტორიაზე დარჩა — 2024 წელს ვალის მშპ-სთან შეფარდებამ 38.2% შეადგინა, ხოლო 2025 წელს მდგრად დონეზე შენარჩუნდა.

საერთო ჯამში, 2025 წელს ფისკალური პოზიცია სტაბილური იყო, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს მაკროეკონომიკური მდგრადობისა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისთვის.

**საკრედიტო ბაზარი**

საკრედიტო ბაზარი განისაზღვრება როგორც კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ საქართველოს რეზიდენტ შინამეურნეობებზე 100 ათასი ლარის ჩათვლით მაქსიმუმ 5 წლის დაფარვის ვადით გაცემული სესხების პორტფელი და ხელშეკრულებები. **2025 წლის მდგომარეობით, კრისტალის ბაზრის წილი 4.19% იყო, 2024 წელს კი - 3.79%.**

2025 წელს, 2024 წელთან შედარებით, კომერციული ბანკების პორტფელი 21.1%-ით (2,365 მლნ ლარი) გაიზარდა და 13,542 მლნ ლარი შეადგინა. ანალოგიურ პერიოდში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების პორტფელი 30.00%-ით (436 მლნ ლარი) გაიზარდა და 1,893 მლნ ლარი შეადგინა. შესაბამისად, საკრედიტო ბაზრის ჯამური ზომა 22.2%-ით (2,802 მლნ ლარი) გაიზარდა და 15,435 მლნ ლარი შეადგინა.

2025 წელს, 2024 წელთან შედარებით, სასესხო კონტრაქტების ბაზარი 10.67%-ით (408 ათასი) გაიზარდა და 4.26 მლნ კონტრაქტი შეადგინა. კომერციული ბანკების კონტრაქტები 11.42%-ით (350 ათასი) გაიზარდა და 3.416 მლნ კონტრაქტი შეადგინა. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სასესხო კონტრაქტები კი 7.68%-ით (58.4 ათასი) გაიზარდა და 819 ათასი სასესხო კონტრაქტი შეადგინა.

## საერთაშორისო რეიტინგები

### - Moody's გლობალური რეიტინგი

2025 მარტში Moody's-მა საქართველოს საკრედიტო რეიტინგი Ba2 სტაბილურიდან Ba2 უარყოფითამდე შეამცირა, რაც გამოწვეული იყო ქვეყანაში შექნილი პოლიტიკური სიტუაციით და გარე სანქციების შესახებ ნეგატიური მოლოდინებით.

## კორპორაციული სტრატეგია

2025 წლის დასაწყისში მიკრობანკის ლიცენზიის მიღებისა და მნიშვნელოვანი ახალი შესაძლებლობების გაჩენის ფონზე, ჩვენ ახლებურად შევხედეთ ჩვენს მისიას, ხედვასა და სტრატეგიას, ამავდროულად, განვაახლეთ ჩვენი ბრენდის დაპირება, ჩამოვყალიბეთ ახლებური ხედვა მომხმარებელთა სეგმენტის, პროდუქტებისა და იმ სერვისების მიმართ, რომელთა შეთავაზებასაც ვგეგმავთ.

„კრისტალის“ განახლებული მისიაა **გააძლიეროს მეწარმეები კაპიტალით, ცოდნითა და უნარებით**, რაც მათ შესაძლებლობების კეთილდღეობად გარდაქმნის საშუალებას მისცემს. ფინანსური პროდუქტებისა და სერვისების, ცოდნის, ტექნოლოგიებისა და უნარების გაზრდილი ხელმისაწვდომობის წყალობით, კრისტალი საშუალებას მისცემს ქართველ მეწარმეებსა და ფიზიკურ პირებს შექმნან სამუშაო ადგილები ეკონომიკაში, გაზარდონ აქტივები და გააუმჯობესონ ცხოვრების დონე მთელი ქვეყნის მასშტაბით.

**განახლებული ხედვის მიხედვით, „კრისტალი“ უნდა იყოს წამყვანი ბანკი, რომელიც მოემსახურება მიკრო და მცირე მეწარმეების სეგმენტებს**, კომერციული საქმიანობისა და სოციალური/ გარემოსდაცვითი მდგრადობის პრინციპების დაცვით.

„კრისტალის“, როგორც **ბრენდის დაპირებაა, საქმიანობა წარმართოს როგორც სანდო პარტნიორმა**, უზრუნველყოს ბიზნესი თუ ინდივიდუალურ მომხმარებელი შესაძლებლობით დაიწყოს ახალი ან განავითაროს არსებული საქმიანობა, გააუმჯობესოს საარსებო წყარო და ააშენოს უკეთესი მომავალი საკუთარი ოჯახისა და საზოგადოებისათვის.

„კრისტალის“ **სტრატეგიაა, გამოიყენოს არსებული ბრენდი, მომხმარებელთა ბაზა და ფილიალების ვრცელი ინფრასტრუქტურა და, ამავდროულად, მოახდინოს შეთავაზებული პროდუქტის დივერსიფიკაცია**, რაც მოიცავს შემნახველ დეპოზიტებს, ფულად გზავნილებს, ვალუტის კონვერტაციას, მობილურ ბანკინგს, როგორც არსებული, ისე ახალი მომხმარებლისათვის, აქცენტით **სოფლის მეურნეობის, მიკრო და მცირე მეწარმეების სეგმენტებზე**. მიკრობანკის ლიცენზიის მოპოვების შემდეგ, „კრისტალი“ გააგრძელებს მომხმარებელთა იმავე სეგმენტის მომსახურებას, თანდათანობით მოიცავს მცირე და საშუალო ბიზნესის სეგმენტს ბევრად უფრო მძლავრი ფინანსური და ინსტიტუციური პლატფორმის გამოყენებით და შექმნის მეტ ღირებულებას ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

საშუალოვადიანი პერიოდისთვის, სტრატეგიული ამოცანები შემდეგია:

1. წამყვანი პოზიციის მოპოვება ბაზრის მიკროსაფინანსო სეგმენტში და გაუმჯობესებული ფინანსური მაჩვენებლების მიღწევა.
2. ძირითად (მიკრო) მომხმარებელზე ფოკუსირების შენარჩუნება, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის სეგმენტში ბიზნესის წილის თანმიმდევრული ზრდა.


3. შემნახველი პროდუქტების დანერგვა და კომპანიის დაფინანსების წყაროებში მათი წილის ეტაპობრივი ზრდა.,
4. არსებული საკრედიტო პროდუქტების (სესხები, ლიზინგი და ა.შ.) შემდგომი განვითარება.
5. არასაკრედიტო პროდუქტების განვითარება.
6. ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის, ადამიანური რესურსების შესაძლებლობებისა და ოპერაციული პროცედურების განახლება ტრანსფორმირებული ინსტიტუტის საჭიროებების მხარდასაჭერად.
7. ძირითადი ბიზნესპროცესების გაციფრულება, ციფრული არხების განვითარება და ეფექტიანობის უზრუნველყოფა.

## ბიზნესმოდელი

„კრისტალი“ არის წამყვანი ქართული ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია, რომელიც მომხმარებელს მრავალფეროვან ფინანსურ მომსახურებას სთავაზობს.

ჩვენ ფოკუსირებული ვართ მიკროსაფინანსო მომხმარებლისათვის საუკეთესო და პერსონალიზებული გამოცდილების შეთავაზებაზე ფილიალებისა და ციფრული არხების გამოყენებით.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს „კრისტალის“ ბიზნესმოდელს:



\* სამომავლო პროდუქტები და სეგმენტები

კრისტალის საკრედიტო მიმართულება საცალო და ბიზნეს მომხმარებლებს პროდუქტების ფართო არჩევანს სთავაზობს, ხოლო კომფორტული და ინოვაციური მიკროსაფინანსო და სალიზინგო გადაწყვეტილებები მომხმარებელთათვის განსაკუთრებული გამოცდილების შექმნას უზრუნველყოფს.

არასაკრედიტო მიმართულება მომხმარებლებს ტრანზაქციული პროდუქტების ფართო სპექტრს სთავაზობს, როგორცაა საბანკო ანგარიშები, გადახდები, ფულადი გზავნილები, ვალუტის კონვერტაცია, დაზღვევა და მასთან დაკავშირებული მომსახურება.

„კრისტალის“ დაფინანსების წყაროები დივერსიფიცირებულია და მიღებულია უცხოური ფინანსური ინსტიტუტებიდან, თუმცა დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროს ასევე ადგილობრივი კომერციული ბანკები და დეპოზიტებისა და თამასუქების საშუალებით ადგილობრივად მოზიდული სახსრები წარმოადგენს. გარდა ამისა, „კრისტალმა“ შეიმუშავა დაფინანსების ალტერნატიული წყარო, როგორცაა კორპორაციული ობლიგაციების გამოშვება.

## ბიზნესის მნიშვნელოვანი სიახლეები

2025 წელი „კრისტალისათვის“ გარდამტეხი ეტაპი იყო მიკრობანკად ტრანსფორმაციის, ახალი არასაკრედიტო პროდუქტების დანერგვის, არსებულის გაძლიერებისა და მომხმარებლებისათვის ახალი საბანკო პროდუქტების შეთავაზების მხრივ.

2025 წელს „კრისტალის“ მთლიანი სასესხო პორტფელი (ლიზინგის გამოკლებით) 10.48%-ით გაიზარდა და 568 მლნ ლარი შეადგინა. წლის განმავლობაში კომპანია სასესხო პროდუქტებით 139,000-ზე მეტ კლიენტს მოემსახურა. ერთობლიობაში 675 მლნ ლარზე მეტი კრედიტი გაიცა, რაც 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 4.6%-ით აღემატება.

2025 წელი მნიშვნელოვანი იყო სადეპოზიტო პორტფელის ზრდის კუთხით. ვადიანი ანაბრებისა და თამასუქების პროდუქტის განვითარების მიზნით ფუნდამენტური ცვლილებები განხორციელდა, რამაც კომპანიას რეკორდული შედეგი მოუტანა. 2025 წლის ივნისის ბოლოს შეიქმნა და ბაზარზე წარმატებით დაინერგა ვადიანი ანაბრების პროდუქტი. დანერგვის დღიდან წლის ბოლომდე განვლილი 5-თვიანი პერიოდის განმავლობაში 21 მლნ ლარის დეპოზიტების პორტფელი შეიქმნა. პარალელურად, მნიშვნელოვნად გაიზარდა თამასუქების პორტფელიც, კერძოდ, 13 მლნ ლარიდან 58 მლნ ლარამდე, რაც 346%-იან ზრდას შეადგენს. ამ ორი პროდუქტის კომბინირებული შედეგის სახით, მოზიდული სახსრების საერთო პორტფელმა 79 მლნ ლარს გადააჭარბა, რაც საწყის მაჩვენებელთან შედარებით (13 მლნ ლარი) 508%-იანი ზრდა გახლავთ.

„კრისტალი“ კვლავ განსაკუთრებულად მოწოდებულია იყოს აგრომომართულების მხარდამჭერი კომპანია და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ამ სფეროს გაძლიერებაში. აგროპორტფელის მოცულობამ 123 მლნ ლარს გადააჭარბა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 11%-ით აღემატება.

2025 წელს გაუმჯობესება აღინიშნა ბიზნესპორტფელის მიმართულებითაც. წლის ბოლოსათვის ბიზნესპორტფელმა 225 მლნ ლარს გადააჭარბა, რაც წინა წლის შედეგს 12.5%-ით აღემატება.

ზრდის ტენდენცია შენარჩუნდა ავტოსესხების მხრივ. 2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით ავტოსესხების პორტფელი 64.5 მლნ ლარამდე გაიზარდა.

2025 წელს შეიქმნა სრულიად ახალი, „ვიზიტორი ოფიცრების“ პოზიცია, რომელთა საქმიანობამაც მნიშვნელოვნად გაამარტივა შემოსავლების დადასტურების პროცესი. ამ სიახლის წყალობით შესაძლებელი გახდა მსესხებლების შემოსავლების მოქნილად დადასტურება, რამაც შეამცირა მომსახურების დრო და გაზარდა კლიენტების კმაყოფილება.

ასევე შეიქმნა სრულიად ახალი რგოლი გაყიდვების მიმართულებით - გაყიდვების კონტაქტაბი, რომელიც მცირე სესხების მომსახურებაზეა ფოკუსირებული. აღსანიშნავია, რომ კონტაქტაბი მომხმარებლებს დისტანციურად სთავაზობს არა მხოლოდ საკრედიტო, არამედ არასაკრედიტო პროდუქტებსაც.

2025 წელს კრისტალმა არასაკრედიტო პროდუქტების კუთხითაც მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელა. დაინერგა Identomat-ის სახის ამომცნობი სისტემა, რომლის

მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა სრულიად ახალი კლიენტების დისტანციურად იდენტიფიცირება და რეგისტრაცია, ასევე ახალი ანგარიშების გახსნა. კლიენტის ონლაინკაბინეტში ხელმისაწვდომი გახდა აქტიური ვადიანი ანაბრებისა და ანგარიშების მართვა.

2025 წელი მნიშვნელოვანი იყო გზავნილების მიმართულებით. დაინერგა გზავნილების პროგრამის ახალი ვერსია - UMTS. შედეგად, გაიზარდა სისტემის მოქნილობა და ეფექტიანობა. არასაკრედიტო შემოსავლების ზრდის კუთხით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მომხმარებლებისათვის მულტისავალუტო ანგარიშების გახსნამ - 2025 წლის ბოლოსათვის ანგარიშების გახსნა-მომსახურებიდან მიღებულმა შემოსავალმა 390,000 ლარი შეადგინა.

გაფართოვდა SMS-მომსახურების არეალი და გაიზარდა ამ სერვისით მოსარგებლე კლიენტების რაოდენობაც. 2025 წელს არასაკრედიტო პროდუქტებიდან მიღებულმა შემოსავალმა ერთობლიობაში 2,100,000 ლარს გადააჭარბა, რაც 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 26%-ით აღემატება.

2025 წელს დაიწყო თანამშრომლობა ახალ სადაზღვევო კომპანიასთან – „იმედი L“-თან. 2025 წელს სიცოცხლის დაზღვევის პორტფელი 10.4%-ით გაიზარდა და 523 მლნ ლარს გადააჭარბა; აღნიშნული პროდუქტით მომხმარებლების 95.6% ზე მეტი სარგებლობს. 2025 წელს კომპანიამ სადაზღვევო პროდუქტების გაყიდვიდან 4.3 მლნ ლარის წმინდა შემოსავალი მიიღო.

2025 წლის იანვარში კომპანიამ ოფიციალურად მოიპოვა ლიცენზია MasterCard-ის სადებეტო ბარათების გამოსაშვებად. დასრულდა ინტეგრაცია საბარათე და საპროცესინგო სისტემებთან. „კრისტალი“ დარეგისტრირდა როგორც ბანკი საპროცესინგო ცენტრებში. დამტკიცდა ბარათების დიზაინი, ტარიფები, ლიმიტები, პროცესები და პროცედურები; მომზადდა შესაბამისი პროცესი 2026 წლიდან მომხმარებლებისთვის სადებეტო ბარათების შეთავაზების დასაწყებად.

კომპანიაში დაინერგა კამპანიების მართვის ახალი სისტემა - Optio, რომელიც კლიენტის 360 გრადუსით ხედვის საშუალებას იძლევა. აღნიშნულმა გადაწყვეტამ კომპანია კონკრეტულ სემინტზე მორგებული გაყიდვის კამპანიების წარმოების შესაძლებლობით აღჭურვა.

მომხმარებლებისათვის დისტანციურ არხებში უწყვეტად ხარისხიანი მომსახურების მიწოდების მიზნით, დაიგეგმა კონტაქტჰაბის თანამშრომლების გადამზადება და მათთვის საკვალიფიკაციო ტესტირების ჩატარება. აღნიშნულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა გუნდის პროფესიული კომპეტენცია და მომსახურების ხარისხი. 2025 წელს სხვადასხვა არხის საშუალებით ერთობლიობაში შემოვიდა 92,000-ზე მეტი ზარი და 40,000-ზე მეტი შეტყობინება.

2025 წელი გამოირჩეოდა მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესებით, რაზეც მეტყველებს კლიენტების მიერ გამოთქმული პრეტენზიების კლება; კერძოდ, 2025 წელს პრეტენზიების რაოდენობა 20%-ით შემცირდა.

## ლიზინგი

2025 წელს ლიზინგის პორტფელი 19 მლნ ლარამდე გაიზარდა, რაც 15%-იან ზრდას შეადგენს. მიკრობანკად ტრანსფორმაციის შემდგომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის მანამდე არსებული 100,000-ლარიანი ლიმიტის მოხსნის შედეგად, ერთ მომხმარებელზე საშუალო დაფინანსების თანხა 25%-ით გაიზარდა. შეზღუდვის მოხსნამ ასევე შესაძლებლობა მისცა „კრისტალს“ თანამშრომლობა დაეწყო ახალი ტექნიკის მომწოდებელ ლოკალურ კომპანიებთან. შედეგად, გაიზარდა მომხმარებლების წვდომა ხარისხიან ტექნიკაზე საგარანტიო პირობის ფარგლებში. ასევე შესაძლებელი გახდა უფრო მდგრადი SME-კლიენტების მოზიდვა.

2025 წელი საინტერესო იყო ციფრული ტექნოლოგიის დანერგვის მიმართულებითაც. დაინერგა მომხმარებლებთან კონტრაქტის დისტანციურად, ციფრული ტექნოლოგიის გამოყენებით გაფორმების სერვისი. შედეგად, ერთი მხრივ, მნიშვნელოვნად დაიზოგა მომხმარებლისა და კომპანიის სამუშაო დრო, მეორე მხრივ კი, ქაღალდის მოხმარების შემცირების („paperless“) მიდგომით იკლო გარემოზე ნეგატიურმა ზეგავლენამ.

ლიზინგის ბაზარი 2025 წელსაც გაიზარდა. სექტორულ ჭრილში მნიშვნელოვანი წილი ტრადიციულად ეკავა მშენებლობის, ვაჭრობის, ტრანსპორტის, საკვები და სასმელი პროდუქტების სექტორებს.

## ინვესტორებთან ურთიერთობა და დაფინანსება

2025 წელს „კრისტალმა“ ადგილობრივი და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისაგან 82 მლნ აშშ დოლარის ოდენობის ფინანსური რესურსი მიიღო.


„კრისტალის“ საერთაშორისო პარტნიორებს შორის არის ისეთი გავლენიანი და მსხვილი ფინანსური ინსტიტუტები, როგორებიც არის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი (CEB), საფრანგეთის განვითარების სააგენტო (Proparco), ჰოლანდიის განვითარების ბანკი (FMO), BlueOrchard, responsAbility, Triple Jump, Kiva, DWM, Bank im Bistum Essen და სხვ.

მიღებული საკრედიტო რესურსები სხვადასხვა სტრატეგიული მიმართულების, მათ შორის, მცირე და საშუალო კომპანიების, მიკრომეწარმეების, ქალების, ახალგაზრდებისა და ფერმერების ინოვაციური ფინანსური სერვისებით მხარდაჭერას, განახლებადი ენერჯიებისა და ენერგოეფექტიანობის წახალისებას, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, პროდუქტების დახვეწასა და გამრავალფეროვნებას მოხმარდა.

2025 წელს 23 ტრანზაქცია შესრულდა, მთლიანობაში 222 მლნ ლარის მოცულობით. აქედან:

- 18 - საერთაშორისო პარტნიორთან (185 მილიონი ლარი);
- 5 - ადგილობრივ ბანკთან (37 მილიონი ლარი).

ვალუტების თანაფარდობა ამგვარი იყო: 59% ლარი, 35% აშშ დოლარი და 6% ევრო.



\*დაფინანსების თვიური შედეგები, ლარი

2025 წელს „კრისტალმა“ დაფინანსების დივერსიფიკაციის მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. კომპანიამ დაიწყო თანამშრომლობა ევროპის ვაჭრობისა და განვითარების ბანკთან (EBRD) და 10 მილიონი დოლარის მოცულობის შეთანხმება გააფორმა. ასევე, 8 მილიონი ევროს შეთანხმება დაიდო ევროპის საბჭოს განვითარების ბანკთან (CEB). ამ მნიშვნელოვან ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობა აუმჯობესებს „კრისტალის“ საერთაშორისო პროფილს და ზრდის მის სანდოობას ფინანსური ბაზრის მონაწილეებს შორის.

მთლიანობაში, 2025 წელს კომპანიამ 486 მილიონი ლარის ვალდებულებები მართა. დაფინანსების მნიშვნელოვანი წყაროა საერთაშორისო ბაზარი, რომელიც 405 მილიონი ლარით 83%-იან წილს იკავებს. აღსანიშნავია, რომ წლის ჭრილში მნიშვნელოვნად გაიზარდა თამასუქების წილი და 2025 წლის ბოლოს 58 მილიონი ლარი შეადგინა, რაც საერთო მაჩვენებლის 12%-ია.

2025 წელს საერთაშორისო ბაზარზე 18 ტრანზაქცია განხორციელდა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ადგილობრივ ბანკებთან განხორციელებულ ტრანზაქციებს. ამგვარი ტენდენცია განპირობებულია მიკრობანკის ლიცენზიის მიღებით, რის შედეგადაც საბანკო პროდუქტების მართვამ ხაზინის დეპარტამენტში გადაინაცვლა. ტრანსფორმაციის შემდეგ ბანკთაშორისი გარიგებები სრულად ბლუმბერგის მეშვეობით ხორციელდება.

2025 წლის თებერვალში წარმატებით დასრულდა 25 მილიონი ლარის კორპორაციული ობლიგაციების რეფინანსირება, რაც 65 მილიონი ლარის ახალი დაფინანსების მოზიდვით გახდა შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ მსგავსი პერიოდები კომპანიისათვის ლიკვიდობის პოტენციურ რისკს ქმნის, ამიტომ მზადება ყოველთვის წინასწარ იწყება. დამატებით, გაზაფხულის მოახლოებასთან ერთად, ბაზარზე ეკონომიკური და აგროექტივობა იზრდება, რაც ფინანსური რესურსის დამატებით მობილიზაციას საჭიროებს.

2025 წელს „კრისტალის“ კაპიტალის პოზიცია გამყარდა დამატებითი სურდინირებული სესხების მიღებით. აღნიშნულ გარიგებაში მონაწილეობდა ჩვენი პარტნიორი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტი Triple Jump, რომელმაც 21 მილიონი ლარის მოცულობის რესურსი გამოყო. სესხები 6-წლიანია და თავიანთი ხასიათით კაპიტალთან არის გათანაბრებული. შესაბამისად, რესურსის მიღებით „კრისტალმა“ გაიუმჯობესა კაპიტალის ადეკვატურობის მაჩვენებელი.

2017 წლიდან „კრისტალი“ საერთაშორისო საკრედიტო სარეიტინგო კომპანია FITCH RATINGS-თან თანამშრომლობდა. 2025 წელს კი კომპანიის ახალი პარტნიორი SCOPE RATINGS გახდა, რომელმაც „კრისტალის“ საკრედიტო რეიტინგი 'B+' Stable Outlook-ით შეაფასა.

## ტექნიკური დახმარება 2025 წელს

დაფინანსების პროცესის პარალელურად, გუნდმა იმუშავა ტექნიკური დახმარების მიმართულებით. წლის დასაწყისიდან ძირითადი აქცენტი გაკეთდა გაბანკების პროექტის მხარდაჭერაზე. შესაბამისად, ტექნიკური დახმარების პროგრამების მიზნობრიობაც სწორედ საბანკო საჭიროებებს მოერგო. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი მხარდამჭერი იყო ჰოლანდიის განვითარების ბანკი (FMO), რომელმაც ახალი ინიციატივის ფარგლებში, კლიმატის რისკების შემცირებისა და მართვის მიმართულებით მხარდაჭერის პროგრამა დაწერა. გარდა ამისა, responsAbility-მ დააფინანსა ლიდერობის უნარების განმავითარებელი ტრენინგპროგრამები. ასევე, Finance in Motion-დან კომპანიამ მიიღო მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ECL Review and Enhancement Project პროექტის სახით. მთლიანობაში, „კრისტალმა“ 4 კონტრაქტი გააფორმა და 520,000 ევროს მოცულობის ტექნიკური დახმარების პროგრამები მიიღო.

### 2025 წელს განხორციელებული ტრანზაქციები:



## რისკების მართვა 2025 წელს

### რისკების მართვის ჩარჩო

2025 წელი მიკრობანკისათვის მნიშვნელოვანი ეტაპი იყო, რადგან კომპანიამ წარმატებით დაასრულა მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან მიკრობანკად ტრანსფორმაციის პროცესი. აღნიშნულმა ცვლილებამ გააფართოვა მარეგულირებელი ჩარჩო და გაზარდა კაპიტალის, ლიკვიდობისა და სხვა რისკების მიმართ არსებული მოთხოვნები.

მიკრობანკი მოქმედებს ინტეგრირებული და ყოვლისმომცველი რისკების მართვის ჩარჩოს ფარგლებში, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსურ მდგრადობას, სტრატეგიული მიზნების მხარდაჭერასა და მარეგულირებელ მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობას.

რისკების მართვის სისტემა ეფუძნება რისკის მადის პრინციპებს და ინტეგრირებულია ყველა ბიზნესმიმართულებაში. ჩარჩო ემყარება დაცვის სამი ხაზის მოდელს.

### რისკის მადა და მმართველობა

მიკრობანკის სტატუსის მიღების შემდეგ განახლდა რისკის მადა მიკრობანკების მარეგულირებელი სტანდარტების, მათ შორის, კაპიტალის ბუფერების, ლიკვიდობის ლიმიტებისა და კონცენტრაციის რისკის მოთხოვნების შესაბამისად.

### მაკროეკონომიკური გარემო

2025 წლის განმავლობაში ბანკი ცვალებად მაკროეკონომიკურ გარემოში საქმიანობდა, რაც გათვალისწინებული იყო ლიკვიდობის სტრუქტურისა და კაპიტალის დაგეგმვის პროცესებში.

### რისკის პროფილის მიმოხილვა

- უმოქმედო სესხების დონე: 3.5%
- საკრედიტო დანაკარგების ხარჯი (Cost of Risk): 23,458 ლარი
- კაპიტალის ადეკვატურობის მაჩვენებელი (CAR): 19.09%
- ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR): 1,700 %
- სავალუტო ღია პოზიცია (OCP): 1.13%

### საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ბანკის ძირითადი რისკია, რომლის მართვის საფუძველია პორტფელის დივერსიფიკაცია და ცენტრალიზებული ანდერრაიტინგი.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღირიცხება IFRS 9-ის შესაბამისად და სრულად შეესაბამება საბანკო ზედამხედველობის მოთხოვნებს.

### საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკის მართვა გაძლიერდა საბანკო რეგულაციების შესაბამისად, განსაკუთრებული აქცენტით ინფორმაციულ უსაფრთხოებასა და კიბერუსაფრთხოებაზე.

### შესაბამისობის რისკი

ბანკი ინარჩუნებს ნულოვან ტოლერანტობას შესაბამისობის დარღვევების მიმართ და უზრუნველყოფს საბანკო რეგულაციების სრულად შესრულებას.

### ლიკვიდობისა და საბაზრო რისკები

ლიკვიდობის მართვა ხორციელდება ALCO-ს მიერ. მიკრობანკის სტატუსით ბანკი ექვემდებარება საბანკო ლიკვიდობის მარეგულირებელ სტანდარტებს, მათ შორის, LCR და NSFR მოთხოვნებს. მარეგულირებელ მოთხოვნებზე ბევრად უფრო კონსერვატიული მიდგომა აქვს მიკრობანკს FX რისკის მიმართ, ასევე, მკაცრად კონტროლდება IRR რისკი.

### კაპიტალის ადეკვატურობა

მიკრობანკად ტრანსფორმაციის შედეგად გაიზარდა კაპიტალის ადეკვატურობის მართვის მოთხოვნები. ბანკი ინარჩუნებს CAR მაჩვენებელს მარეგულირებლის მინიმალურ მოთხოვნებზე მნიშვნელოვნად მაღლა.

### სტრესტესტირება

სტრესტესტირების შედეგები გამოიყენება კაპიტალისა და ლიკვიდობის დაგეგმვაში.

### მონაცემები და ანალიტიკა

გრძელდება მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესება და რისკანალიტიკური შესაძლებლობების ზრდა.

### პერსპექტივა

2026 წელს მიკრობანკი გააგრძელებს საბანკო სტატუსის ფარგლებში რისკების მართვის სისტემის ინსტიტუციურ გაძლიერებასა და რეგულატორულ მოთხოვნებთან პროაქტიულ შესაბამისობას.

## გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობა

### 2025 წლის განმავლობაში განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტები:

- საერთაშორისო კონკურსში - Gender and Green Innovation Awards 2025 - მსოფლიოს მასშტაბით მონაწილე 200-ზე მეტ ორგანიზაციას შორის, „კრისტალი“ ათი საუკეთესო კომპანიიდან ერთ-ერთი გამარჯვებული გახდა. კონკურსი ორგანიზებული იყო აზიის განვითარების ბანკისა (ADB) და ცენტრალური აზიის რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის (CAREC) მიერ.
- გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის (UN Global Compact Network Georgia) ორგანიზებით გამართულ ყოველწლიურ კონკურსზე - „კორპორაციული მდგრადობის ჯილდო – ბიზნესი მდგრადი განვითარებისათვის“ - „მიკრობანკ „კრისტალს“ სპეციალური ჯილდო გადაეცა.

### „კრისტალი“ - ქალთა და გოგონათა ეკონომიკური და სოციალური გაძლიერების მხარდამჭერი

- „კრისტალის“ ქალთა პიროვნული, სამეწარმეო და ეკონომიკური გაძლიერების პროგრამის - **Buzz Georgia**-ს - ფარგლებში, 2020-2025 წლის მდგომარეობით **6200** ქალს მიეცა წვდომა ფინანსური განათლების, სამეწარმეო ცნობიერების ამაღლებისა და პიროვნული გაძლიერების შესაძლებლობებზე. პროგრამა ეფუძნება Buzz Women Global-ის 5C მოდელს (Cash, Care, Confidence, Climate, Community), რომელიც ეკონომიკური და სოციალური გაძლიერების კომპონენტებს აერთიანებს.
- Buzz Georgia-ს პროგრამის მასშტაბური გავლენის შენარჩუნების მიზნით, 5C-მოდელზე დაყრდნობით, „კრისტალის“ მხარდაჭერითა და ფონდ „ბილივთან“ პარტნიორობით განხორციელდა პროექტი „გოგონებისა და ქალთა მეწარმეობის მხარდაჭერა ფოთში“, რომელშიც ჩაბმული იყო 50-მდე მოსწავლე გოგონა. სასწავლო პროცესში მონაწილეობდნენ Buzz Georgia-ს თემის ლიდერი ქალები და „კრისტალის“ Buzz-ტრენერები.
- აზიის განვითარების ბანკთან (ADB) თანამშრომლობით 2025 წლის თებერვალში ჩატარდა ტრენინგი მეწარმე და ტურიზმის სექტორში დასაქმებული ქალებისათვის. ტრენინგი მოიცავდა გენდერული და კლიმატური ცნობიერების საკითხებს ფინანსური განათლების კონტექსტში.
- „კრისტალმა“ მონაწილეობა მიიღო გლობალურ ინიციატივაში - „Ring the Bell for Gender Equality 2025“. პანელურ სესიაში მონაწილეობდა „კრისტალის“ ქალი მომხმარებელი, რომელმაც საკუთარი გამოცდილებით ისაუბრა ქალთა მხარდამჭერ ფინანსურ გარემოზე.

- 2025 წელს „კრისტალმა“ სპონსორობა გაუწია UN Women Georgia-ს მიერ ორგანიზებულ Women Expo 2025-ს - ქალთა მეწარმეობის ყველაზე დიდ გამოფენას ქვეყანაში (200+ მონაწილე).
- კომპანია მხარს უჭერს ახალგაზრდა ძალოსან ქალ სპორტსმენს - ნანა ხორავას (U20 ევროპის ვიცე-ჩემპიონი), როგორც ქალთა გაძლიერების პოზიტიურ მაგალითს.
- MAC Georgia-სთან პარტნიორობით, 2024-2025 წლებში „კრისტალმა“ სოციალურად დაუცველი 4 სტუდენტი გოგონასათვის უმაღლესი განათლების მისაღებად საჭირო თანხა დააფინანსა.
- განხორციელდა თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლების კამპანია „ქალთა თვეები“ (ვიქტორინები, ვებინარები და მედიამასალები ქალთა უფლებების, ჯანმრთელობისა და სამეწარმეო მიღწევების შესახებ).
- გარე აუდიტორიისათვის მომზადდა ქალ მეწარმეთა ვიდეოსტორიები, ასევე სტატიები „კრისტალის“ წარმატებულ ქალ თანამშრომლებზე, რაც ხელს უწყობს ქალთა როლის წარმოჩენას ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში.

#### გარემოს დაცვა და მწვანე ინიციატივები

- 2025 წლის მდგომარეობით „კრისტალის“ 5 ფილიალი მზის ენერჯის მოხმარებაზე გადავიდა.
- დაინერგა და წარმატებით ფუნქციონირებს ელექტრონული ხელმოწერის სისტემა (Signify), რამაც ხელი შეუწყო ქაღალდის მოხმარების მნიშვნელოვნად შემცირებას.
- USB-კაბელების მწარმოებელ Tene-სთან თანამშრომლობით ორი წლის განმავლობაში 185 კგ-ზე მეტი პლასტმასა და ელექტრობატარეა შეგროვდა.
- „კრისტალი“ აქტიურად მუშაობს ეკომეგობრული კლიენტების ცნობადობის გაზრდაზე — დაიწყო ვიდეოსერიების მომზადება იმ მეწარმეების შესახებ, რომლებიც თავიანთ საქმიანობას გარემოსადმი პასუხისმგებლობით წარმართავენ.
- საქართველოს დამლაგებელთა გილდია „სადაგთან“ თანამშრომლობით უკვე მეორედ განხორციელდა გუდაურის საკურორტო ზონის დასუფთავება „კრისტალის“ „მწვანე ელჩების“ მონაწილეობით.

#### სოციალური, საგანმანათლებლო და პარტნიორული ინიციატივები

- „კრისტალი“ Pro Bono-ქსელის წევრია; 2018–2025 წლებში კომპანიამ საკონსულტაციო-ექსპერტული და ფინანსური მხარდაჭერა გაუწია 15 სოციალურ საწარმოსა და 50-მდე სოციალურ მეწარმეს;
- „კრისტალის“ მხარდაჭერით შეიქმნა რობოტიკის სასწავლო კლუბი ვანის №2 საჯარო სკოლაში.

- Lib.ge-აკადემიასთან პარტნიორობით გაიზარდა არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობა აფხაზეთში მცხოვრები ბავშვებისათვის, ასევე ახალქალაქში - მასწავლებლების, ემიგრანტი ქალებისა და გოგონებისათვის.
- 2025 წლის 21 მარტს „კრისტალი“ ტრადიციულად შეუერთდა დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეს ფინანსური კონტრიბუციითა და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებით.
- 2014 წლიდან „კრისტალი“ აქტიურად მონაწილეობს World Run-ის მსოფლიო მარათონში. კომპანიის თანამშრომლები წელსაც შეუერთდნენ მსოფლიო გარბენს ზურგის ტვინის დაზიანების მქონეთა მხარდასაჭერად.

## ადამიანები ჩვენს ორგანიზაციაში

### ადამიანები ჩვენს ორგანიზაციაში

„კრისტალი“ ქვეყნის მასშტაბით 48 ფილიალით არის წარმოდგენილი და დასაქმებული ჰყავს 1,047 ადამიანი. მათ შორის არიან როგორც ძველი, გამოცდილი თანამშრომლები, ისე ახალბედა, ე.წ. Gen-Z თაობის ახალგაზრდები. აღნიშნული სინთეზი არის იმ დიდი წარმატების საწინდარი, რომელსაც კომპანია მუდმივად აღწევს.

ახალი სლოგანი - **შენი შესაძლებლობების ბანკი** - მხოლოდ მომხმარებლებისათვის გამიზნული გზავნილი არ არის. კომპანიის ხედვით, ის სრულად გადმოსცემს ორგანიზაციულ დამოკიდებულებას თანამშრომლების მიმართაც: ზრუნვა და პარტნიორობა გახლავთ სწორედ ის მიდგომა, რომლითაც კომპანია თანამშრომლებთან ურთიერთობს.

- **ზრუნვა** გამოიხატება მისწრაფებით, რომ „კრისტალი“ იყოს ადგილი, სადაც თითოეულ ადამიანს რეალურად აქვს განვითარების, სწავლისა და ზრდის შესაძლებლობა.
- **პარტნიორული ურთიერთობა** გულისხმობს, რომ აქ დასაქმებული ადამიანები არიან არა უბრალოდ თანამშრომლები, არამედ პარტნიორები კომპანიის წარმატებაში. ამასთან, „კრისტალი“ მუდმივად ითვალისწინებს მათ ინტერესებს, საჭიროებებს და ქმნის თანამშრომლებზე ორიენტირებულ კორპორაციულ კულტურას.

2025 წლის განმავლობაში ტალანტების განვითარებისა და მართვის მიმართულებით კომპანიამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია:

- წლის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ტალანტების განვითარების პროგრამების გაფართოებას, რაც ახალი ტრენინგმოდულების დანერგვასა და თანამშრომლების ჩაბმულობის ზრდაში გამოიხატა;
- პროცესები გაციფრულდა, რამაც გააუმჯობესა ეფექტიანობა და შეამცირა დროის ხარჯი ოპერაციულ ამოცანებზე;
- ჩატარდა 207 სხვადასხვა ფორმატისა და შინაარსის სწავლება, რომელშიც 6,416 თანამშრომელი მონაწილეობდა;
- განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა თანამშრომლების მოტივაციასა და ჩაბმულობაზე, რაც სხვადასხვა ინიციატივაში აისახა და ხელი შეუწყო სამუშაო გარემოს გაუმჯობესებას; განხორციელდა მრავალფეროვანი აქტივობები, რომლებიც განსხვავებული ინტერესების მქონე თანამშრომლების საჭიროებებზე იყო მორგებული;
- ყველა ამ აქტივობის გათვალისწინებით, თანამშრომელთა გადინების მაჩვენებელი შემცირდა და 10.89% შეადგინა. ამრიგად, შენარჩუნდა ბოლო წლებში არსებული კლების ტენდენცია, რაც ადასტურებს კომპანიის წარმატებულ პოლიტიკას თანამშრომელთა ერთგულებისა და ჩაბმულობის კუთხით.

## სტატისტიკა

- კომპანიაში შრომითი ხელშეკრულებით აყვანილ იქნა 219 თანამშრომელი, მომსახურების ხელშეკრულებით კი - 155 კონტრაქტორი;
- სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმდა 86 სტაჟიორი, მათ შორის, 90% - საფილიალო ქსელში, დანარჩენი კი - სათავო ოფისის პოზიციებზე;
- პოზიცია შეიცვალა 128 თანამშრომელმა, მათ შორის, 53% - ვერტიკალური დაწინაურებით.

## “HR პულსი“ - თანამშრომელთან ახლოს

თანამშრომლებთან კომუნიკაციისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, ფილიალებში HR-ბიზნესპარტნიორებისა და შერჩევის სპეციალისტების გეგმური ვიზიტები დაიწყო. ინიციატივა თითოეულ თანამშრომელთან ადგილზე უშუალო კომუნიკაციას, მათი საჭიროებების უკეთ გაგებასა და დროულ რეაგირებას, ფაქტობრივად, „მათ პულსზე მუდმივ დაკვირვებას“ გულისხმობს. წლებიანდელი ვიზიტის ფარგლებში გუნდმა 6 რეგიონის 48 ფილიალი მოიცვა.

## HR-ის პროცესების გაციფრულება - Signify & Helio.AI

HR-ის გუნდი მუდმივად მუშაობს შიდა პროცესების დახვეწასა და გაუმჯობესებაზე, რაც ამარტივებს ოპერაციებს და ხელს უწყობს თანამშრომლების განვითარებასა და ეფექტიან მუშაობას.

- HR-პროცესებში დაინერგა **Signify**-პლატფორმა, რომლის დახმარებითაც დოკუმენტების ადმინისტრირება ერთი სივრციდან ხდება. Signify-მ მნიშვნელოვნად გაამარტივა ხელმოწერის პროცესი, გამოათავისუფლა დრო და შეამცირა ქაღალდზე ხელმოწერასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯი;
- რეკრუტინგის მიმართულებით 2025 წელს დაიწყო თანამშრომლობა Helio.AI-სთან. კანდიდატების შერჩევის პროცესი სრულად გაციფრულდა და ბევრად გამარტივდა. პლატფორმა უზრუნველყოფს ინფორმაციის სწრაფ, გამჭვირვალე და მოქნილ მიმოცვლას ყველა მონაწილე მხარეს შორის, რაც ზრდის პროცესის ეფექტიანობას.

## ადამიანების განვითარება

2025 წელს თანამშრომელთა განვითარების მხრივ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მიკრობანკად ტრანსფორმაციასთან დაკავშირებულ სწავლებებს: ახალი საბანკო პროდუქტების, პროცესებისა და რეგულაციების სრულად მოცვის მიზნით, განახლდა არსებული სასწავლო პროგრამები. გარდა ამისა, შეიქმნა სრულიად ახალი საბაზისო

პროგრამები სხვადასხვა პოზიციისათვის. პარალელურად, საფილიალო ქსელში კომპეტენციების გასაძლიერებლად დაინერგა განგრძობითი სწავლების მოდელი, განხორციელდა საბანკო პროდუქტების გაყიდვების სწავლება. განვითარდა მენეჯერთა უნარები ინკლუზიური ლიდერობის მიმართულებით.

გაუმჯობესდა ახალმიღებულთა მომზადების ფორმატი, გაიზარდა პრაქტიკული, აუდიტორული სწავლების წილი და დაინერგა მონაწილეთა ჩაბმულობისა და პროგრესის სისტემური მონიტორინგის მექანიზმები, რამაც გააუმჯობესა ცოდნის ხარისხიანი ათვისება და შესასრულებელ ფუნქციასთან სწრაფი ადაპტაცია.

## ერთად მიღწეული წარმატება

2025 წელი „კრისტალისათვის“ გამორჩეული და გარდამტეხი წელი იყო. კომპანიამ 12 თებერვალს მიკრობანკის ლიცენზია მოიპოვა, ლიცენზიის მიღებიდან სულ რაღაც 4 თვეში კი უპრეცედენტო ტემპითა და მასშტაბით, წარმატებით დაიწყო ოპერირება, რაც ქართულ ბაზარზე აქამდე არცერთ საფინანსო კომპანიას არ განუხორციელებია.

ამ დიდი მიღწევის უკან იდგა ერთიანი გუნდი, რომელმაც მაღალი პასუხისმგებლობით, ჩაბმულობით, სწორი კოორდინაციითა და ერთმანეთთან თანამშრომლობით შეძლეს რთული ამოცანების უმოკლეს დროში შესრულება და დაამტკიცეს, რომ „კრისტალი“ მზად არის მასშტაბური ცვლილებებისათვის.

ეს იყო კომპანიის დიდი გამარჯვება, რომელმაც კიდევ ერთხელ აჩვენა „კრისტალის“ სტრატეგიული კურსის სისწორე და გრძელვადიანი ხედვა.

აღსანიშნავია, რომ ამ მასშტაბური წარმატების უკან დგას ორი ძლიერი და ერთმანეთთან მჭიდროდ კოორდინირებული გუნდის ერთობლივი შრომა. საბანკო ლიცენზირებისა და ოპერირების პროექტის მენეჯერი იყო სტრატეგიული და ორგანიზაციული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი **ნინო მესხი**, რომლის ლიდერობით შესაძლებელი გახდა რთული და მრავალეტაპიანი პროექტის ეფექტიანი მართვა და კომპანიის სტრატეგიული ხედვის განხორციელება.

პროექტის პირველი ეტაპის წარმატებით დასრულება უკავშირდება **ლიცენზირების გუნდს**, რომელიც ინტენსიურად მუშაობდა დოკუმენტაციის პაკეტის მომზადებასა და პროცესების ჩამოყალიბებაზე. გუნდის ძირითად შემადგენლობაში იყვნენ იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნიკოლოზ გეგეშიძე, AML და შესაბამისობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნინო კალანდაძე, კორპორაციული მდივანი ნინო მეტრეველი, შესაბამისობის განყოფილების ხელმძღვანელი ანა დათუკიშვილი.

ლიცენზიის მოპოვება რთული და კომპლექსური პროცესი იყო, რომელიც მოითხოვდა სამართლებრივი, ფინანსური და ადმინისტრაციული ასპექტების დეტალურ ანალიზსა და შესაბამისობას მარეგულირებელი სტრუქტურების მოთხოვნებთან. ამ პროცესში გუნდის ყველა წევრი გამოირჩეოდა მაღალი პასუხისმგებლობით, ანალიტიკური სიზუსტითა და შედეგზე ორიენტირებული მუშაობით. მათი მაღალი პროფესიონალიზმის, სისტემური მიდგომისა და პასუხისმგებლობის შედეგად, „კრისტალმა“ წარმატებით გაიარა ლიცენზირების ყველა ეტაპი, რაც 12 თებერვალს საბანკო ლიცენზიის მიღებით დაგვირგვინდა.

მიკრობანკის ლიცენზიის მიღების შემდეგ კი დაიწყო არანაკლებ მნიშვნელოვანი პროექტი, რომლის წარმატებაც **საბანკო ოპერირების გუნდს უკავშირდება** - გუნდს, რომელმაც უმოკლეს ხანში უზრუნველყო ახალი საბანკო პროცესების ამოქმედება და პროდუქტების გაშვება. გუნდის ძალისხმევით დაინერგა ოპერაციული მოდელები, სისტემები და სტანდარტები, რაც

აუცილებელი იყო სრულფასოვანი საბანკო საქმიანობის დასაწყებად. აღსანიშნავია ისიც, რომ ოპერირების გუნდის ძალისხმევით, მიკრობანკის ლიცენზიის მიღებიდან სულ რაღაც 4 თვეში, კომპანიამ შეძლო პირველი საბანკო პროდუქტების გაშვება, მათ შორის, გაიხსნა ანგარიშები, დეპოზიტები, ანაბრები, ჩატარდა წინასწარი მასშტაბური სამუშაოები საბანკო პლასტიკური ბარათების გამოსაშვებად.

განსაკუთრებით აღსანიშნავია თანამშრომლების მზადყოფნა და მოქნილობა ახალ რეგულაციებთან, სისტემებსა და პასუხისმგებლობებთან ადაპტაციისას, რაც მაღალი პროფესიონალიზმითა და შედეგზე ორიენტირებული მიდგომით განხორციელდა.

სწორედ ადამიანური კაპიტალია ის მთავარი ძალა, რომელმაც „კრისტალს“ მისცა შესაძლებლობა, მოკლე ხანში წარმატებით გადასულიყო განვითარების სრულიად ახალ ეტაპზე.

„კრისტალის“ ხედვა - **თანამშრომლები, როგორც პარტნიორები** - ამ პროცესში კიდევ ერთხელ დადასტურდა. თითოეული თანამშრომლის წვლილი, ინიციატივა და ჩაბმულობა გახდა საერთო წარმატების ნაწილი. ეს წარმატება ეკუთვნის ყველას, ვინც მონაწილეობდა ამ პროცესში: მათ, ვინც ცვლილებებს ლიდერობდა, და მათაც, ვინც ყოველდღიური შრომით უზრუნველყოფდა კომპანიის სტაბილურობასა და სვლას ახალი წარმატების გზაზე.

სწორედ ასეთი გუნდური სულისკვეთება ქმნის საფუძველს „კრისტალის“ შემდგომი განვითარებისათვის და გვინერგავს მყარ რწმენას, რომ ერთობლივი ძალისხმევით კომპანია მომავალშიც შეძლებს კიდევ უფრო ამბიციური მიზნების მიღწევას.

## ოპერაციების მართვა

**ცენტრალიზებული ბექოფისის დეპარტამენტმა** 2025 წლის განმავლობაში სრულად და წარმატებით განახორციელა ყველა ის პროექტი, რომელიც მიკრობანკად ტრანსფორმაციის მიზნებისათვის იყო დაგეგმილი და 2024 წლიდან დაიწყო.

- წარმატებით დაინერგა სავალდებულო სერვისები შემოსავლების სამსახურთან, აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან, მოვალეთა რეესტრსა და NAPR-თან. პროცესები გახდა ავტომატიზებული და სწრაფი;
- ჩატარდა დეპარტამენტში შემავალი ყველა პროცესის ინვენტარიზაცია, შესაბამისად, მიმდინარეობს წესებისა და პროცესების განახლება;
- წარმატებით დასრულდა „კრისტალისათვის“ SWIFT connected BIC-ის მიღების პროცესი. შედეგად, კომპანიას მიენიჭა connected BIC-კოდი - BCRYGE22. 16 ივნისიდან მიკრობანკი აქტიურად არის ჩართული SWIFT-ის საერთაშორისო სისტემაში და წარმატებით ახორციელებს ოპერაციებს;
- 2025 წლის 22 ნოემბრიდან მიკრობანკი სრულად გადაერთო SWIFT-ის ახალ ISO20022 სტანდარტზე, რაც უზრუნველყოფს სავალდებულო გადარიცხვებისა და ჩარიცხვების მეტად სტრუქტურულ და დაცულ მიმოცვლას;
- დეპარტამენტი აქტიურად არის ჩაბმული საბანკო ბარათების პროექტში;
- 2025 წელს წარმატებით დაინერგა ეროვნული ბანკის RTGS-ის სისტემა რეალურ გარემოში.

კომპანიის ისტორიაში პირველად, დეპარტამენტმა რობოტიზაციისათვის შერჩეული ოპერაციები და პროცესები წარმატებით დაინერგა. 2025 წლის მეორე ნახევრიდან მიკრობანკის პირველი რობოტი EVA აქტიურად და წარმატებით ასრულებს 4 რუტინულ პროცესს, რამაც მნიშვნელოვნად დაზოგა თანამშრომელთა დრო და რესურსი. აღნიშნულ 4 პროცესში შედის როგორც საკრედიტო, ისე არასაკრედიტო ოპერაციების განყოფილებების პროცესები.

დეპარტამენტის ძალისხმევით შეიქმნა ახალი სერვისდესკი, რომელმაც მნიშვნელოვნად დაზოგა თითოეული მომხმარებლის დრო.

**კორპორაციული ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი** წლის განმავლობაში უზრუნველყოფდა შიდა პროცესების ორგანიზებას, რესურსების რაციონალურ მართვას, ინფრასტრუქტურის გამართულ მუშაობას, თანამშრომლებისათვის უსაფრთხო, კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნას. ამ მიზნით:

- ფილიალებში მოეწყო ოპერატორების სამუშაო ადგილები (დაგეგმარების ცვლილება, რეკონსტრუქცია, ინვენტარიზაცია, სამონიტაჟო სამუშაოები);
- მოეწყო სრულყოფილი საკასო ცენტრი;

- სარემონტო სამუშაოები ჩატარდა 6 ფილიალში, დაიგეგმა რამდენიმე ფილიალის რელოკაცია და შესაბამისი სამუშაოები;
- რეკონსტრუქცია ჩატარდა თბილისის განვადების ცენტრის ოფისს;
- ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა რებრენდინგის ფარგლებში გარე ფასადებზე აბრების შეცვლის ნებართვების მოსაპოვებლად და სამუშაოების საწარმოებლად;
- გადაიხედა და განახლდა ამ დროისათვის აღრიცხული დოკუმენტაციის ნუსხა/მატრიცა. აღნიშნული ინფორმაცია ხელს უწყობს კომპანიაში წარმოებული დოკუმენტების სრულყოფილად აღრიცხვას, მათ შენახვასთან დაკავშირებული პროცესების სტანდარტიზაციას, დოკუმენტების დაკარგვის რისკების მინიმიზაციას, პასუხისმგებლობების განსაზღვრასა და კონფიდენციალურობის/შესაბამისი წვდომების უზრუნველყოფას;
- სტრუქტურული ცვლილების თანახმად, კორპორაციული უსაფრთხოების მიმართულება დაექვემდებარა კორპორაციული ინფრასტრუქტურის დეპარტამენტს და დაიგეგმა შესაბამისი სამუშაოები ცვლილებების პროცესის მართვის კუთხით.

**შესყიდვების დეპარტამენტი** აქტიურად განაგრძობდა წინა წელს დანერგილი ელექტრონული ხელმოწერის (signify) პროექტის მხარდაჭერას, რომელიც შესყიდვების მიმართულების გარდა, სხვა სტრუქტურული ერთეულების ჩაბმასაც გულისხმობდა. 2025 წელს დამატებით დაინერგა HR-ისა და ლიზინგის მიმართულების signify პლატფორმა, რამაც კიდევ უფრო მოქნილი და ეფექტიანი გახადა შიდა პროცესები, ასევე დადებითი ეფექტი მოახდინა გარე ვენდორებთან ურთიერთობაზეც.

- დეპარტამენტი აქტიურად უჭერდა მხარს ფილიალების რებრენდინგის პროექტს (აბრების, ლაითბოქსებისა და ა.შ. განახლება);
- წლის განმავლობაში ჩატარდა 32 ტენდერი;
- როგორც მხარდამჭერი რგოლი, დეპარტამენტი მონაწილეობდა ტრანსფორმაციასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში;
- დეპარტამენტი მნიშვნელოვან მხარდაჭერას უწევდა სხვადასხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფს სამოტივაციო აქტივობებისა თუ ღონისძიებების ორგანიზებაში, ხარისხიანი მომსახურებისა თუ პროდუქტების შესყიდვაში.

**ნაღდი ფულის მართვის განყოფილება** აქტიურად მონაწილეობდა კომპანიის მიკრობანკად ტრანსფორმაციის პროცესში. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა როგორც მიკრობანკის ლიცენზიის მოპოვებაში, ისე სალარო ოპერაციების რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანაში.

- გუნდმა მაქსიმალურად უზრუნველყო არსებული წესების სებ-ის რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

- მიკრობანკის ლიცენზიის მიღების შემდეგ საკასო ცენტრის არსებობამ „კრისტალს“ მისცა შესაძლებლობა საქართველოს ეროვნულ ბანკში განეხორციელებინა საინკასაციო ოპერაციები. ეროვნულ ბანკთან თანამშრომლობის ფარგლებში „კრისტალი“ გაწევრდა ეროვნული ბანკის ნაღდი ფულის მიღება-გაცემის განაცხადების ელექტრონულ სისტემაში, რომლის საშუალებითაც ხორციელდება საინკასაციო ოპერაციების რეგისტრაცია და მართვა.

## ინფორმაციული ტექნოლოგიები

2025 წელი ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტისათვის გამორჩეული იყო როგორც მასშტაბით, ისე მიღწეული შედეგებით. დეპარტამენტს მოუწია ინტენსიური სამუშაოების შესრულება, რათა კომპანიისათვის ისტორიული მნიშვნელობის ტრანსფორმაციის ეტაპი წარმატებით დასრულებულიყო და 2025 წლის ივნისში ოპერირება მინიმალური წყვეტით გაგრძელებულიყო.

ტრანსფორმაციის მხარდაჭერა მოითხოვდა მრავალი თვის განმავლობაში უწყვეტ მუშაობას როგორც ინფრასტრუქტურის, ისე პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების, პროექტმენეჯმენტის, ბიზნესანალიზისა და პროგრამული უზრუნველყოფის ხარისხის მართვის მიმართულებით. პროექტის წარმატება გუნდებს შორის მაღალი კოორდინაციის, დროული გადაწყვეტილებების მიღებისა და ტექნიკური გამოწვევების ეფექტიანად მართვის შედეგი იყო.

2025 წლის განმავლობაში პროექტების მართვისა და ბიზნესანალიტიკის დეპარტამენტმა უზრუნველყო 100-ზე მეტი პროექტის დაგეგმვა, დამუშავება, მონიტორინგი და დასრულება. მათგან ბევრი დაკავშირებული იყო კრიტიკული სისტემების მოდერნიზაციასთან, ახალი პლატფორმების დანერგვასა და ბიზნესის მოთხოვნებზე სწრაფ რეაგირებასთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია: ლარის გადარიცხვები, სავალუტო გადარიცხვები, საბანკო გადარიცხვები და სახაზინო გარიგებების მოდულები, ლიზინგის საზღაურის გადახდების მართვა, სწრაფი გადახდის ტერმინალებიდან თანხის შეტანა, IBAN-ანგარიშების გახსნა, NAPR-სერვისის დანერგვა, ანაბრები, საჯარო რეესტრთან სერვისების ავტომატიზაცია, აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან ინტეგრაცია, შემოსავლების სამსახურთან ინტეგრაცია, გაბანკებასთან დაკავშირებული საბეჭდი ფორმების ავტომატიზაცია, საბანკო ანგარიშთა გეგმის განახლება, ცნობების შაბლონების ავტომატიზაცია, SMS-შეტყობინებების განახლება, საბანკო რეპორტები, ლიზინგის ხელშეკრულებების ელექტრონული ხელმოწერის ფუნქციონალის დანერგვა, AML-რისკნარატივის მოდული, ცენტრალიზებული ავტორიზაციის სისტემა, API Gateway, ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვის პორტალი, მომხმარებელთა ქმედებების ლოგირება, ვადაგადაცილებული სესხების გადაწერის ავტომატიზაცია, OPTIO- და PMO-პროცესების ოპტიმიზაცია, რობოტიზაცია, Dressler - შემოსავლების შეფასების სტატისტიკური მოდელი, სახის ამომცნობი სერვისი, Crystal Service Desk-ის სისტემა, მონაცემთა არქივის სისტემა, საკრედიტო კლიენტების სეგმენტაცია, CrystalOne-ის მოდერნიზაცია, Akido-ს მოდერნიზაცია, ASM მოდულის განახლება, ISO 20022 სტანდარტზე დაფუძნებული ახალი სავალუტო მოდულის დანერგვა, 125-ზე მეტი რეპორტის დამუშავება.

აღსანიშნავია პროგრამული უზრუნველყოფის ხარისხის მართვის განყოფილების მიერ გაწეული ძალისხმევა. ჩატარდა ისეთი მნიშვნელოვანი სისტემებისა და მოდულების

ტესტირება, როგორებიც არის: სალარო და სავალუტო გადარიცხვების სისტემები (RTGS, SWIFT), აღსრულების ეროვნული ბიურო (NBE), მოვალეთა რეესტრი, შემოსავლების სამსახური, ანაზრები, ლიზინგის ქოლექშენი, Leasing Signify, PayBox-გადახდის სერვისები, საბეჭდი ფორმები, ცნობების შაბლონების ავტომატიზაცია, OPTIO-სერვისები, რობოტიზაციის პროექტი, იდენტომატი, AML-რისკნარატივი, ბიზნესსერვის დესკი, Dresler (Middleware), SMS (მარკეტინგული გაგზავნები), საკომისიოების ჩამოჭრის ჯობი, DM, კრედიტინფოს ბაზები, KYC AML-ში გადამოწმება, ბილინგის შეგროვების ლოგიკა, ვადაგადაცილებული სესხების გადაწერის ლოგიკა, LMS-ში ახალი გირაოების რეგისტრაცია, ლიზინგის ლოგები.

ზემოაღნიშნულთან ერთად, მუდმივად მიმდინარეობდა არსებული ქორსისტემების **LMS, B6** ვერსიების ტესტირება და ასევე შიდა ვებაპლიკაციების - **AKIDO, Crystal One** - განვითარება და მათთან დაკავშირებული სერვისების და ცვლილებების ტესტირება.

ტესტირების ავტომატიზაციის მიმართულებით აქტიურად მიმდინარეობდა Crystal One-ის ავტომატიზაცია ადამიანური რესურსების ეფექტიანად გამოყენებისა და პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

**ინფრასტრუქტურის მიმართულებით** 2025 წელს რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, რომლებიც მიზნად ისახავდა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, უსაფრთხოების გაძლიერებასა და ინფრასტრუქტურის ოპტიმიზაციას. გაძლიერდა ფილიალების ინფრასტრუქტურა, დამონტაჟდა Wi-Fi სისტემა, გასაუბრების კაბინებში კი - კომპიუტერული ტექნიკა. ფილიალებში განახლდა ქსელური ინფრასტრუქტურა და გაუმჯობესდა ქსელის უსაფრთხოება. კომპანიის საოპერაციო ხარჯების შემცირებისა და ინფრასტრუქტურის ოპტიმიზაციის მიზნით, სრულად განხორციელდა Alta-ს სატესტო გარემოს მიგრირება ლოკალურ დატაცენტრში. გაბანკების პროცესში ოპერატიულად მოეწყო Alta-ს ახალი ტრენინგგარემო. ბიზნესუწყვეტობის გაუმჯობესებისათვის სარეზერვო სასერვეროში დაინსტალირდა ახალი UPS-სადგურები. 2025 წლის განმავლობაში დეპარტამენტი აქტიურად მონაწილეობდა ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტის პროცესში. Data Lake-ის პროექტისათვის მოეწყო სატესტო და პრეპროდაქშენგარემო, Optio-პროექტის ფარგლებში მოეწყო დეველოპმენტის, პრეპროდაქშენისა და პროდაქშენის ინფრასტრუქტურა.

IT-სტაჟირების პროგრამის ფარგლებში ჩატარდა სტაჟორების შერჩევის მრავალეტაპიანი პროცესი, რომლის დასრულების შემდეგ კომპანიაში სხვადასხვა ტექნიკური მიმართულებით შვიდი ადამიანი დასაქმდა.

## ინფორმაციული უსაფრთხოება

2025 წლის განმავლობაში ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებით რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, რის შედეგადაც გაუმჯობესდა კიბერინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების შესაძლებლობები.

წლის განმავლობაში ძირეულად განახლდა უსაფრთხოების ხელსაწყოების (SIEM, DLP, PAM, Office 365) კონფიგურაციები, მნიშვნელოვნად გაიზარდა ეროვნული ბანკის რეგულაციების მოთხოვნებთან შესაბამისობა (კიბერუსაფრთხოების ჩარჩო, ღრუბლოვანი აუთსორსინგული მომსახურების სახელმძღვანელო, ანგარიშვალდებული პირის მიერ პრევენციული ღონისძიებების ელექტრონულად განხორციელების წესი), დაინერგა Cyber Threat Intelligence-სისტემის საპილოტე პროგრამა, მოხდა SWIFT-ის კიბერუსაფრთხოების ჩარჩოს თვითშეფასება და მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, კრიტიკული სისტემების შეღწევადობის ტესტირება და Security Operations Centre-ის (SOC) ჩამოყალიბება.

# მმართველობითი ანგარიში

## კორპორაციული მმართველობის ანგარიში

ბანკ „კრისტალის“ მიზანია კორპორაციული მმართველობის მაღალი სტანდარტების დაცვა. იგი აღიარებს, რომ ეფექტიანი მმართველობა გადამწყვეტია ბანკის ფინანსური გამართულობის, რისკების გონივრული მართვისა და გრძელვადიანი მდგრადობისათვის. ბანკის მმართველობის ჩარჩო შექმნილია გადაწყვეტილების პასუხისმგებლობით მიღების, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად, საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს ეროვნული ბანკის მარეგულირებელი მოთხოვნებისა და საერთაშორისო საბანკო პრაქტიკის შესაბამისად.

## მმართველობითი სტრუქტურა

ბანკი ფუნქციონირებს მმართველობის მკაფიო სტრუქტურით, რომელიც განსაზღვრავს მმართველი ორგანოებისა და მენეჯმენტის როლებსა და პასუხისმგებლობებს. სამეთვალყურეო საბჭოს ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა ბანკის სტრატეგიულ მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და კონტროლზე. იგი მოქმედებს ბანკის, მისი მეანაზრების, აქციონერებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, ამასთან, უზრუნველყოფს მარეგულირებელი ორგანოს მოლოდინებთან შესაბამისობას.

სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს ბანკის სტრატეგიას, ბიზნესგეგმას, რისკის მადას, ძირითად პოლიტიკასა და შიდა მმართველობის წესებს; ასევე, ზედამხედველობას უწევს მენეჯმენტის მიერ მათ ეფექტიან დანერგვას. სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს ბანკის მიერ ადეკვატური კაპიტალისა და ლიკვიდობის შენარჩუნებას და ხელს უწყობს ორგანიზაციაში რისკებისა და შესაბამისობის ძლიერი კულტურის ჩამოყალიბებას.

## სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა და ხელმძღვანელობა

სამეთვალყურეო საბჭო შედგება სხვადასხვა უნარის, გამოცდილებისა და დამოუკიდებლობის ხარისხის მქონე წევრებისაგან, რომლებიც ერთობლივად უწევენ კოორდინაციას საბანკო, ფინანსურ, რისკების მართვის, ტექნოლოგიურ და მარეგულირებელ საკითხებს. სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრი ექვემდებარება შესაფერისობის შეფასებას საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობს საბჭოს, უზრუნველყოფს მის ეფექტიან ფუნქციონირებას და ხელს უწყობს ღია და კონსტრუქციულ დისკუსიას. თავმჯდომარისა და გენერალური დირექტორის როლები მკაფიოდ არის გამიჯნული, რათა უზრუნველყოფილ იქნეს უფლებამოსილების დაბალანსებული განაწილება და მენეჯმენტის დამოუკიდებელი ზედამხედველობა.

## **სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები**

საკუთარი საქმიანობის მხარდასაჭერად სამეთვალყურეო საბჭომ, საქართველოს ეროვნული ბანკის მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად, ჩამოაყალიბა სპეციალიზებული კომიტეტები. თითოეული მათგანი მოქმედებს საქმიანობის გაწერილი წესის საფუძველზე და რეგულარულად წარუდგენს ანგარიშს საბჭოს. ეს კომიტეტებია: აუდიტის კომიტეტი და რისკების მართვის კომიტეტი. კომიტეტები აძლიერებენ საბჭოს ზედამხედველობას ფინანსური ანგარიშგების, რისკების მართვისა და შიდა კონტროლის მიმართულებით.

## **დირექტორთა საბჭო**

დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია ბანკის ყოველდღიურ მართვასა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სტრატეგიისა და პოლიტიკის განხორციელებაზე. მენეჯმენტი მოქმედებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მკაფიოდ დადგენილი უფლებამოსილებისა და რისკის მადის ფარგლებში; ამასთან, იგი უზრუნველყოფს ბანკის საქმიანობის შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან, მარეგულირებელ წესებსა და შიდა პოლიტიკასთან.

## **რისკის მართვა და შიდა კონტროლი**

ბანკს აქვს რისკების მართვის კომპლექსური ჩარჩო, რომელიც მოიცავს ყველა არსებით რისკს. ეფექტიანი ზედამხედველობა ეყრდნობა დამოუკიდებელი კონტროლის ფუნქციებს, მათ შორის: რისკების მართვას, შესაბამისობასა და შიდა აუდიტს. შიდა აუდიტი მოქმედებს დამოუკიდებლად და სამეთვალყურეო საბჭოს აწვდის რწმუნებას მმართველობის, რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემების ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შესახებ.

## **ეთიკა, შრომის ანაზღაურება და გამჟღავნება**

ბანკი ხელს უწყობს ეთიკის მაღალი სტანდარტების დანერგვას ქვეყნის კოდექსისა და ინტერესთა კონფლიქტის მართვის ეფექტიანი მექანიზმების მეშვეობით. შრომის ანაზღაურების სისტემა მხარს უჭერს გონივრული რისკების აღებასა და მენეჯმენტის სტიმულირების თანხვედრას ბანკის გრძელვადიან მიზნებთან. ბანკი ინფორმაციის გამჭვირვალე და დროული გამჟღავნების პრინციპის ერთგულია და აქციონერებსა და დაინტერესებულ მხარეებს აწვდის სამართლიან და დაბალანსებულ ხედვას ბანკის საქმიანობის შედეგების, რისკებისა და მმართველობის შესახებ.

## სამეთვალყურეო საბჭო

„კრისტალს“ ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭო, რომელსაც კომპანიის გრძელვადიანი წარმატების კოლექტიური პასუხისმგებლობა აკისრია.

სამეთვალყურეო საბჭო შედგება ექვსი წევრისაგან, მათ შორის არის ოთხი დამოუკიდებელი წევრი და ინვესტორის ორი წარმომადგენელი. წევრებს აქვთ ბიზნესის განვითარების, კორპორაციული მართვის, საბანკო საქმის/მიკროფინანსირების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების მდიდარი გამოცდილება.

## თავმჯდომარე

საბჭოსა და თავმჯდომარის ფუნქციები ცალსახად გამიჯნულია დირექტორთა საბჭოს პასუხისმგებლობებისაგან. თავმჯდომარე პასუხისმგებელია საბჭოს ხელმძღვანელობასა და მისი საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველყოფაზე.

2025 წელს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე შეიცვალა: 2025 წლის 22 ოქტომბრამდე თავმჯდომარის პოზიცია ეკავა არჩილ ბაკურაძეს, 2025 წლის 22 ოქტომბრიდან კი ეს ფუნქცია რობერტ სკოტ კოსმანმა გადაიბარა.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეობის პერიოდში არჩილ ბაკურაძის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა. არჩილი არის სს მიკრობანკ „კრისტალის“ დამფუძნებელი. იგი ასევე არის Lotus Impact Finance-ის (ქართული საინვესტიციო, ტექნოლოგიური და მმართველობითი პლატფორმა, რომელიც ხელს უწყობს ინკლუზიური და მდგრადი ფინანსების განვითარებას) დამფუძნებელი, სადაც 2025 წლის 22 ოქტომბრამდე უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი იყო. არჩილი ასევე იყო მიკროსაფინანსო ცენტრის საბჭოს თავმჯდომარე. მისი როლი და პასუხისმგებლობა რეგულირდებოდა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული პოლიტიკით.

რობერტ სკოტ კოსმანი საერთაშორისო გამოცდილების მქონე ბანკირია. ამჟამად იგი მიკრობანკ „კრისტალის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და უკრაინული Ukrexim Bank-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და აუდიტის კომიტეტის ხელმძღვანელია. იგი მნიშვნელოვან დროს უთმობს საქმიანობას „კრისტალში“. მისი როლი და მოვალეობა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი პოლიტიკით რეგულირდება. რობერტი აქტიურად საქმიანობს როგორც ფინანსური ტექნოლოგიების ინვესტორი, ასევე არის მრავალი სტარტაპის მრჩეველი.

თავმჯდომარეს ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო და იგი ანგარიშვალდებულია აქციონერთა მიმართ. თავმჯდომარის საქმიანობას, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შეფასების საფუძველზე, აფასებენ სამეთვალყურეო საბჭო და აქციონერები; საბჭოს რეკომენდაციით,

აქციონერები ამტკიცებენ თავმჯდომარის შრომის ანაზღაურების ოდენობასა და მის ნებისმიერ ცვლილებას.

### საბჭოს შემადგენლობა

სს მიკრობანკ „კრისტალის“ სამეთვალყურეო საბჭო ფუნქციონირებს კომპანიის წესდების, კორპორაციული მართვის კოდექსისა და საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციების შესაბამისად. ეს დოკუმენტები მკაფიოდ განსაზღვრავს საბჭოს მანდატს, როლებსა და პასუხისმგებლობებს და არეგულირებს მის საქმიანობას, ადგენს პროცედურებსა და კომუნიკაციის წესებს, უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტის მართვას და განსაზღვრავს საბჭოს წევრების დანიშვნისა და გათავისუფლების წესებს.

2025 წელს სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში იყვნენ (ანბანური თანამიმდევრობით): გიორგი არველაძე (საქართველო) - დამოუკიდებელი წევრი და უფროსი დამოუკიდებელი დირექტორი; არჩილ ბაკურაძე (საქართველო) - წევრი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე 2025 წლის ოქტომბრამდე, ლილიტ გარაიანი (სომხეთი) - დამოუკიდებელი წევრი და აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე, იან დევენგაერტი (ბელგია) - დანიშნული Incofin IM-ის მიერ, რობერტ სკოტ კოსმანი (აშშ) - დამოუკიდებელი წევრი, რისკების მართვის კომიტეტის თავმჯდომარე და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე 2025 წლის ოქტომბრიდან, ბარბარა რობერტა სიოედინა საიეტ-ვასმუსი (ნიდერლანდი) - დამოუკიდებელი წევრი და გარემოსდაცვითი და სოციალური კომიტეტის თავმჯდომარე.

\*მატანგი გოვრიშანკარი (ინდოეთი) წარმოადგენდა სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“ სამეთვალყურეო საბჭოს კომპანიის მიკრობანკად ტრანსფორმაციამდე. იგი ხელმძღვანელობდა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“ ადამიანური რესურსების, კომპენსაციისა და ანაზღაურების კომიტეტს.

### სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობა

2025 წლის განმავლობაში სამეთვალყურეო საბჭომ გამართა 18 შეხვედრა, მათ შორის, 2 უშუალო და 16 ვირტუალური. ამასთან, წერილობითი ფორმით მიღებულ იქნა სულ 10 გადაწყვეტილება. 2025 წელს სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები შეიკრიბა:

- რისკების კომიტეტი: 5-ჯერ;
- აუდიტის კომიტეტი: 4-ჯერ;
- გარემოსდაცვითი და სოციალური კომიტეტი: ერთხელ;
- აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი (ALCO): ერთხელ;

- ადამიანური რესურსების, კომპენსაციისა და ანაზღაურების კომიტეტი: 1-ხელ.

აქტივებისა და ვალდებულებების (ALCO), ასევე ადამიანური რესურსების, კომპენსაციისა და ანაზღაურების კომიტეტები ფუნქციონირებდა კომპანიის მიერ მიკრობანკის ლიცენზიის მიღებამდე. ლიცენზიის გაცემისთანავე, ALCO-ს მანდატი და პასუხისმგებლობები დირექტორთა საბჭოს გადაეცა, ხოლო ადამიანური რესურსების, კომპენსაციისა და ანაზღაურების კომიტეტი ფორმალურად გაუქმდა.

სამეთვალყურეო საბჭო იღებს დეტალურ კვარტალურ ანგარიშებს კომპანიის ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, მათ შორის, ფინანსური ანგარიშგების საბალანსო უწყისებს. გარდა ამისა, სამეთვალყურეო საბჭო განიხილავს კვარტალურ ანგარიშებს რისკების შესახებ. სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები ეცნობიან დეტალურ მასალებს და მსჯელობენ საკითხებზე მანდატების შესაბამისად. სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად ახორციელებს კომპანიის წლიური სტრატეგიული გეგმის შესრულების პროგრესის მონიტორინგს.

სამეთვალყურეო საბჭოს ძირითადი დანიშნულებაა კომპანიის ეფექტიანი მართვისა და ზედამხედველობის უზრუნველყოფა; სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეეხება სტრატეგიულ საკითხებს, კომპანიის ზოგად ორგანიზაციულ სტრუქტურას, საბჭოს დონეზე არსებულ სტრატეგიებს, ფართომასშტაბიან პროექტებს. საბჭო ზედამხედველობას უწევს დირექტორების შეფასებასა და მოტივაციას, წლიური სტრატეგიული გეგმების დამტკიცებას, ფინანსურ პროგნოზებს, აქციონერებისათვის ისეთი სამოქმედო გეგმის შეთავაზებას, როგორებიცაა: დივიდენდების გაცემა, ახალი აქციების გამოშვება ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის ფარგლებში, ცვლილება საბჭოს შემადგენლობაში და ა.შ.

### **საბჭოს მხარდაჭერა**

სამეთვალყურეო საბჭოს მხარდაჭერას უწევს კორპორაციული მდივანი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომპანიის სხვადასხვა მმართველი ორგანოს, მათ შორის, აქციონერების, სამეთვალყურეო საბჭოს, საბჭოს კომიტეტებისა და დირექტორთა საბჭოს ზედამხედველობაში. კორპორაციული მდივანი უზრუნველყოფს სხდომების გამართულად ჩატარებას, ზუსტი ჩანაწერების წარმოებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის კოორდინაციას. გარდა ამისა, კორპორაციული მდივანი მონაწილეობს კორპორაციულ მმართველობასთან დაკავშირებული რეგულაციების შემუშავებაში და ხელს უწყობს შიდა თუ გარე მხარეებთან კომუნიკაციას.

კორპორაციული მდივანი მხარდაჭერას უწევს სამეთვალყურეო საბჭოს კორპორაციული მართვისა და სამართლებრივი მოთხოვნების შესრულებაში, საჭიროებისამებრ აწვდის კონსტრუქციულ რჩევებსა და რეკომენდაციებს, მონაწილეობს შეფასების პროცესში და ეხმარება ახალ წევრებს გარემოსთან მორგებაში. კორპორაციული მდივანი ასევე

უზრუნველყოფს სხდომების დღის წესრიგისა და დოკუმენტების მომზადებას საბჭოს ინსტრუქციების შესაბამისად, კონფიდენციალურობის დაცვას, თავმჯდომარის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და უფროსი აღმასრულებლების მიერ კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული დავალებების დროულ შესრულებას.

## სამეთვალყურეო საბჭოს წევრები

### არჩილ ბაკურაძე

არჩილ ბაკურაძე, სს მიკრობანკ „კრისტალის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი/თავმჯდომარე 2025 წლის ოქტომბრამდე, არის სს მიკრობანკ „კრისტალის“ დამფუძნებელი, ასევე Lotus Impact Finance-ის (ქართული საინვესტიციო, ტექნოლოგიური და მმართველობითი პლატფორმა, რომელიც ხელს უწყობს ინკლუზიური და მდგრადი ფინანსების განვითარებას) დამფუძნებელი და უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი. არჩილი ასევე იკავებს სოციალური ფინანსური ინსტიტუტების საერთაშორისო ქსელის - მიკროსაფინანსო ცენტრის საბჭოს თავმჯდომარის პოსტს. იგი არის გაერთიანებული სამეფოს საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტროს „ჩივნინგის“ პროგრამის სტიპენდიატი და ფლობს ლანკასტერის უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის (MBA) ხარისხს. იგი არის ჯონ სმიტის ფონდის სტიპენდიატი და ნიდერლანდების ლტოლვილთა ფონდის (Stichting Vluchteling) Van HeuvenGoedhart-ის სახელობის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი.

### რობერტ კოსმანი

რობერტ კოსმანი, სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი/თავმჯდომარე 2025 წლის ოქტომბრიდან, საერთაშორისო გამოცდილების მქონე ბანკირია. 33 წელია, რაც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 13 სხვადასხვა ქვეყანაში საცალო, მცირე და საშუალო საბანკო მომსახურების სფეროში მუშაობს. ამჟამად ხელმძღვანელობს „კრისტალის“ რისკების კომიტეტს. 2004-2020 წლებში მას Raiffeisen Bank International-ში, უკრაინის ოფისში საცალო/SME ბანკინგის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტი ეკავა; ხელმძღვანელობდა SME-რისკებს ავსტრიაში, 3 წლის განმავლობაში ეკავა CIO-სა და COO-ს თანამდებობები, მანამდე კი განვითარების უფროსი ბანკირის რანგში EBRD-თან, მსოფლიო ბანკთან, აზიის განვითარების ბანკსა (ADB) და USAID-თან მსხვილი ფინანსური ინსტიტუტების რესტრუქტურირების კუთხით თანამშრომლობდა. ამჟამად იგი აქტიურად საქმიანობს როგორც Fintech-სტარტაპების ინვესტორი, ასევე არის მრავალი სტარტაპის მრჩეველი/მენტორი უკრაინაში.

## გიორგი არველაძე, /დატოვა „კრისტალი“ 2025 წლის დეკემბერში/

გიორგი არველაძეს სს მიკრობანკ „კრისტალში“ ეკავა სამეთვალყურეო საბჭოს უფროსი დამოუკიდებელი წევრის პოზიცია; გიორგი არველაძე ქართველი ბიზნესმენია, რომელსაც საბანკო სფეროში საქმიანობის 20 წელზე ხანგრძლივი გამოცდილება აქვს. უძრავი ქონების, ტრანსპორტირებისა და ენერჯეტიკის სექტორში სამეწარმეო საქმიანობის დაწყებამდე, იგი იყო საქართველოს უმსხვილესი ბანკის – „თიბისი ბანკის“ მმართველი დირექტორი და ხელმძღვანელობდა არასაპროცენტო შემოსავლების, კვლევებისა და საბროკერო საქმიანობის მიმართულებას. მანამდე კი „ლიბერთი ბანკის“ - საქართველოში სიდიდით მე-3 ბანკის (650 ფილიალითა და 5,300-ზე მეტი თანამშრომლით) გენერალური დირექტორი იყო. მისი დირექტორობის პერიოდში ბანკმა შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწია - 2 წელიწადში წმინდა მოგების საერთო წლიურმა ზრდამ დაახლოებით 200% შეადგინა. გენერალურ დირექტორად დანიშვნამდე, მას იმავე ბანკში გენერალური დირექტორის მოადგილის პოსტი ეკავა და სტრატეგიული პროექტების, ხაზინისა და კერძო ბანკინგის მიმართულებას ხელმძღვანელობდა (2009-2011); მოგვიანებით ასევე ეკავა საოპერაციო დირექტორის პოზიცია (2011-2013). 2009 წელს საქართველოში დაბრუნებამდე იგი მუშაობდა ლონდონში, BNP Paribas-ში, სტრუქტურირებული პროდუქტების გუნდში, მანამდე კი საქართველოს ეროვნულ ბანკში. გიორგი არველაძე არის ლონდონის ბიზნესსკოლის მაგისტრის ხარისხს (MBA) მფლობელი.

## ლილიტ გარაიანი

ლილიტ გარაიანი, სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი, ფინანსისტი. იგი „კრისტალის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრია 2018 წლის ივლისიდან. ამჟამად არის „კრისტალის“ აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე. მას აქვს საბანკო სექტორში მუშაობის მდიდარი გამოცდილება როგორც მმართველ თანამდებობებზე, ისე კონსულტანტის პოზიციაზე ფინანსური მართვის, რისკების მართვისა და ოპერაციული მართვის მიმართულებით. 2015 წლიდან მონაწილეობს SDC-ის, KfW-ისა და AFD-ის პროექტების განხორციელებაში საქართველოსა და სომხეთში. იგი სწავლობდა სომხეთის ამერიკულ უნივერსიტეტში MBA-ფინანსების სპეციალიზაციით, მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხი ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტში. არის პროკრედიტის მართვის აკადემიის კურსდამთავრებული და ACCA-ს წევრი.

## იან დევინგაერტი

იან დევინგაერტს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრს, აქვს კერძო საინვესტიციო კაპიტალის სფეროში სააქციო კაპიტალის შეძენის, მართვისა და რეალიზების მიმართულებით მდიდარი გამოცდილება. განხორციელებული აქვს ევროპასა და აზიაში 60-ზე მეტი საინვესტიციო ტრანზაქცია; არის არაერთი კერძო ფონდის მმართველი პარტნიორი, მმართველი დირექტორი და საინვესტიციო კომიტეტის წევრი. იან დევინგაერტს აქვს საბჭოს შემადგენლობაში საქმიანობის მდიდარი გამოცდილება მრავალ ქვეყანასა და სექტორში. ამჟამად, „კრისტალის“ საბჭოში მოღვაწეობის გარდა, ის BEM-ის (უძრავი ქონების ფონდი), Genesis Private Equity Fund-

ის (ჩეხეთისა და სლოვაკეთის კერძო საინვესტიციო ფონდი) და „არარატბანკის“ (სომხეთი) საბჭოს წევრია.

#### **ბარბარა რობერტა სიოედინა საიეტ-ვასმუსი /დატოვა „კრისტალი“ 2025 წლის დეკემბერში/**

ბარბარა რობერტა სიოედინა საიეტ-ვასმუსი, სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი, განვითარების დაფინანსების სფეროს გამოცდილი პროფესიონალია, რომლის სამუშაო გამოცდილება 20 წელს აღემატება. 2010 წლიდან იგი არის კომპანიის Developing World Markets მსხვილი საინვესტიციო ფონდების საინვესტიციო კომიტეტის წევრი. ის ასევე იკავებს დირექტორთა საბჭოს წევრისა და აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტს კოსოვოს წამყვან მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში - KEP Trust. გარდა ამისა, ბარბარა არის Wasmus Consulting-ის პარტნიორი, სადაც მან ფინანსური ინსტიტუტებისა და იმპაქტფონდებისათვის სხვადასხვა მოკლევადიანი პროექტი განახორციელა, ძირითადად, საკრედიტო და რისკების მართვის მიმართულებით. კარიერის ადრეულ ეტაპზე ბარბარას ეკავა წამყვანი აღმასრულებელი პოზიციები ფინანსურ ინსტიტუტებში (იყო ანგოლის „პროკრედიტ ბანკის“ დამფუძნებელი მმართველი დირექტორი და კოსოვოს „პროკრედიტ ბანკის“ აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე), რის შემდეგაც მუშაობდა უფროს საინვესტიციო ოფიცრად და გუნდის ხელმძღვანელად კომპანია Triple Jump- ში. ბარბარა არის რისკების მართვის სერტიფიცირებული ექსპერტი (ფრანკფურტის ფინანსებისა და მენეჯმენტის სკოლა) და ფლობს გრონიנגენის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხს საერთაშორისო ურთიერთობებში.

#### **მატანგი გოვიშანკარი /დატოვა „კრისტალი“ 2025 წლის თებერვალში/**

მატანგი გოვიშანკარი, სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი, 40 წელზე მეტია საქმიანობს ხელმძღვანელ პოზიციებზე ბიზნესისა და ადამიანური რესურსების მიმართულებით როგორც ინდოეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ხელმძღვანელობდა „კრისტალის“ ადამიანური რესურსების, კომპენსაციისა და ანაზღაურების კომიტეტს. აქვს სხვადასხვა დარგში მოქმედ წამყვან კორპორაციებთან, მათ შორის, Standard Chartered Bank-თან, Reebok-თან, GE-სა და Cummins Inc-თან მუშაობის გამოცდილება. ბოლო პერიოდში ის დასაქმებული იყო BP plc-ში, სადაც გლობალური შესაძლებლობების განვითარების ხელმძღვანელისა და გლობალური ლიდერობის აკადემიის დირექტორის პოზიცია ეკავა. იგი მდიდარი გამოცდილების მქონე დამოუკიდებელი დირექტორია; ამჟამად არის ინდოეთში მოქმედი არაერთი საბჭოს წევრი ისეთ მრავალფეროვან დარგებში, როგორებიც არის ფინანსური სერვისები, IT და წარმოება. როგორც ბიზნესისა და ადამიანური რესურსების პროფესიონალი, მატანგი ასევე ეწევა დამოუკიდებელ საკონსულტაციო პრაქტიკას აღმასრულებელი რგოლის ქოუჩინგსა და ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე. მას აქვს ბიზნესპროცესების, ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პრაქტიკული საკითხების სიღრმისეული ცოდნა. ფლობს ბაკალავრის ხარისხს სოციოლოგიაში, ასევე ინდოეთის წამყვანი ბიზნესსკოლის (XLRI, Jamshedpur) მაგისტრის ხარისხს პერსონალის მართვისა და შრომითი ურთიერთობების მიმართულებით. მისი

მიზანია ეფექტიანი გუნდების ფორმირება და აქტიურად არის ჩაბმული რამდენიმე ორგანიზაციაში ხელმძღვანელი პირების მენტორინგისა და სწავლების პროცესში.

\*\*\*\*\*

## ნინო მეტრეველი

ნინო მეტრეველი, კორპორაციული მდივანი, „კრისტალის“ გუნდს 2018 წელს შემოუერთდა თავმჯდომარის აღმასრულებელი თანაშემწის რანგში. აქვს სხვადასხვა სფეროში 20 წლამდე მუშაობის გამოცდილება, აქედან, 19 წელია ფინანსურ ინსტიტუტებში მოღვაწეობს. 2019 წლიდან 2023 წლამდე იყო პროგრამის ოფიცერი ფონდ „კრისტალში“, USAID-ის მიერ დაფინანსებული პროგრამის - YES-Georgia-ს ფარგლებში. მას აქვს მრავალფეროვანი გამოცდილება სწავლების, ადმინისტრაციული ერთეულების მართვის, დირექტორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოსა და მასთან დაკავშირებული კომიტეტების საქმიანობისა და პროექტების მართვის კუთხით. ნინო იყო „ბანკ კონსტანტას“ სამდივნოს უფროსი და კორპორაციული მდივანი, 2015-2018 წლებში კი მუშაობდა „თიბისი ბანკის“ მარკეტინგის დეპარტამენტში, სადაც მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა PR-ისა და MSME-ის მიმართულებებთან. არის ფილოლოგი (ინგლისური ენა), გავლილი აქვს სპეციალიზაცია PR-სა და კომუნიკაციებში. 2022 წელს ასევე გაიარა Morrow Sodali-ს კორპორაციული მდივნის მოსამზადებელი კურსი. ნინო ამჟამად განაგრძობს სწავლას სამართლის ბაკალავრის ხარისხის მისაღებად (LL.B.).

## დირექტორთა საბჭო

### ილია რევია

ილია რევია, სს მიკრობანკ „კრისტალის“ გენერალური დირექტორი, გახლავთ წარმატებული ლიდერი, საბანკო და საინფორმაციო ტექნოლოგიების სექტორში მასშტაბური ტრანსფორმაციისა და ცვლილებების მართვის მდიდარი გამოცდილებით. კარიერა 2001 წელს დაიწყო IT-პროექტების მართვის მიმართულებით აშშ-ს იურიდიულ კომპანიაში. 2007-2009 წლებში კი დასაქმებული იყო „თიბისი ბანკში“ პროექტების მენეჯერად. 2009 წელს ილია რევია „საქართველოს ბანკს“ შეუერთდა, სადაც მოგვიანებით უფროსი საინფორმაციო ოფიცრის მოადგილის პოზიციაზე დაწინაურდა და სათავეში ჩაუდგა კომპანიის არაერთ კომპლექსურ პროექტს ორგანიზაციის მასშტაბით, მათ შორის, „პრივატბანკ საქართველოს“ შექმნას და Agile ტრანსფორმაციას. „კრისტალის“ გუნდს 2019 წლის მეორე ნახევრიდან შეუერთდა და მას შემდეგ წარმატებით უძღვება კომპანიის სტრატეგიულ გარდაქმნას, მდგრად ზრდასა და მიკრობანკად ტრანსფორმაციას.

ილია არის პროექტების მართვის სერტიფიცირებული პროფესიონალი (PMP), ფლობს ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხს პროექტების მართვის მიმართულებით და შვედეთის იონჩეპინგის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხს საინფორმაციო

ტექნოლოგიებისა და ბიზნესინოვაციების მიმართულებით. მიღებული აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხი მათემატიკაში. მას ასევე გავლილი აქვს უმაღლესი რგოლის მენეჯერების საგანმანათლებლო პროგრამები შემდეგი მიმართულებით: სტრატეგიული ლიდერობა ინკლუზიურ ფინანსებში (ჰარვარდის ბიზნესსკოლა) და ლიდერობა ციფრულ ეპოქაში (ბიზნესსკოლა INSEAD). ამასთან, ილია პროექტების მართვის ინსტიტუტის (Project Management Institute) საქართველოს წარმომადგენლობის არჩეული პრეზიდენტია (მოხალისეობრივი პოზიცია).

### **დავით ბენდელიანი**

დავით ბენდელიანი, სს მიკრობანკ „კრისტალის“ ფინანსურ დირექტორი, 2004 წლის აგვისტოდან 2011 წლამდე იყო ფონდ „კრისტალის“ ფინანსური მენეჯერის თანამდებობაზე. 1997 წლის აპრილიდან 2004 წლის ივლისამდე მუშაობდა ფინანსურ მენეჯერად საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ცენტრ „აფხაზეთში“. დავითი სწავლობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, მიღებული აქვს სერტიფიკატი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სახაზინო მართვაში, სტრატეგიულ დაგეგმარებასა და ცვლილებების მართვაში, მიკროსაფინანსო პროდუქტების განვითარებაში, რისკების მართვის მეთოდოლოგიაში, შიდა აუდიტის განვითარებაში, ადამიანური რესურსების მართვასა და სტრატეგიული დაგეგმვის პროგრამაში.

### **მელანია კუჭუხიძე**

მელანია კუჭუხიძე, სს მიკრობანკ „კრისტალის“ კომერციული დირექტორი, გახლავთ მენეჯმენტის ექსპერტი, ფინანსურ სექტორში 15+ წლიანი მენეჯერული გამოცდილებით. 2006-2010 წლებში მუშაობდა „ვითიბი ბანკი საქართველოს“ საცალო და მცირე ბიზნესის განვითარების უფროსად. 2010-2015 წლებში გახლდათ „ბანკ კონსტანტას“ ქსელის მართვის დეპარტამენტის უფროსი, შემდგომ, 2016 წლამდე მუშაობდა „თიბისი ბანკის“ მიკრობიზნესის მართვის გუნდში. 2018 წელს შეუერთდა „კრისტალს“ ქსელის მართვის უფროსის პოზიციაზე, მანამდე 2 წლის განმავლობაში გახლდათ „მწვანე ლისის“ ურბანული განვითარების პროექტის კომერციული დირექტორი. 2019 წელს დაინიშნა „კრისტალის“ უფროსი ბიზნესოფიცერის მოადგილედ, ხოლო 2020 წლის მაისიდან არის უფროსი ბიზნესოფიცერი. მას მიღებული აქვს „ვითიბი ბანკის“ კორპორაციული უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი მენეჯმენტში. აქვს საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ბაკალავრის ხარისხი. 2023 წელს გახდა სერტიფიცირებული ბიზნესქოუჩი.

### **გიორგი (გიგა) მეგენიშვილი**

გიგა მეგენიშვილი, სს მიკრობანკ „კრისტალის“ რისკების დირექტორი, 2005 წლიდან იყო სხვადასხვა თანამდებობაზე და განვითარების საინტერესო გზა განვლო. რისკების მართვის

კლასიკური მიდგომების დანერგვით მან კომპანიის განვითარებაში ღირებული წვლილი შეიტანა. არის რისკების სერტიფიცირებული მენეჯერი. ასევე მიღებული აქვს მიკროფინანსების მართვის საერთაშორისო სერტიფიკატი (ფინანსებისა და მენეჯმენტის ფრანკფურტის სკოლა) და გავლილი აქვს ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

## **ნინო ფანჯიკიძე**

ნინო ფანჯიკიძე, სს მიკრობანკ „კრისტალის“ ოპერაციების დირექტორი, „კრისტალის“ უფროსი ოპერაციული ოფიცრის პოზიციაზე 2023 წლის ივნისში დაინიშნა, ხოლო ოპერაციების დირექტორის პოზიციაზე - 2025 წელს. მას აქვს საბანკო სფეროში მუშაობის 15-წლიანი გამოცდილება. „პროკრედიტ ბანკში“ თავისი კარიერის განმავლობაში არაერთი მენეჯერული პოზიცია ეკავა და ხელმძღვანელობდა ოპერაციების, საცალო კონტროლის, ცენტრალიზებული ბეჭოფისისა და პროდუქტების განვითარების მიმართულებებს. ტრანსფორმაციის პერიოდში „ფინკა ბანკში“ გადასვლისას, სათავეში ჩაუდგა საბანკო მომსახურებისა და მხარდაჭერის, მეთოდოლოგიების განვითარების, საკრედიტო და არასაკრედიტო ბეჭოფისის მიმართულებებს, მათ შორის, უნაღდო გადახდებს, სახაზინო ბეჭოფისის ფუნქციებს, ასევე საბანკო ბარათებთან დაკავშირებულ პროცესებს. ბოლო ორი წლის განმავლობაში იყო ოპერაციების მენეჯერი არასაბანკო სექტორში. ნინოს მიღებული აქვს სერტიფიცირებული ფინანსური მენეჯერის კვალიფიკაცია თავისუფალ უნივერსიტეტში, ხოლო კავკასიის უნივერსიტეტში გავლილი აქვს ბიზნესადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა. ფლობს კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხს საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით. ნინომ ასევე წარმატებით დაასრულა იელის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსური ბაზრების შემსწავლელი სრული კურსი.

## **კახა გაბესკირია**

კახა გაბესკირია, სს მიკრობანკ „კრისტალის“ ლიზინგის დირექტორი, „კრისტალში“ ლიზინგის უფროსი ოფიცრის თანამდებობაზე 2020 წელს დაინიშნა. ფინანსურ სექტორში 25-წლიანი წარმატებული მოღვაწეობის შემდეგ, რაც მოიცავს „პროკრედიტ ბანკ საქართველოში“ მიღებულ ფუნდამენტურ გამოცდილებას, იგი ფლობს სიღრმისეულ ცოდნას MSME-დაფინანსების, საკრედიტო ოპერაციებისა და სტრატეგიული მენეჯმენტის მიმართულებით.

2009 წელს „კრისტალის“ გუნდში შემოერთების შემდეგ, კახა გაბესკირიამ არაერთი საკვანძო აღმასრულებელი პოზიცია დაიკავა, მათ შორის, იყო უფროსი საკრედიტო ოფიცერი (CCO), უფროსი ოპერაციული ოფიცერი (COO) და უფროსი ბიზნესოფიცერი (CBO). მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კომპანიის ევოლუციაში - ხელმძღვანელობდა ტრანსფორმაციას რეგიონული სუბიექტიდან ქვეყნის მასშტაბის ფინანსურ ინსტიტუტად, რომლის ქსელიც დღეს 40-ზე მეტ ფილიალს აერთიანებს საქართველოს ყველა რეგიონში. ამ

სტრატეგიულმა გაფართოებამ განაპირობა კომპანიის პორტფელის, კლიენტთა ბაზისა და ორგანიზაციული შესაძლებლობების მნიშვნელოვანი ზრდა.

ბოლო ხელმძღვანელ პოზიციაზე კახა გაბესკირია სათავეში ჩაუდგა სალიზინგო პროდუქტების ვერტიკალის შექმნასა და ამოქმედებას, რაც წარმატებით იქნა ინტეგრირებული ორგანიზაციის მომსახურებებში, როგორც სტრატეგიული ბიზნესმიმართულება.

კახა გაბესკირიას აქვს საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო ინსტიტუტის ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი (MA). მისი აკადემიური გამოცდილება მოიცავს არაერთ პროფესიულ სერტიფიკატს სტრატეგიული და ოპერაციული მენეჯმენტის, ორგანიზაციული განვითარების, პროდუქტების მართვის, საკრედიტო რისკებისა და პროექტების მენეჯმენტის მიმართულებით, ასევე საბანკო საქმისა და სტრატეგიული ლიდერობის სპეციალიზებულ სასწავლო პროგრამებს.

## **ლაშა ყანჩაველი**

ლაშა ყანჩაველი, სს მიკრობანკ „კრისტალის“ ინფორმაციული ტექნოლოგიების უფროსი ოფიცერი, „კრისტალის“ გუნდს ინფორმაციული ტექნოლოგიების უფროსი ოფიცრის რანგში 2024 წლის მარტიდან შემოუერთდა. მას აქვს საბანკო და ფინანსურ სექტორებში IT-მართვის, ენტერპრაიზ არქიტექტურისა და ციფრული ტრანსფორმაციის მიმართულებით მოღვაწეობის 25-წლიანი გამოცდილება. კრისტალში საქმიანობის დაწყებამდე ეკავა მნიშვნელოვანი მენეჯერული პოზიციები „საქართველოს ბანკში“, მათ შორის, იყო ენტერპრაიზ არქიტექტორი, გადაწყვეტილებების არქიტექტურის ხელმძღვანელი და ბიზნესანალიზისა და კონსულტაციის დეპარტამენტის უფროსი. მან გადამწყვეტი როლი შეასრულა ბანკის ტექნოლოგიური სტრატეგიის განსაზღვრაში, IT-არქიტექტურის ოპტიმიზაციასა და მასშტაბური ციფრული ტრანსფორმაციის ინიციატივების დანერგვაში, რაც ოპერაციული ეფექტიანობისა და მომხმარებლის გამოცდილების გაუმჯობესებას ემსახურებოდა. მისი კარიერა მოიცავს საქმიანობას ხელმძღვანელ პოზიციებზე წამყვან ფინანსურ ინსტიტუტებში, სადაც მან ხელი შეუწყო ინოვაციური ციფრული გადაწყვეტილებების დანერგვას მკაცრად რეგულირებულ გარემოში. ლაშას მიღებული აქვს ბაკალავრის ხარისხი გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასევე გავლილი აქვს ტრენინგი პროექტების მართვაში, ბიზნესანალიზში, მონაცემთა ბაზების ადმინისტრირებასა და IT-სტრატეგიაში, რამაც კიდევ უფრო გააუმჯობესა მისი უნარები ფინანსურ სექტორში ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ტრანსფორმაციების მართვის კუთხით.

\*\*\*\*\*

## კომიტეტების ანგარიშები

### რისკების მართვის კომიტეტი

სს მიკრობანკ „კრისტალის“ სამეთვალყურეო საბჭოს რისკების კომიტეტი მოქმედებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს რისკების კომიტეტის დებულების საფუძველზე. კომიტეტი წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ შექმნილ დამხმარე, სათათბირო და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს.

წინამდებარე ანგარიში აფასებს კომიტეტის საქმიანობას 2025 წლის პირველი იანვრიდან 2026 წლის პირველ იანვრამდე.

საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	15	(4,150)	(3,960)
გადახდილი დივიდენდები	25	(3,339)	(1,954)
<b>საფინანსო საქმიანობიდან გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები</b>		<b>45,434</b>	<b>59,619</b>
<b>ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა</b>		<b>32,131</b>	<b>15,371</b>
გაცვლითი კურსის ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილი ფულადი სახსრების ნაშთზე		316	1,062
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისის მდგომარეობით	11	24,686	8,253
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>	11	<b>57,133</b>	<b>24,686</b>

ილია რევია  
გენერალური დირექტორი

რობერტ ს. კოსმანი  
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

## სს „მიკრობანკი კრისტალი“

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათას ლარში)

---


2026 წლის 5 მაისი


16-89 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

# სს „მიკრობანკი კრისტალი“

## კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ათას ლარში)

	შენიშვნა	2025	2024
<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები</b>			
მოგება დაბეგვრამდე		16,975	27,875
<i>კორექტირებები:</i>			
წმინდა ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	12	14,507	6,210
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	15,16,17	7,729	7,436
საპროცენტო შემოსავალი	5	(162,163)	(140,295)
სხვა საპროცენტო შემოსავალი	5	(6,607)	(5,766)
საპროცენტო ხარჯები	5	51,582	44,574
გაუფასურების ზარალი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე	13,13	23,187	10,368
გაუფასურების ზარალი სხვა აქტივებზე		271	633
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა (ზარალი)/შემოსულობა	6	(6,966)	7,532
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული ზარალი		18	68
შემოსულობა იჯარის გაუქმებიდან	15	126	(163)
<b>საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების გასვლა საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებამდე</b>		<b>(61,341)</b>	<b>(41,528)</b>
<i>ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:</i>			
მოგება ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების წმინდა (ზარალი)/ფინანსური ვალდებულებების წმინდა (შემცირება)		2,799	(9,891)
საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების ზრდა		(385)	-
ზრდა მომხმარებლებზე გაცემულ სესხებში		(71,526)	(83,904)
იჯარებში ინვესტიციების ზრდა		(2,485)	(1,916)
(შემცირება)/ზრდა გასაყიდად გამიზნულ აქტივებში		(117)	(173)
ზრდა სხვა აქტივებში		(3,266)	(596)
ზრდა მომხმარებელთა ანგარიშებში		32,685	-
ზრდა სხვა ვალდებულებებში		(8,284)	1,469
<b>წმინდა ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში</b>		<b>(50,579)</b>	<b>(95,011)</b>
მიღებული პროცენტი		161,448	139,573
სხვა მიღებული პროცენტი		7,028	5,596
გადახდილი პროცენტი		(53,470)	(43,975)
გადახდილი მოგების გადასახადი		(7,901)	(3,695)
<b>საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>		<b>(4,815)</b>	<b>(39,040)</b>
<b>საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები</b>			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	16	(3,592)	(2,467)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	17	(4,892)	(2,741)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	16	(4)	-
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>		<b>(8,488)</b>	<b>(5,208)</b>
<b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>			
შემოსულობა მარტივი თამასუქებიდან	20	57,582	18,163
შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან	22	186,840	139,769
შემოსულობა სუბორდინირებული ვალიდან	23	21,019	8,258
მარტივი თამასუქების დაფარვა	20	(12,214)	(6,651)
სავალო ფასიანი ქაღალდების დაფარვა	21	(25,000)	-
ნასესხები სახსრების დაფარვა	22	(173,092)	(91,244)
სუბორდინირებული ვალის დაფარვა	23	(2,212)	(2,762)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	15	(4,150)	(3,960)
გადახდილი დივიდენდები	25	(3,339)	(1,954)
<b>საფინანსო საქმიანობიდან გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები</b>		<b>45,434</b>	<b>59,619</b>
<b>ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა</b>		<b>32,131</b>	<b>15,371</b>
გაცვლითი კურსის ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილი ფულადი სახსრების ნაშთზე		316	1,062
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისის მდგომარეობით	11	24,686	8,253
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>	11	<b>57,133</b>	<b>24,686</b>

  
ილია რევია  
გენერალური დირექტორი

  
რობერტ ს. კოსიანი  
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

## სს „მიკრობანკი კრისტალი“

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათას ლარში)

---

2026 წლის 5 მაისი

16-89 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

# სს „მიკრობანკი კრისტალი“

## ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ათას ლარში)

	შენიშვნა	2025	2024
<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები</b>			
მოგება დაბეგრამდე		16,978	28,134
<i>კორექტირებები:</i>			
წმინდა ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	12	14,507	6,210
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	15,16,17	7,726	7,398
საპროცენტო შემოსავალი	5	(162,163)	(140,295)
სხვა საპროცენტო შემოსავალი	5	(6,607)	(5,766)
საპროცენტო ხარჯები	5	51,582	44,574
გაუფასურების ზარალი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე	13,13	23,187	10,368
გაუფასურების ზარალი სხვა აქტივებზე		271	633
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა (ზარალი)/შემოსულობა	6	(6,967)	7,531
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული ზარალი		18	13
შემოსულობა იჯარის გაუქმებიდან	15	126	(163)
<b>საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების გასვლა საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებამდე</b>		<b>(61,342)</b>	<b>(41,363)</b>
<i>ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:</i>			
მოგება ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების წმინდა (ზრდა)/ფინანსური ვალდებულებების წმინდა (შემცირება)		2,799	(9,891)
საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების ზრდა		(385)	-
ზრდა მომხმარებლებზე გაცემულ სესხებში		(71,526)	(83,904)
იჯარებში ინვესტიციების ზრდა		(2,485)	(1,916)
(შემცირება)/ზრდა გასაყიდად გამიზნულ აქტივებში		(117)	(173)
ზრდა სხვა აქტივებში		(3,266)	(636)
ზრდა მომხმარებელთა ანგარიშებში		32,685	-
(შემცირება)/ზრდა სხვა ვალდებულებებში		(8,284)	1,469
<b>წმინდა ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში</b>		<b>(50,579)</b>	<b>(95,051)</b>
მიღებული პროცენტი		161,448	139,573
სხვა მიღებული პროცენტი		7,028	5,596
გადახდილი პროცენტი		(53,470)	(43,975)
გადახდილი მოგების გადასახადი		(7,901)	(3,695)
<b>საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>		<b>(4,816)</b>	<b>(38,915)</b>
<b>საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები</b>			
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში		-	(138)
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	16	(3,595)	(2,463)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	17	(4,892)	(2,741)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	16	(4)	-
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>		<b>(8,491)</b>	<b>(5,342)</b>
<b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>			
შემოსულობა მარტივი თამასუქებიდან	20	57,582	18,163
შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან	22	186,840	139,769
შემოსულობა სუბორდინირებული ვალიდან	23	21,019	8,258
მარტივი თამასუქების დაფარვა	20	(12,214)	(6,651)
სავალო ფასიანი ქაღალდების დაფარვა	21	(25,000)	-
ნასესხები სახსრების დაფარვა	22	(173,092)	(91,244)
სუბორდინირებული ვალის დაფარვა	23	(2,212)	(2,762)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	15	(4,150)	(3,960)
გადახდილი დივიდენდები	25	(3,339)	(1,954)
<b>საფინანსო საქმიანობიდან გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები</b>		<b>45,434</b>	<b>59,619</b>
<b>ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა</b>		<b>32,127</b>	<b>15,362</b>
გაცვლითი კურსის ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილი ფულადი სახსრების ნაშთზე		320	1,063
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისის მდგომარეობით	11	24,669	8,244
<b>ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა</b>	11	<b>57,116</b>	<b>24,669</b>

## სს „მიკრობანკი კრისტალი“

ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათას ლარში)

---

---

ილია რევია  
გენერალური დირექტორი

2026 წლის 5 მაისი

---

რობერტ ს. კოსმანი  
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

16-89 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

# სს „მიკრობანკი კრისტალი“


ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათას ლარში)


	შენიშვნა	2025	2024
<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები</b>			
მოგება დაბეგრამდე		16,978	28,134
<i>კორექტირებები:</i>			
წმინდა ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	12	14,507	6,210
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	15,16,17	7,726	7,398
საპროცენტო შემოსავალი	5	(162,163)	(140,295)
სხვა საპროცენტო შემოსავალი	5	(6,607)	(5,766)
საპროცენტო ხარჯები	5	51,582	44,574
გაუფასურების ზარალი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე	13,13	23,187	10,368
გაუფასურების ზარალი სხვა აქტივებზე		271	633
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა (ზარალი)/შემოსულობა	6	(6,967)	7,531
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული ზარალი		18	13
შემოსულობა იჯარის გაუქმებიდან	15	126	(163)
<b>საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების გასვლა საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებამდე</b>		<b>(61,342)</b>	<b>(41,363)</b>
<i>ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:</i>			
მოგება ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების წმინდა (ზრდა)/ფინანსური ვალდებულებების წმინდა (შემცირება)		2,799	(9,891)
საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების ზრდა		(385)	-
ზრდა მომხმარებლებზე გაცემულ სესხებში		(71,526)	(83,904)
იჯარებში ინვესტიციების ზრდა		(2,485)	(1,916)
(შემცირება)/ზრდა გასაყიდად გამიზნულ აქტივებში		(117)	(173)
ზრდა სხვა აქტივებში		(3,266)	(636)
ზრდა მომხმარებელთა ანგარიშებში		32,685	-
(შემცირება)/ზრდა სხვა ვალდებულებებში		(8,284)	1,469
<b>წმინდა ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში</b>		<b>(50,579)</b>	<b>(95,051)</b>
<b>მიღებული პროცენტი</b>		<b>161,448</b>	<b>139,573</b>
სხვა მიღებული პროცენტი		7,028	5,596
გადახდილი პროცენტი		(53,470)	(43,975)
გადახდილი მოგების გადასახადი		(7,901)	(3,695)
<b>საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>		<b>(4,816)</b>	<b>(38,915)</b>
<b>საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები</b>			
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში		-	(138)
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	16	(3,595)	(2,463)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	17	(4,892)	(2,741)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	16	(4)	-
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>		<b>(8,491)</b>	<b>(5,342)</b>
<b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>			
შემოსულობა მარტივი თამასუქებიდან	20	57,582	18,163
შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან	22	186,840	139,769
შემოსულობა სუბორდინირებული ვალიდან	23	21,019	8,258
მარტივი თამასუქების დაფარვა	20	(12,214)	(6,651)
სავალო ფასიანი ქაღალდების დაფარვა	21	(25,000)	-
ნასესხები სახსრების დაფარვა	22	(173,092)	(91,244)
სუბორდინირებული ვალის დაფარვა	23	(2,212)	(2,762)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	15	(4,150)	(3,960)
გადახდილი დივიდენდები	25	(3,339)	(1,954)
<b>საფინანსო საქმიანობიდან გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები</b>		<b>45,434</b>	<b>59,619</b>
<b>ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა</b>		<b>32,127</b>	<b>15,362</b>
გაცვლითი კურსის ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილი ფულადი სახსრების ნაშთზე		320	1,063
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისის მდგომარეობით	11	24,669	8,244
<b>ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა</b>	11	<b>57,116</b>	<b>24,669</b>

## სს „მიკრობანკი კრისტალი“

ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათას ლარში)

---

  
ილია რევია  
გენერალური დირექტორი

  
რობერტ ს. კოსმანი  
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

2026 წლის 5 მაისი

16-89 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

# სს „მიკრობანკი კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათას ლარში)

---

## 1. ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ

სს „მიკრობანკი კრისტალი“ (შემდგომში „ბანკი“) 2007 წლის 23 აგვისტოს დაფუძნდა „კრისტალის ფონდის“ გადაწყვეტილების (საბჭოს გადაწყვეტილება №20, 2007 წლის 21 აგვისტო) საფუძველზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ 2006 წლის 18 ივლისით დათარიღებული საქართველოს კანონის შესაბამისად. 2025 წლის 12 თებერვალს „კრისტალმა“ მიიღო მიკრო ბანკის ლიცენზია საქართველოს ეროვნული ბანკისგან (სებ).

2018 წლის 26 იანვარს ბანკმა დააფუძნა 100%-იანი შვილობილი საწარმო შპს „კრისტალ კონსალტინგი“. საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით შვილობილი საწარმო ოფიციალურად რეგისტრირებულია, მაგრამ დღეისათვის ის უფუნქციოა მიმდინარე საოპერაციო საქმიანობების გარეშე.

სს „მიკრობანკი კრისტალის“ და შპს „კრისტალ კონსალტინგის“ („ჯგუფი“) იურიდიული მისამართია: ნიკვას ქ. №22, ქუთაისი, საქართველო.

ჯგუფის მართვის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება.

ჯგუფის ოპერაციების ზედამხედველობას სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს, რომლის წევრებსაც დანიშნავს აქციონერთა საერთო კრება. ჯგუფის ყოველდღიურ მართვას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული დირექტორთა საბჭო.

ჯგუფის მიზანია საქართველოში მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერა და განვითარება, კლიენტების სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, მათთვის მისაღები ფინანსური მომსახურების შეთავაზების გზით.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა მიკრო სესხების გაცემა. ჯგუფის საკრედიტო პროდუქტები მოიცავს შემდეგს: ინდივიდუალური ბიზნეს სესხები, სასოფლო-სამეურნეო სესხები, სამომხმარებლო სესხები, სალომბარდო სესხები, საბინაო სესხები, სესხები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, ავტო სესხები და ფინანსური ლიზინგი.

2025 წლის განმავლობაში ჯგუფმა გააფართოვა თავისი ოპერაციები და დაიწყო სადეპოზიტო პორტფელის მიღება და მომხმარებელთა ანგარიშების გახსნა, თავისი ლიცენზირებული საბანკო საქმიანობების ფარგლებში. ეს ღონისძიებები წარმოადგენს სტრატეგიულ გარდაქმნას დაკრედიტებაზე ორიენტირებული მიკროსაფინანსო დაწესებულებიდან უფრო ფართო მიკრო საბანკო მოდელად.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს მთელი საქართველოს მასშტაბით ორმოცდარვა ფილიალი (2024 წ.: ორმოცდარვა ფილიალი) და სათავო ოფისი აქვს თბილისსა და ქუთაისში.

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მფლობელობის სტრუქტურა 25-ე შენიშვნაშია განსაზღვრული.

ჯგუფს არ ჰყავს საბოლოო მაკონტროლებელი მხარე.

## 2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

**განცხადება შესაბამისობაზე** - წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოშვებული ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფასიკ“) მიერ გამოშვებული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

## სს „მიკრობანკი კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათას ლარში)

**კონსოლიდაციის საფუძველი** - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ბანკისა და მის კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების (შვილობილი საწარმოები) ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც: ა) ბანკს აქვს უფლებამოსილება თავის ინვესტირების ობიექტებზე; ბ) კომპანია იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და გ) კომპანიას შეუძლია ისარგებლოს ამ ძალაუფლებით მის უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდირება იწყება მაშინ, როდესაც ბანკი იღებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ბანკი კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კონკრეტულად, წლის განმავლობაში შეძენილი ან გაყიდული შვილობილი საწარმოს შემოსავალი და ხარჯები შესულია კონსოლიდირებულ მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ბანკის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან იმ თარიღამდე, როდესაც ბანკს უწყდება კონტროლი შვილობილ საწარმოზე. მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი ეკუთვნის ბანკის მფლობელებს და არამაკონტროლებელ წილებს. საჭიროების შემთხვევაში შვილობილი საწარმოს ფინანსური ანგარიშგებები კორექტირდება, სააღრიცხვო პოლიტიკის ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ყველა ჯგუფს შიდა აქტივი და ვალდებულება, საკუთარი კაპიტალი, ხარჯები და ფულადი ნაკადები, რომლებიც უკავშირდება ოპერაციებს ჯგუფის წევრებს შორის, სრულად ელიმინირდება კონსოლიდირების პროცესში.

**ფუნქციონირებადი საწარმო** - წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა იმ დაშვებით, რომ ჯგუფი წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და განაგრძობს ფუნქციონირებას განჭვრეტად მომავალში. ამ დაშვების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

**პირვანდელი ღირებულების წესი** - წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია პირვანდელი ღირებულების წესის მიხედვით, გარდა სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულება მოგებაში ან ზარალში ასახვით. პირვანდელი ღირებულება ჩვეულებრივ საქონელსა და მომსახურებებში გადახდილი საფასურის სამართლიან ღირებულებას ეფუძნება.

**სამართლიანი ღირებულება** - სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომლის მიღებაც მოხდებოდა აქტივის გასაყიდად ან ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით ოპერაციაში ვალდებულების გადასაცემად, მიუხედავად იმისა, რომ ფასი პირდაპირ დაკვირვებადია, თუ შეფასების სხვა მეთოდით არის განსაზღვრული. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს აქტივების და ვალდებულებების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების ფასწარმოების განხორციელებისას ამ მახასიათებლებს გაითვალისწინებენ შეფასების თარიღში. წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გაცხადების მიზნებისთვის სამართლიანი ღირებულება ანალოგიურად განისაზღვრება. ამასთან, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, სამართლიანი ღირებულების შეფასება დაყოფილია 1-ელ, მე-2 და მე-3 დონეებად იმისდა მიხედვით, თუ რამდენად არის მათი სამართლიანი ღირებულების გაანგარიშებაში მონაწილე მონაცემები დაკვირვებადი და, მთლიანობაში, რამდენად მნიშვნელოვანია ეს ამოსავალი მონაცემები მათი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის. აღნიშნული დონეები განიმარტება შემდეგი სახით: 1-ლი დონის ამოსავალი მონაცემები წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივებისა თუ ვალდებულებების კოტირებულ ფასებს (გაუკორექტირებელი), რომლებზეც საწარმოს წვდომა აქვს შეფასების თარიღში; მე-2 დონის ამოსავალი მონაცემები არის 1-ელ დონეში შესული კოტირებული ფასებისგან განსხვავებული მონაცემები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია აქტივისა თუ ვალდებულებისთვის; მე-3 დონის ამოსავალი მონაცემები არის აქტივების ან ვალდებულებების არაემპირიული ამოსავალი მონაცემები.

## სს „მიკრობანკი კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათას ლარში)

---

**სამუშაო და წარსადგენი ვალუტა** - კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში ასახული მუხლები ფასდება იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, რომელშიც ფუნქციონირებს ბანკი და მისი შვილობილი საწარმო (შემდგომში „სამუშაო ვალუტა“). მათი სამუშაო ვალუტა ქართული ლარი (შემდგომში „ლარი“). ჯგუფის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების წარსადგენი ვალუტაა ლარი. ლარში წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

**ურთიერთგადაფარვა** - ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთგადაიფარება და წმინდა თანხა აისახება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ასევე არსებობს სურვილი განხორციელდეს გადახდა წმინდა საფუძველზე ან ერთდროულად აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. შემოსავალი და ხარჯი კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებებში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, რომლის შესახებაც საგანგებო მითითება არსებობს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები** - განმარტებითი შენიშვნები მოცემულია მხოლოდ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის, რადგან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ციფრებს შორის არსებითი სხვაობა არ არსებობს. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ.

### სეგმენტის ანგარიშგება

საოპერაციო მართვის უმაღლესი ორგანო ჯგუფს აფასებს, როგორც ცალკე საოპერაციო სეგმენტს, გაცხადებული ფასს (IFRS) შედეგების საფუძველზე. ჯგუფის შემოსავლის და აქტივების უმრავლესობა საქართველოშია განთავსებული. მას არ ჰყავს გარე კონტრაქტი, რომელმაც 2025 ან 2024 წლებში ჯგუფის ამონაგების 10%-ზე მეტი შეადგინა.

### საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით (EIR). ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც მომავალში მოსალოდნელი გადახდების ან ფულადი სახსრების ზუსტ დისკონტირებას ახდენს ფინანსური ინსტრუმენტის ვადაზე ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საზღაურს და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ მიკუთვნება ინსტრუმენტზე და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ ჯგუფი გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება, როგორც საპროცენტო ამონაგები თუ ხარჯი. შემოსავალი ჯარიმიდან შესულია საპროცენტო შემოსავალში, საკრედიტო რისკის ანაზღაურების გათვალისწინებით.

როდესაც ფინანსური აქტივი გაუფასურდება, ჯგუფი საპროცენტო ამონაგებს ანგარიშობს ფინანსური აქტივის წმინდა ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

## სს „მიკრობანკი კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათას ლარში)

თუ ფინანსური აქტივი გამოსწორდება და აღარ იქნება გაუფასურებული, ჯგუფი დაუბრუნდება საპროცენტო ამონაგების ბრუტო საფუძველზე დაანგარიშების მეთოდს.

შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული (POCI) ფინანსური აქტივებისთვის, ჯგუფი საპროცენტო ამონაგებს ანგარიშობს საკრედიტო რისკის მიხედვით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებით და ამ მაჩვენებელს იყენებს აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე. საკრედიტო რისკის მიხედვით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომელიც საწყისი აღიარებისას ახდენს შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებას (საკრედიტო ზარალის ჩათვლით) შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების აქტივების ამორტიზებულ ღირებულებამდე.

### ფინანსური ინსტრუმენტები

#### ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების აღიარება ხდება ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაში, როდესაც ჯგუფი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე.

აღიარებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ფასდება. საოპერაციო დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენასა თუ გამოშვებასთან (მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა), საწყისი აღიარებისას, შესაბამისად, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას. საოპერაციო დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნება მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენასა თუ გამოშვებასთან, სასწრაფო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ გარიგების ფასი განსხვავდება საწყისი აღიარებისას არსებული სამართლიანი ღირებულებისგან, ჯგუფი ამგვარ სხვაობებს შემდეგი სახით აღრიცხავს:

- თუ სამართლიანი ღირებულება დასტურდება აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასით ან ეყრდნობა შეფასების მეთოდს, რომელიც იყენებს მხოლოდ საბაზრო ინფორმაციას, მაშინ სხვაობა საწყისი აღიარებისას აღიარდება მოგებაში ან ზარალში (ე.ი. 1-ლი დღის მოგება ან ზარალი);
- ყველა სხვა შემთხვევაში სამართლიანი ღირებულება შეიცვლება გარიგების ფასის შესაბამისად (ე.ი. 1-ლი დღის მოგება ან ზარალი გადავადდება მისი აქტივის ან ვალდებულების საწყის საბალანსო ღირებულებაში შეტანის გზით).

საწყისი აღიარების შემდეგ გადავადებული შემოსულობა ან ზარალი გადავა მოგებაში ან ზარალში ლოგიკურ საფუძველზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის წარმოიშობა ფაქტორში (მათ შორის დროში) ცვლილებიდან, რომელსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას.

### ფინანსური აქტივები

#### კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას დამოკიდებულია მათ სახელშეკრულებო პირობებზე და ინსტრუმენტების მართვის ბიზნესმოდელზე. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით და, მოგება-ზარალში

# სს „მიკრობანკი კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათას ლარში)

სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა, საოპერაციო დანახარჯები ემატება ან აკლდება ამ თანხას.

### ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები

ჯგუფმა მოახდინა მისი ყველა ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია აქტივების მართვის ბიზნესმოდელის საფუძველზე, ხოლო აქტივების სახელშეკრულებო პირობები შეფასდა ქვემოთ მოცემულიდან ერთ-ერთით:

- ამორტიზებული ღირებულებით;
- სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI);
- სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVPL).

ფინანსური ვალდებულებები, გარდა სასესხო ვალდებულებებისა, ამორტიზებული ღირებულებით ფასდება, ან სავაჭროდ გამიზნულის შემთხვევაში - სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, არიან წარმოებული ინსტრუმენტები ან გამოიყენება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის ოფცია.

ჯგუფის ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება ამორტიზებული ღირებულებით ფასდება, წარმოებული ინსტრუმენტების გამოკლებით, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ჯგუფის შეფასების კატეგორიების მიხედვით კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები მოიცავს შემდეგს:

ფინანსური აქტივები	ბიზნესმოდელი	მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდა (SPPI)	შეფასების კატეგორია
წარმოქმნილი ფინანსური აქტივები	სხვა ბიზნესმოდელი	ფულადი ნაკადები არ წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდებს	FVTPL
ფულადი ნაშთები ბანკებში	ამოსაღებად გამიზნული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	ამოსაღებად გამიზნული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება
სხვა მოთხოვნები	ამოსაღებად გამიზნული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება

## სს „მიკრობანკი კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათას ლარში)

---

### *რეკლასიფიკაცია*

ფინანსური აქტივები განმეორებით არ კლასიფიცირდება საწყისი აღიარების შემდეგ, გარდა პერიოდისა, მას შემდეგ, როდესაც ჯგუფი შეიცვლის ბიზნესმოდელს ფინანსური აქტივების სამართავად. ახალ კატეგორიასთან დაკავშირებული კლასიფიკაციის და შეფასების მოთხოვნები პერსპექტიულად გამოიყენება პირველი საანგარიშგებო პერიოდის პირველივე დღიდან, ბიზნესმოდელის ცვლილების შემდეგ, რაც იწვევს ჯგუფის ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაციას. მიმდინარე ფინანსური წლის და წინა სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, არ მომხდარა ცვლილება იმ ბიზნესმოდელში, რომელშიც ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ფლობს და შესაბამისად რეკლასიფიკაციები არ განხორციელდება. ცვლილებები სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში გათვალისწინდება სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველზე ქვემოთ აღწერილი ფინანსური აქტივების მოდიფიცირებისა და აღიარების შეწყვეტის შესახებ.

### *ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები*

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ანაზრებს სხვა საკრედიტო დაწესებულებებში 90 დღეზე ნაკლები თავდაპირველი დაფარვის ვადით, მიმდინარე ანგარიშებს სხვა საკრედიტო დაწესებულებებში და მიმდინარე (მათ შორის ერთდღიან) ანგარიშებს საქართველოს ეროვნულ ბანკში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების შენახვა ხდება მოკლევადიანი ფულადი ვალდებულებების დაკმაყოფილების და არა ინვესტირების ან სხვა მიზნით. ისინი თავისუფალი არიან სახელშეკრულებო შეზღუდვებისგან.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ამორტიზებული ღირებულებით ფასდება.

### *მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ*

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოიცავს ადგილობრივ ბანკებში განთავსებულ ვადიან ანაზრებს 90 დღეზე მეტი თავდაპირველი დაფარვის ვადით. ამ ნაშთების შენახვა ხდება ჯგუფის ლიკვიდობის მოთხოვნების სამართავად. ისინი არ არის შეზღუდული და ასევე თავისუფალი არიან სახელშეკრულებო შეზღუდვებისგან.

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით აღიარდება, პირდაპირ მიკუთვნებად საოპერაციო დანახარჯებთან ერთად და შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით ფასდება. საპროცენტო შემოსავალი მოგება-ზარალში აღიარდება პროპორციულ საფუძველზე, ანაზრის ვადის პროპორციულობის პრინციპის საფუძველზე.

### *მომხარებლებზე გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები*

კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებში მოცემულ სხვა აქტივებში შესული მომხარებლებზე გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული არაწარმოებული ფინანსური აქტივებია. მომხარებლებზე გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ფასდება, კორექტირდება საოპერაციო დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ზღვრული და პირდაპირ მიკუთვნებადია ფინანსური აქტივის გაცემასთან და მიღებული საზღაურებისთვის, რადგან ისინი შემდგომში შესულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშებაში. შემდგომში მომხარებლებზე გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები ამორტიზებული ღირებულებით ფასდება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

## სს „მიკრობანკი კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათას ლარში)

---

### *წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები*

კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებში სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებში შესული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს უცხოურ ვალუტას ხელშეკრულებებსა და სავალოტო სვოპებზე.

წარმოებული ინსტრუმენტები თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით აღიარდება იმ თარიღში, როდესაც წარმოებული ხელშეკრულებები შედის ძალაში და შემდგომ გადაფასდება სამართლიანი ღირებულებით. ყველა წარმოებული ინსტრუმენტი აისახება, როგორც ფინანსური აქტივები, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება დადებითია, და როგორც ფინანსური ვალდებულებები, როცა მათი სამართლიანი ღირებულება უარყოფითია.

ცვლილება წარმოებული ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაში სასწრაფო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

### *ინვესტიცია შვილობილ საწარმოში*

შვილობილი საწარმო არის ბანკის კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმო. ინვესტიცია შვილობილ საწარმოში გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული თვითღირებულებით აღირიცხება წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში.

### *წმინდა ინვესტიცია იჯარებში*

იჯარის დაწყებისას, მეიჯარე მის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს იჯარასთან დაკავშირებულ მოთხოვნას იჯარაში განხორციელებული წმინდა ინვესტიციის ოდენობით. იჯარაში წმინდა ინვესტიცია წარმოადგენს შემდეგი მუხლების თანხას, რომელიც დისკონტირდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით:

- ფინანსური იჯარის ფარგლებში მეიჯარის მიერ მისაღები საიჯარო გადახდები; და
- ნებისმიერი არა გარანტირებული ნარჩენი ღირებულება, რომელიც ერიცხება მეიჯარეს.

ძირი თანხის, პროცენტის, გაცემის საფასურის და სიცოცხლის დაზღვევის გარდა, საიჯარო გადახდები ასევე მოიცავს შემდეგი ტიპის ხარჯების დაფარვისთვის საჭირო თანხებს: ქონების გადასაადი, შემოწმების საფასური, მონიტორინგის საფასური და GPS კონტროლი.

იჯარაში ნაგულისხმევი განაკვეთი წარმოადგენს მეიჯარის მიერ საიჯარო ხელშეკრულებაში განსაზღვრულ საპროცენტო განაკვეთს. ეს არის განაკვეთი, რომლითაც საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულება და არა გარანტირებული ნარჩენი ღირებულება საიჯარო აქტივის სამართლიანი ღირებულების და მეიჯარის ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯების თანხას უტოლდება.

თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები წარმოადგენს იჯარის მიღების დამატებით დანახარჯებს, რომელთა გაწევაც არ მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ იჯარა არ გაფორმდებოდა.

თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები შედის იჯარაში წმინდა ინვესტირების საწყის შეფასებაში და ის ამცირებს იჯარის ვადაზე აღიარებულ შემოსავლის თანხას.

მეიჯარე ამცირებს წმინდა ინვესტიციას იჯარაში, მიღებულ გადახდებზე. მეიჯარემ უნდა აღიაროს ფინანსური შემოსავალი იჯარის ვადაზე, იჯარაში მეიჯარის მიერ განხორციელებულ წმინდა ინვესტიციაზე პერიოდული მუდმივი უკუგების განაკვეთის ამსახველი შაბლონის საფუძველზე. მეიჯარის მიზანია ფინანსური შემოსავლის განაწილება იჯარის ვადაზე, სისტემატიურ და რაციონალურ საფუძველზე. მეიჯარემ უნდა გამოიყენოს პერიოდთან დაკავშირებული საიჯარო

## სს „მიკრობანკი კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათას ლარში)

---

გადახდები იჯარაში განხორციელებულ მთლიან ინვესტიციასთან მიმართებით, ძირითადი და გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავლის შემცირების მიზნით.

### *გაუფასურება*

ჯგუფი აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივების გარდა, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უნდა შეფასდეს ზარალის რეზერვში, ქვემოთ მოცემული ოდენობით:

- 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, ე.ი. არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც იწვევს ფინანსურ ინსტრუმენტზე დეფოლტის შემთხვევებს, რომელიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში (შეესაბამება 1-ელ სტადიას); ან
- არსებობის მანძილზე სრული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, ე.ი. არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყო ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენით, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში (შეესაბამება მე-2 და მე-3 სტადიებს).

ზარალის რეზერვი არსებობის მანძილზე სრული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის საჭიროა ფინანსური ინსტრუმენტისთვის, თუ ამგვარი ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა საწყისი აღიარების შემდეგ. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტისთვის, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს საკრედიტო ზარალის დღევანდელი ღირებულების ვარაუდზე დაფუძნებულ შეფასებას. ისინი ფასდება ხელშეკრულების საფუძველზე ჯგუფის მიმართ არსებული დავალიანების ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის სხვაობის დღევანდელი ღირებულებით, რომლის მიღებასაც ჯგუფი მოელის სხვადასხვა მომავალი ეკონომიკური სცენარის შეწონვის განხორციელების და აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირების გზით.

ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აფასებს კოლექტიურ საფუძველზე, სესხების იმ პორტფელებისთვის, რომლებსაც ეკონომიკური რისკის მსგავსი მახასიათებლები აქვთ.

დამატებითი ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების შესახებ მოცემულია 30-ე შენიშვნაში, მათ შორის ინფორმაცია კოლექტიურ საფუძველზე ინსტრუმენტების შეფასებისას მათი დაჯგუფების შესახებ.

### გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი 'გაუფასურებულია', როდესაც წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენა, რომელსაც უარყოფითი გავლენა ექნება ამგვარი ფინანსური აქტივების შეფასებულ მომავალ ფულად ნაკადებზე. გაუფასურებული ფინანსური აქტივები მე-3 სტადიის აქტივებად განისაზღვრება. გაუფასურების მგვიცებულება მოიცავს ემპირიულ მონაცემებს შემდეგი შემთხვევების შესახებ:

- მსესხებლის ან ემიტენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვადაგადაცილების გზით;
- სამართალწარმოების დაწყება მსესხებლის წინააღმდეგ;

## სს „მიკრობანკი კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათას ლარში)

- მსესხებლის ფინანსური სირთულებით გამოწვეული ეკონომიკური ან სახელშეკრულებო მიზეზების გამო, კრედიტორმა მსესხებელს შესთავაზა დათმობა, რომელსაც კრედიტორი სხვაგვარად არ მოიაზრებდა;
- ფასიანი ქაღალდისთვის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური სირთულებების გამო; ან
- ფინანსური აქტივის შექმნა დიდი ფასდაკლებით, რომელიც ასახავს გაწეულ საკრედიტო ზარალს.

შესაძლებელი არ უნდა იყოს ერთი კონკრეტული მოვლენის იდენტიფიცირება - ფინანსური აქტივების გაუფასურება შესაძლოა გამოეწვიოს რამდენიმე მოვლენის ერთობლიობას.

სესხი გაუფასურებულად მიიჩნევა, როდესაც მსესხებელს მიენიჭება დათმობა მისი ფინანსური პირობების გაუარესების გამო, სანამ წარმოდგენილი არ იქნება მტკიცებულება იმისა, რომ დათმობის მინიჭების შედეგად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოუღებლობის რისკი მნიშვნელოვნად შემცირდა და გაუფასურების სხვა ნიშნები არ არსებობს. იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებთან მიმართებაშიც შესაძლოა გაიცეს, მაგრამ არ გაცემულა დათმობები, აქტივი გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს გაუფასურების ემპირიული მტკიცებულება, მათ შორის დეფოლტის განმარტების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

### შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივები

შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივები განსხვავებულად მუშავდება, რადგან აქტივი საწყისი აღიარებისას არის გაუფასურებული. ამგვარი აქტივებისთვის ჯგუფი ყველა ცვლილებას საწყისი აღიარების შემდეგ აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში აღიარებს როგორც ზარალის რეზერვს, მოგებაში ან ზარალში აღიარებული ნებისმიერი ცვლილებით. ამგვარი აქტივების ხელსაყრელი ცვლილება წარმოქმნის გაუფასურების შემოსულობას.

### მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებში

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი წარმოდგენილი კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებში შემდეგი სახით:

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისა და იჯარებში წმინდა ინვესტიციებისთვის: აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან დაქვითვის სახით;
- სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით ასახული სავალო ინსტრუმენტებისთვის: კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებში ზარალის რეზერვი არ აღიარდება, რადგან საბალანსო ღირებულება სამართლიან ღირებულებას არის გატოლებული.
- სასესხო ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებისთვის: ანარიცხის სახით; და
- როდესაც ფინანსური ინსტრუმენტი მოიცავს გამოყენებულ და გამოუყენებელ კომპონენტს, ჯგუფს არ შეუძლია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცალკე განსაზღვრა სასესხო ვალდებულების კომპონენტზე, გამოყენებული კომპონენტებისგან განცალკევებით: ჯგუფი წარმოადგენს ზარალის კომბინირებულ რეზერვს ორივე კომპონენტისთვის. კომბინირებული თანხა წარდგენილია, როგორც დაქვითვა შედგენილი კომპონენტის მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან.

## სს „მიკრობანკი კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათას ლარში)

ინფორმაცია დეფოლტის განმარტების, საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის და საპროგნოზო ინფორმაციის გამოყენების შესახებ მოცემულია 30-ე შენიშვნაში.

### *ფინანსური აქტივების მოდიფიცირება*

ფინანსური აქტივის მოდიფიცირება ხდება ფინანსური აქტივის ფულადი ნაკადების მმართველი სახელშეკრულებო პირობების გადახედვის ან სხვაგვარად ცვლილების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის თავდაპირველ აღიარებასა და დაფარვის ვადას შორის პერიოდში. მოდიფიცირება მოქმედებს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების თანხაზე და/ან ვადებზე, მაშინვე ან მომავალ პერიოდებში.

ჯგუფი ახდენს ფინანსური სირთულის მქონე მომხმარებლებზე გაცემული სესხების რესტრუქტურირებას, სესხის დაბრუნების შესაძლებლობების მაქსიმალურად გაზრდის და დეფოლტის რისკის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით. სესხის პირობების ცვლილება ხდება იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ყველა გონივრულ მცდელობას განახორციელებს საწყისი სახელშეკრულებო პირობების საფუძველზე გადახდის შესასრულებლად, არსებობს დეფოლტის წარმოშობის მაღალი რისკი ან დეფოლტი უკვე წარმოიშვა და მოსალოდნელია, რომ მსესხებელი შესძლებს შეცვლილი პირობების დაკმაყოფილებას. უმეტეს შემთხვევაში შეცვლილი პირობები მოიცავს სესხის ვადის გახანგრძლივებას, სესხის ფულადი ნაკადების (ძირი თანხის და პროცენტის დაფარვა) ვადების ცვლას, ვადადამდგარი ფულადი ნაკადების თანხის (ძირი თანხის და პროცენტის პატიება) შემცირება და სხვა პირობების ცვლილებას.

ფინანსური აქტივის ცვლილებისას, ჯგუფი აფასებს ხომ არ უნდა მოხდეს ამგვარი მოდიფიცირებული შედეგების აღიარების შეწყვეტა. ჯგუფის პოლიტიკის შესაბამისად, მოდიფიცირება იწვევს აღიარების შეწყვეტას, როდესაც ის არსებითად განსხვავებულ პირობებს წარმოქმნის. იმის განსასაზღვრად, მოდიფიცირებული პირობები არსებითად განსხვავდება თუ არა თავდაპირველი სახელშეკრულებო პირობებისგან, ჯგუფი ითვალისწინებს შემდეგს:

- რაოდენობრივი შეფასება ტარდება საწყისი პირობებით დარჩენილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების შეცვლილი პირობებით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებთან შედარების მიზნით, ორივე თანხის საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დისკონტირებით. თუ სხვაობა დღევანდელ ღირებულებაში არსებითად მიიჩნევა, ჯგუფი წყვეტს აღიარებას.

როდესაც მოდიფიკაცია არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, ჯგუფი მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას/ზარალს ანგარიშობს ცვლილებამდე და ცვლილების შემდეგ მთლიანი საბალანსო ღირებულების შედარების გზით (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის გამოკლებით) და აღრიცხავს მას საპროცენტო შემოსავალში. შემდეგ ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აფასებს მოდიფიცირებული აქტივისთვის, სადაც მოდიფიცირებული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი მოსალოდნელი ფულადი ნაკადები შესულია საწყისი აქტივიდან წარმოშობილი ფულადი სახსრების მოსალოდნელი დეფიციტის დაანგარიშებაში.

### *აღიარების შეწყვეტა და ჩამოწერა*

ჯგუფი ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვადა გაუვა სახელშეკრულებო უფლებას აქტივის ფულად ნაკადებზე (მოდიფიცირებიდან წარმოშობილი ვადის გასვლა არსებითად განსხვავებული პირობებით), ან როდესაც ფინანსური აქტივი და აქტივის ფლობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი სხვა საწარმოს გადაეცემა. თუ ჯგუფი არც გადასცემს და არც შეინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და სარგებელს და განაგრძობს გადაცემული აქტივის კონტროლს, ჯგუფი აქტივში და დაკავშირებულ ვალდებულებაში შენარჩუნებულ პროცენტს აღიარებს იმ თანხის ოდენობით, რომლის გადახდაც შეუძლია. თუ ჯგუფი

## სს „მიკრობანკი კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათას ლარში)

---

ინარჩუნებს გადაცემული აქტივის საკუთრების არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, ჯგუფი განაგრძობს ფინანსური აქტივის აღიარებას.

სესხების ჩამოწერა ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს არ აქვს ფინანსური აქტივის (მთლიანად ან ნაწილობრივ) ამოღების გონივრული მოლოდინი. ამ დროს ჯგუფი განსაზღვრავს, რომ მსესხებელს არ აქვს აქტივები ან შემოსავლის წყაროები, რომლებმაც შესაძლოა მოახდინონ შესაბამისი ფულადი ნაკადების გენერირება, ჩამოწერას დაქვემდებარებული თანხების გადასახდელად. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას. ჯგუფმა შესაძლოა გამოიყენოს აღსრულების ღონისძიებები ჩამოწერილ ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით. ჯგუფის მიერ გატარებული აღსრულების ღონისძიებებით ამოღებული თანხები გაუფასურების შემოსულობას გამოიწვევს.

### **ფინანსური ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი**

გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულება ან როგორც საკუთარი კაპიტალი, სახელშეკრულებო შეთანხმების არსის შესაბამისად. ფინანსური ვალდებულება წარმოადგენს სახელშეკრულებო ვალდებულებას, ფულადი სახსრები ან სხვა ფინანსური აქტივის მისაწოდებლად ან ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გასაცვლელად სხვა საწარმოსთან ისეთ პირობებში, რომლებიც არსებითად არახელსაყრელია ჯგუფისთვის ან ხელშეკრულებით, რომელიც დაიფარება ან შესაძლოა დაიფაროს ჯგუფის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით ან არის არაწარმოებული ხელშეკრულება, რომლისთვისაც ჯგუფი ვალდებულია ან შესაძლოა ვალდებული იყოს წარმოადგინოს მისი ცვლადი რაოდენობის წილობრივი ინსტრუმენტები ან განსხვავებული ხელშეკრულება საკუთარ კაპიტალზე, რომელიც დაიფარება ან შესაძლოა დაიფაროს ფიქსირებული რაოდენობის ნაღდი ფულის (ან სხვა ფინანსური აქტივის) გაცვლის გარეშე ჯგუფის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ფიქსირებული რაოდენობისთვის.

### ***წილობრივი ინსტრუმენტები***

წილობრივი ინსტრუმენტი არის ხელშეკრულება, რომლითაც დასტურდება ნარჩენი ინტერესი საწარმოს აქტივში ყველა მისი ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. ჯგუფის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტების აღიარება ხდება მიღებული შემოსულობის ოდენობით, რასაც აკლდება გამოშვებასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები.

### **ჩვეულებრივი აქციები**

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც საკუთარი კაპიტალი. დამატებითი დანახარჯები პირდაპირ მიკუთვნება ჩვეულებრივი აქციების გამოშვებასთან და წილობრივი ოფციონები აღიარდება საკუთარი კაპიტალიდან დაქვითვის სახით, ნებისმიერი დაბეგვრის შედეგის გამოკლებით.

### **პრივილეგირებული აქციები**

პრივილეგირებული აქციების მფლობელები უფლებამოსილი არიან მიიღონ დივიდენდები წლიური საპროცენტო განაკვეთით 10%. პრივილეგირებული აქციები საკუთარი კაპიტალის სახით არის კლასიფიცირებული, რადგან, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დივიდენდის ნებისმიერი დაპირება უქმდება და ეფუძნება წლის მოგებას და ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას.

## სს „მიკრობანკი კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათას ლარში)

---

### საემისიო შემოსავალი

სააქციო კაპიტალის ზრდის შემთხვევაში, ნებისმიერი სხვაობა სააქციო კაპიტალის რეგისტრირებულ რაოდენობასა და ფაქტობრივად მიღებული გადახდების სამართლიან ღირებულებას შორის საემისიო შემოსავალის სახით აღიარდება.

### **დივიდენდები**

ჯგუფის უნარი გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდები საქართველოში მოქმედი წესების და ნორმატიული აქტების საგანს წარმოადგენს. ჩვეულებრივ და პრივილეგირებულ აქციებთან დაკავშირებული დივიდენდები აისახება, როგორც გაუნაწილებელი მოგების ფლობა იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოცხადდება.

### **ფინანსური ვალდებულებები**

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირება ხდება ან „სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგება-ზარალში ასახულ“ ფინანსურ ვალდებულებებად, ან „სხვა ფინანსურ ვალდებულებებად“.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება მოგებაში ან ზარალში ასახვით

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგება-ზარალში ასახულის“ კატეგორიაში, როდესაც (i) ფინანსური ვალდებულება სავაჭროდ არის გამიზნული ან (ii) მისი დანიშნულებაა სამართლიანი ღირებულებით შეფასება და მოგება-ზარალში ასახვა.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგება-ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო ხელახალი შეფასებისას მიღებული შემოსულობა/ზარალი აღირიცხება მოგება-ზარალში. მოგება-ზარალში აღრიცხული წმინდა შემოსულობა/ზარალი მოიცავს ფინანსურ ვალდებულებაზე გადახდილ ნებისმიერ პროცენტს და ის შესულია წმინდა შემოსავალში სხვა ფინანსური ინსტრუმენტებიდან, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება და აისახება მოგება-ზარალში, მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლში.

### სხვა ფინანსური ვალდებულებები

‘სხვა ფინანსური ვალდებულებები’, მათ შორის სამომხმარებლო ანგარიშები, ნასესხები თანხები, გაცემული სავალო ფასიანი ქაღალდები, მარტივი თამასუქები და სხვა არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ფასდება, რასაც აკლდება საოპერაციო დანახარჯები.

‘სხვა ფინანსური ვალდებულებების’ შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ხოლო საპროცენტო ხარჯის აღიარება ხდება ეფექტური შემოსავლიანობის საფუძველზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გაანგარიშებისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო ხარჯის განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც მომავალში მოსალოდნელი ფულადი გადახდების ზუსტ დისკონტირებას ახდენს ფინანსური ინსტრუმენტის ვადაზე ან, საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საწყისი აღიარებისას წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

# სს „მიკრობანკი კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათას ლარში)

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თავში „წმინდა საპროცენტო შემოსავალი“ ზემოთ.

## ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ ჯგუფი ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში. აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში.

როდესაც ჯგუფი არსებულ კრედიტორთან ერთ სავალო ინსტრუმენტს არსებითად განსხვავებული პირობების ინსტრუმენტში გადაცვლის, ამგვარი გადაცვლა აღირიცხება საწყისი ფინანსური ვალდებულების დაფარვის და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარების სახით. ამის მსგავსად ჯგუფი აღრიცხავს არსებულ ვალდებულებებს ან მისი ნაწილის არსებით მოდიფიცირებას, საწყისი ფინანსური ვალდებულების დაფარვის და ახალი ვალდებულების აღიარების სახით. ნავარაუდევია, რომ პირობები არსებითად განსხვავებულია, თუ ახალი პირობების საფუძველზე ფულადი ნაკადების დღევანდელი დისკონტირებული ღირებულება, მათ შორის ნებისმიერი საფასურის გამოკლებით განხორციელებული გადახდა და დისკონტირებული თავდაპირველი ეფექტური განაკვეთის გამოყენებით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი დისკონტირებული ღირებულებისგან.

## უცხოური ვალუტა

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ბანკისა და მისი შვილობილი საწარმოს სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღიარდება გარიგების დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის, უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი მუხლების გადაყვანა ხდება ამ თარიღით მოქმედი კურსის გამოყენებით. სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული არაფულადი მუხლები, რომლებიც გამოხატულია უცხოურ ვალუტაში, იმ კურსებით გადაიყვანება, რომლებიც მოქმედებდა იმ თარიღით, როდესაც განისაზღვრა სამართლიანი ღირებულება. არაფულადი მუხლები, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით არის შეფასებული უცხოურ ვალუტაში, არ კონვერტირდება.

წლის დასასრულის მდგომარეობით კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას ჯგუფმა შემდეგი სავალუტო კურსები გამოიყენა:

	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6951	2.8068
ლარი/1 ევრო	3.1737	2.9306

## ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება პირვანდელი ღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი აღიარებული გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შეთხვევაში.

ძირითადი საშუალების კომპონენტის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს ამ კომპონენტის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება შეიძლება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ტექნიკური

# სს „მიკრობანკი კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათას ლარში)

მომსახურების ყოველდღიური დანახარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მისი დადგომისთანავე.

ცვეთა ერიცხება ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას და განკუთვნილია აქტივების ჩამოსაწერად სასარგებლო ეკონომიკური მომსახურები ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები	30 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 ან 8 წელი
ავეჯი	5 ან 10 წელი
IT აღჭურვილობა	5-10 წელი
საიჯარო ქონების გაუმჯობესება	3-5 წელი
სხვა	2-10 წელი

საიჯარო ქონების გაუმჯობესება ამორტიზდება შესაბამისი საიჯარო აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადაზე. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და ისინი შედის საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების გადახედვა ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან ვითარებების ცვლილება იმაზე მიუთითებს, რომ საბალანსო ღირებულება შესაძლოა ვერ ანაზღაურდეს.

ძირითადი საშუალებების მუხლის აღიარება წყდება მისი გასვლისას ან როდესაც მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა აქტივის ხანგრძლივი გამოყენებიდან. ძირითადი საშუალებების ნებისმიერი მუხლის გასვლით ან ჩამოწერით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან შემოსულობას და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

## არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების თვითღირებულებით აისახება, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის აღიარება წრფივი მეთოდით ხდება, სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაზე. სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადა 5-დან 10 წლამდე მერყეობს.

სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი პერსპექტიულად აღირიცხება.

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების თვითღირებულებით აისახება, რასაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივები ფასდება გაუფასურებაზე, როდესაც არსებობს მითითება იმისა, რომ არამატერიალური აქტივები შესაძლოა გაუფასურებული იყოს.

## დასაკუთრებული აქტივები

კონკრეტულ ვითარებებში, აქტივების დასაკუთრება ხდება დეფოლტირებული სესხების უზრუნველყოფის საგნის გამოყენების შემდეგ. ჯგუფი დასაკუთრებულ აქტივებს იყენებს

## სს „მიკრობანკი კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათას ლარში)

---

დეფოლტირებული სესხით მართებული თანხების დაფარვის ფორმით და მათ მიიჩნევს შეძენილ აქტივად და ჩვეული საქმიანობის პროცესში გასაყიდად გამიზნულად.

დასაკუთრებული აქტივები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ფასდება საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უმცირესით.

### დაბეგვრა

#### *მოგების გადასახადი*

მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მოგების გადასახადის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის უკავშირდება სხვა სრული შემოსავლის მუხლებს და პირდაპირ საკუთარ კაპიტალში აღიარებულ ოპერაციებს აქციონერებთან, რა შემთხვევაშიც ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ საკუთარ კაპიტალში.

#### მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მოსალოდნელ საგადასახადო ვალდებულებას წლის დასაბეგრ შემოსავალზე, საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომელიც მოქმედებს ან არსებითად მოქმედებულია საანგარიშგებო თარიღში დან საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერ კორექტირებას წინა წელთან მიმართებით.

ბანკის მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი იყო 20% 2025 და 2024 წლებისთვის.

#### გადავადებული გადასახადი

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აღიარდება ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების და საგადასახადო მიზნებისთვის გამოყენებული თანხების საბალანსო ღირებულებას შორის დროებით სხვაობასთან მიმართებაში.

იგი არ ეხება შემდეგი სახის დროებით სხვაობებს: საგადასახადო მიზნებისათვის გამოუქვითავი გუდვილის შემთხვევაში, აქტივებისა და ვალდებულებების საწყისი აღიარების შემთხვევაში, რომლებიც გავლენას არ ახდენენ არც საგადასახადო და არც სააღრიცხვო მოგებაზე, ასევე დროებითი სხვაობები, რომლებიც უკავშირდება ინვესტიციებს შვილობილ საწარმოებში, ფილიალებში და მეკავშირე საწარმოებში, სადაც მშობელ საწარმოს შეუძლია გააკონტროლოს დროებითი სხვაობის შემოზღუდვის დრო და მოსალოდნელია, რომ დროებითი სხვაობა განჭვრეტად მომავალში არ გაუქმდება. გადავადებული გადასახადის ნაშთები ფასდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღში მოქმედი ან არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა გამოყენებაც იგეგმება პერიოდზე, როდესაც დროებითი სხვაობები გაუქმდება ან გამოყენებული იქნება გადატანილი საგადასახადო ზარალი.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია სამომავლო დასაბეგრი მოგების მიღება, საიდანაც შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის და კრედიტის გამოყენება. გადავადებული საგადასახადო აქტივები გადაფასდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და მცირდება მაშინ, თუ აღარ არის სავარაუდო შესაბამისი საგადასახადო სარგებლის რეალიზება.

## სს „მიკრობანკი კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათას ლარში)

---

### *საოპერაციო გადასახადები*

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა სხვა გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს ჯგუფის საქმიანობაზე. ეს გადასახადები შედის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავალის ანგარიშგებებში საოპერაციო ხარჯების კომპონენტში.

### **დასაქმებულთა გასამრჯელოები**

#### *დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები*

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოს ვალდებულებები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და აღირიცხება მაშინ, როდესაც მოხდება შესაბამისი მომსახურების გაწევა. ვალდებულება აღიარდება იმ თანხაზე, რომლის მიღებაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი პრემიის ან მოგებაში მონაწილეობის გეგმების ფარგლებში, თუ ჯგუფს აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს თანხა დასაქმებულის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად. ამგვარი ვალდებულება შესაძლოა საიმედო სიზუსტით შეფასდეს.

### **იჯარები - ჯგუფი, როგორც მოიჯარე**

ჯგუფი აფასებს ხელშეკრულება არის ან მოიცავს თუ არა იჯარას, ხელშეკრულების ამოქმედების თარიღში. ჯგუფი აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და შესაბამის საიჯარო ვალდებულებას ყველა საიჯარო გარიგებასთან მიმართებაში, რომელშიც ის მოიჯარის როლში გამოდის, გარდა მოკლევადიანი იჯარებისა (12 თვის ან ნაკლები ვადის მქონე იჯარები) და დაბალი ღირებულების აქტივების იჯარებისა (როგორც არის ტაბლეტები და პერსონალური კომპიუტერები, საოფისე ავეჯის მცირე ერთეულები და ტელეფონები). ამ იჯარებისთვის ჯგუფი აღიარებს საიჯარო გადასახდელებს საოპერაციო ხარჯად, წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადაზე, სანამ სხვა სქემა უფრო ზუსტად არ ასახავს საიჯარო აქტივებიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იჯარის დაწყების თარიღში გადაუხდეელი საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება იჯარაში ნაგულისხმევი განაკვეთის გამოყენებით. თუ ეს განაკვეთი რთულად განსაზღვრია, ჯგუფი იყენებს ზღვრულ სასესხო განაკვეთს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საიჯარო ვალდებულება ცალკე მუხლად არის წარმოდგენილი.

საიჯარო ვალდებულება შემდგომში ფასდება საბალანსო ღირებულების გაზრდის გზით, საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტის ასახვის მიზნით, ასევე საბალანსო ღირებულების შემცირების გზით - განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვის მიზნით.

ჯგუფი ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას (და ახდენს დაკავშირებული აქტივის გამოყენების უფლების შესაბამის კორექტირებას), როდესაც:

- იჯარის ვადა იცვლება ან არსებობს მნიშვნელოვანი მოვლენა ან ვითარების ცვლილება, რომელიც იწვევს ცვლილებას არსებული შესყიდვის უფლებით სარგებლობის შეფასებაში, რა შემთხვევაშიც საიჯარო ვალდებულება განმეორებით ფასდება შეცვლილი საიჯარო გადახდების დისკონტირების გზით, გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით.
- საიჯარო გადახდები იცვლება ინდექსის ან განაკვეთის ან გარანტირებული ნარჩენი ღირებულების ფარგლებში მოსალოდნელი გადახდის ცვლილების გამო, რა შემთხვევაშიც

## სს „მიკრობანკი კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათას ლარში)

---

საიჯარო ვალდებულება გადაფასდება შეცვლილი საიჯარო გადახდების დისკონტირებით, უცვლელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით (თუ საიჯარო გადახდები იცვლება მცოცავი საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო, რა შემთხვევაშიც გამოიყენება შეცვლილი დისკონტირების განაკვეთი).

- საიჯარო ხელშეკრულება იცვლება და საიჯარო მოდიფიკაცია არ აღირიცხება ცალკე იჯარად, რა შემთხვევაშიც საიჯარო ვალდებულება გადაფასდება შეცვლილი იჯარის საიჯარო ვადის საფუძველზე, შეცვლილი საიჯარო გადახდების დისკონტირებით, ცვლილების თარიღში მოდიფიცირებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით.

ჯგუფს არ განუხორციელებია ამგვარი ცვლილებები წარმოდგენილი პერიოდის განმავლობაში.

აქტივების გამოყენების უფლება წარმოადგენს შესაბამისი საიჯარო ვალდებულებების და დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებული საიჯარო გადახდების საწყის შეფასებას, ნებისმიერი მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდების და თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯების გამოკლებით. ისინი შემდგომ ფასდება დაგროვილი ცვეთით და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

აქტივების გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხებათ საიჯარო ვადასა და საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უფრო მოკლე პერიოდზე. თუ იჯარა გადასცემს საიჯარო აქტივის საკუთრების უფლებას ან აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს, რომ ჯგუფი მოელის შესყიდვის უფლებით სარგებლობას, შესაბამის აქტივის გამოყენების უფლებაზე ირიცხება ცვეთა საბაზისო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება იჯარის ვადის დაწყების თარიღში.

აქტივების გამოყენების უფლება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ცალკე ხაზის სახით არის წარმოდგენილი.

იმის განსასაზღვრად, აქტივის გამოყენების უფლება გაუფასურებულია თუ არა, ჯგუფი ბასს (IAS) 36-ს იყენებს და აღრიცხავს ნებისმიერ გამოვლენილ გაუფასურების ზარალს, „ძირითადი საშუალებების“ პოლიტიკაში აღწერილი ფორმით.

პრაქტიკული მიდგომის სახით, ფასს (IFRS) 16 მოიჯარეს საშუალებას აძლევს ცალკე არ გამოჰყოს არა საიჯარო კომპონენტები და ამის ნაცვლად აღრიცხოს ნებისმიერი იჯარა და დაკავშირებული არა საიჯარო კომპონენტები, ინდივიდუალური გარიგების სახით. ჯგუფმა ეს პრაქტიკული მიდგომა გამოიყენა.

### ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე იურიდიული თუ კონსტრუქციული ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სანდოობით განსაზღვრა.

### პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებში, თუმცა წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებში, თუმცა წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

## სს „მიკრობანკი კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათას ლარში)

### 3. კრიტიკული მნიშვნელობის სააღრიცხვო განსჯა და შეფასების განუსაზღვრელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი წყაროები

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას, რომლებიც მე-2 შენიშვნაშია აღწერილი, ჯგუფის ხელმძღვანელობას მოეთხოვება განსჯის, შეფასების და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა წყაროებიდან მზა სახით ხელმისაწვდომი არ არის. ეს შეფასებები და მათთან დაკავშირებული დაშვებები ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა საპროგნოზო ინფორმაციას, რომლებიც აქტუალურად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდნენ ამ შეფასებებისგან.

შეფასებები და თანმდევი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა ამ შეფასების გადახედვა, თუ ამ უკანასკნელს გავლენა აქვს მხოლოდ ამ პერიოდზე, ან გადახედვის პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ გადახედვა გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

#### შეფასების განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროები

ქვემოთ მოცემულია მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

#### *ზარალის რეზერვი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის*

ქვემოთ მოცემულია მნიშვნელოვანი დაშვებები, რომლებიც ხელმძღვანელობამ გამოიყენა ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში და რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდათ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვებზე:

- **საპროგნოზო სცენარების განსაზღვრა:** მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას ჯგუფი იყენებს გონივრულ და მხარდამჭერ საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ეყრდნობა სხვადასხვა ეკონომიკური დრაივერების მომავალ მოძრაობასთან დაკავშირებულ დაშვებებს და ამ დრაივერების ერთმანეთზე მოქმედების წესს.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 30-ე შენიშვნაში, მათ შორის მოსალოდნელ საპროგნოზო ინფორმაციაში განხორციელებული ცვლილებების მიმართ ანგარიშგებულ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მგრძობელობის ანალიზის ჩათვლით.

- **საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა:** როგორც მე-2 შენიშვნაში აღვნიშნეთ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება, 12- თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ოდენობით 1-ლი სტადიის აქტივებისთვის, ან არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - მე-2 ან მე-3 სტადიის აქტივებისთვის. აქტივი მე-2 სტადიაში გადადის, როდესაც მისი საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა. იმის შეფასებისას, აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა, ჯგუფი ითვალისწინებს თვისებრივ და რაოდენობრივ, გონივრულ და მხარდამჭერ საპროგნოზო ინფორმაციას.
- **დეფოლტის ალბათობა (PD):** დეფოლტის ალბათობა წარმოადგენს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში გამოყენებულ მნიშვნელოვან ამოსავალ ინფორმაციას. დეფოლტის ალბათობა არის გარკვეული დროის განმავლობაში დეფოლტის დადგომის შესაძლებლობის შეფასება, რომლის დაანგარიშება მოიცავს განვლილ მონაცემებს, დაშვებებს და მომავალი ვითარებების მოლოდინებს.

## სს „მიკრობანკი კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათას ლარში)

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 30-ე შენიშვნაში, მათ შორის დეფოლტის ალბათობაში განხორციელებული ცვლილებების მიმართ ანგარიშგებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მგრძობელობის ანალიზთან ერთად.

- **დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში (LGD):** LGD არის დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგის შეფასება. ის ეყრდნობა სხვაობას გადასახდელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელთა მიღებასაც სესხის გამცემი მოელის, უზრუნველყოფის საგნიდან და კრედიტის ხარისხის გაუმჯობესებიდან წარმოშობილი ფულადი ნაკადების გათვალისწინებით.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 30-ე შენიშვნაში, მათ შორის დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგებში განხორციელებული ცვლილებების მიმართ ანგარიშგებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მგრძობელობის ანალიზთან ერთად.

### *ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა*

როგორც 28-ე შენიშვნაშია აღწერილი, ჯგუფი იყენებს შეფასების მეთოდებს, რომლებიც მოიცავს ამოსავალ მონაცემებს, რომლებიც, თავის მხრივ არ ეფუძნება ემპირიულ საბაზრო მონაცემებს, კონკრეტული ტიპის ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად. 28-ე შენიშვნაში მოცემულია დეტალური ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრაში გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვებები, ასევე ამ დაშვებებისთვის მგრძობელობის დეტალური ანალიზი. ჯგუფის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ შერჩეული შეფასების მეთოდები და გამოყენებული დაშვებები შესაბამისია ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის.

#### 4. ფასს (IFRS) სტანდარტების ცვლილებები, რომლებსაც გავლანა აქვთ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში გაცხადებულ თანხებზე

ჯგუფს ვადაზე ადრე არ მიუღია რომელიმე სტანდარტი, ინტერპრეტაცია ან ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ძალაში არ არის შესული 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

#### 2025 წელს მოქმედი სტანდარტები და ცვლილებები

ჯგუფის საქმიანობის შესაბამისი შემდეგი სტანდარტი ძალაში შევიდა 2025 წლის 1 იანვრის ან შემდგომი ყოველწლიურ საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ჯგუფმა ეს სტანდარტი გამოიყენა წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მომზადების პროცესში. ამ სტანდარტის მიღებას არსებითი გავლენა არ ჰქონია ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა თუ განმარტებით შენიშვნებზე:

- **„ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა“ - ბასს (IAS) 21-ის ცვლილება „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები“**  
ცვლილებები განმარტავს, თუ როგორ განსაზღვრავს საწარმო გამოსაყენებელ სავალუტო კურსს იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი ვალუტა არ არის გადაცვლადი სხვა ვალუტაზე, და შემოაქვს ინფორმაციის გამჟღავნების შესაბამისი მოთხოვნები. ეს ცვლილებები ძალაში შევიდა 2025 წლის 1 იანვარს. ცვლილებებს გავლენა არ ჰქონიათ ბანკის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

#### ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ამ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების გამოცემის თარიღისთვის გამოცემულია რამდენიმე ახალი სტანდარტი, ინტერპრეტაცია და ცვლილება, რომლებიც ჯერ არ არის

## სს „მიკრობანკი კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათას ლარში)

ძალაში შესული და ჯგუფს წინასწარ არ მიუღია. ჯგუფი ამ ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას გეგმავს მათი ძალაში შესვლისთანავე.

### „ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების შესწორებები“ - ფასს (IFRS) 9 და ფასს (IFRS) 7

2024 წლის 30 მაისს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა ფასს (IFRS) 9-ის („ფინანსური ინსტრუმენტები“) და ფასს (IFRS) 7-ის („ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“) ცვლილებები. ცვლილებებს შემოაქვს განმარტებები და დამატებითი მოთხოვნები, მათ შორის:

- იმის განმარტება, რომ ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება ანგარიშსწორების თარიღში და პოლიტიკის არჩევის შესაძლებლობა იმ ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის, რომლებიც გადახდის თარიღამდე ელექტრონული გადახდის სისტემის გამოყენებით ივარება (შესაბამისი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში);
- დამატებითი სახელმძღვანელო მითითებები ESG ან მსგავსი მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეფასებასთან დაკავშირებით;
- განმარტებები რეგრესის უფლების არქონის ფუნქციებისა და ხელშეკრულებით დაკავშირებული ინსტრუმენტების შესახებ;
- ინფორმაციის გამჟღავნების ახალი მოთხოვნები პირობითი მახასიათებლების მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისა და სხვა სრულ შემოსავალში ასახული სამართლიანი ღირებულებით შეფასებული წილობრივი ინსტრუმენტებისთვის.

ცვლილებები ძალაშია 2026 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული ყოველწლიური პერიოდებისთვის. ვადამდე მიღება ნებადართულია მხოლოდ კონკრეტული კლასიფიკაციისა და ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებისთვის. ამ დროისათვის ჯგუფი პოტენციურ გავლენას აფასებს.

### ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების ყოველწლიური განახლებები - მე-11 ტომი

წლიური გაუმჯობესებების ციკლი ადგენს ვიწრო მასშტაბის ცვლილებებს, რომლებიც ძირითადად მოიცავს განმარტებებსა და რედაქციულ გაუმჯობესებებს ფასს (IFRS) 1, ფასს (IFRS) 7, ფასს (IFRS) 9, ბასს (IAS) 7 და სხვა სტანდარტებში. ცვლილებები ძალაშია 2026 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული ყოველწლიური პერიოდებისთვის. დღეისათვის ჯგუფი აფასებს ცვლილებებს და მათ პოტენციურ გავლენას განმარტებითი შენიშვნებსა და წარდგენაზე.

### ფასს (IFRS) 18 - „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები“

2024 წლის აპრილში გამოცემული ფასს (IFRS) 18 ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 1-ს („ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“) და ადგენს ახალ მოთხოვნებს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებისა და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნებისთვის, მათ შორის:

- მითითებული ჯამები და ქვეჯამები;
- შემოსავლისა და ხარჯების კლასიფიკაცია საოპერაციო, საინვესტიციო, საფინანსო, მოგებიდან გადასახადებისა და შეწყვეტილი ოპერაციების კატეგორიებად.
- ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საქმიანობის შედეგების მაჩვენებლების გამჟღავნება;
- აგრეგირებისა და დეზაგრეგირების გაძლიერებული მოთხოვნები;

## სს „მიკრობანკი კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათას ლარში)

- შედეგად განხორციელებული ცვლილებები ბასს (IAS) 7-ში („ფულადი ნაკადების ანგარიშგება“), მათ შორის საოპერაციო მოგება-ზარალის არაპირდაპირი მეთოდის საწყის წერტილად გამოყენება და დივიდენდებისა და პროცენტის კლასიფიკაციის შერჩევითობის გაუქმება.

ფასს (IFRS) 18 და შესაბამისი ცვლილებები ძალაშია 2027 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ვადამდე მიღება ნებადართულია და მოითხოვს რეტროსპექტულად გამოყენებას. დღეისათვის ჯგუფი აფასებს სტანდარტის პოტენციურ გავლენას საწყისი ფინანსური ანგარიშგებებისა და მისი განმარტებითი შენიშვნების წარდგენაზე.

### 5. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

	2025	2024
<b>ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით დაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი:</b>		
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	161,227	140,134
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	936	161
	<b>162,163</b>	<b>140,295</b>
<b>სხვა საპროცენტო შემოსავალი:</b>		
წმინდა ინვესტიცია იჯარებში	6,607	5,766
	<b>168,770</b>	<b>146,061</b>
<b>საპროცენტო ხარჯები</b>		
ნასესხები სახსრები	(43,634)	(37,219)
მარტივი თამასუქები	(3,130)	(3,597)
სუბორდინირებული ვალი	(2,836)	(2,030)
საიჯარო ვალდებულება	(1,009)	(937)
სამომხმარებლო ანგარიშები	(602)	(791)
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	(371)	-
	<b>(51,582)</b>	<b>(44,574)</b>
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>	<b>117,188</b>	<b>101,487</b>

### 6. საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა

	2025	2024
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი)	6,966	(7,532)
წმინდა (ზარალი)/შემოსულობა უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან	(4,896)	11,474
<b>საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა</b>	<b>2,070</b>	<b>3,942</b>

### 7. საკომისიო შემოსავალი

	2025	2024
SMS სერვისი	917	739
სესხთან დაკავშირებული სხვა მომსახურებები	534	330
მიმდინარე ანგარიშის მომსახურების საფასური	399	-
ფულადი გზავნილები	317	454
გადახდები კომუნალურ მომსახურებებზე	34	40
სხვა საკომისიო შემოსავალი	41	96
	<b>2,242</b>	<b>1,659</b>

## სს „მიკრობანკი კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათას ლარში)

### 8. სხვა შემოსავალი

	2025	2024
შემოსულობა ტექნიკური მხარდაჭერიდან	456	40
შემოსულობა საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტიდან	126	408
შემოსულობა ქონების გასვლიდან	67	-
სხვა შემოსავალი	166	151
	<b>815</b>	<b>599</b>

### 9. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2025	2024
კომუნალური მომსახურება და კავშირგაბმულობა	2,074	1,953
პროგრამული უზრუნველყოფის ტექნიკური მხარდაჭერა და ტექნომომსახურება	1,632	1,468
იურიდიული და სხვა პროფესიული მომსახურება	1,581	1,409
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	1,247	640
მარკეტინგი და რეკლამა	1,507	801
დაზღვევა	960	857
სახარჯო მასალები და საოფისე აღჭურვილობა	819	792
მოკლევადიანი იჯარებსა და დაბალფასიან მუხლებთან დაკავშირებული ხარჯი	663	470
საწევრო შენატანი	629	618
ზარალი სხვა არ ამოღებულ აქტივებზე	583	313
საწვავი და ტრანსპორტირება	564	570
ბანკის საკომისიო გადახდები	476	891
მივლინებები	473	382
რემონტი და ტექნომომსახურება	420	415
დაცვა	389	276
ბარათის გამოშვება	375	-
პერსონალის გადამზადება და დასაქმება	217	246
სხვა	1,437	1,213
	<b>16,046</b>	<b>13,314</b>

### აუდიტორის ანაზღაურება

იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯები მოიცავს აუდიტორის ანაზღაურებას. ჯგუფის აუდიტორის ანაზღაურება 31 დეკემბრით დასრულებული 2025 და 2024 წლებისთვის მოიცავს შემდეგს:

	2025	2024
ჯგუფის წლიური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტის საფასური 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	205	203

სხვა აუდიტორებსა და აუდიტორულ ფირმებზე გადახდილმა საზღაურმა და დანახარჯებმა სხვა პროფესიულ მომსახურებებთან მიმართებით 458 ათასი ლარი (2024 წ.: 185 ათასი ლარი) შეადგინა.

### 10. დაბეგვრა

	2025	2024
მიმდინარე წლის საგადასახადო ხარჯი	2,530	5,414
	<b>2,530</b>	<b>5,414</b>
მომრაობა დროებითი სხვაობების წარმოშობასთან ან/და გაუქმებასთან დაკავშირებულ გადავადებულ საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებში	971	(202)
<b>სულ მოგების გადასახადის ხარჯი</b>	<b>3,501</b>	<b>5,212</b>

მოქმედი მოგების გადასახადის განაკვეთი 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის 20%-ს შეადგენს.

# სს „მიკრობანკი კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათას ლარში)

## 31 დეკემბრით დასრულებული წლის ეფექტური საგადასახადო განაკვეთის შეჯერება

	2025	2024
მოგება დაბეგვრამდე	<b>16,975</b>	<b>27,875</b>
მოგების გადასახადი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით	3,395	5,575
გადასახადით დაუბეგრავი შემოსავალი	(63)	-
გამოუქვითავი ხარჯები	238	689
სხვა ცვლილებები	(69)	(1,052)
<b>სულ მოგების გადასახადის ხარჯი</b>	<b>3,501</b>	<b>5,212</b>

## გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

დროებითი სხვაობები ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და დაბეგვრის მიზნით გამოყენებულ თანხებს შორის წარმოშობს წმინდა გადავადებულ საგადასახადო აქტივებს 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მოდრაობები დროებით სხვაობებში 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2025 წლის 1 იანვარი	მოგება-ზარალში აღიარებული	2025 წლის 31 დეკემბერი
ძირითადი საშუალებები	(269)	(345)	(614)
აქტივების გამოყენების უფლება	(2,335)	(771)	(3,106)
არამატერიალური აქტივები	624	276	900
სესხები და ნასესხები სახსრები	269	(718)	(449)
საიჯარო ვალდებულება	2,480	672	3,152
სხვა ვალდებულებები	597	(85)	512
<b>წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივი</b>	<b>1,366</b>	<b>(971)</b>	<b>395</b>

	2024 წლის 1 იანვარი	მოგება-ზარალში აღიარებული	2024 წლის 31 დეკემბერი
ძირითადი საშუალებები	4	(273)	(269)
აქტივების გამოყენების უფლება	(1,896)	(439)	(2,335)
არამატერიალური აქტივები	381	243	624
სესხები და ნასესხები სახსრები	319	(50)	269
საიჯარო ვალდებულება	1,938	542	2,480
სხვა ვალდებულებები	418	179	597
<b>წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივი</b>	<b>1,164</b>	<b>202</b>	<b>1,366</b>

## 11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფული სალაროში	29,517	15,785
მიმდინარე ანგარიშები სებ-ში	16,374	-
ანაზრები სხვა საკრედიტო დაწესებულებებში 90 დღეზე ნაკლები ვადით	9,624	-
მიმდინარე ანგარიშები სხვა საკრედიტო დაწესებულებებში	1,618	8,901
<b>სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები</b>	<b>57,133</b>	<b>24,686</b>

## სს „მიკრობანკი კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათას ლარში)

ჯგუფის არცერთი ნაშთი არ არის ვადაგადაცილებული. ჯგუფის ნაშთები მოიცავს მიმდინარე ანგარიშებს ქართულ ბანკებში და გამოიყენება ჯგუფის ყოველდღიური აქტივობების მიზნებისთვის.

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითად არის შეფასებული.

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ნაღდი ფული განთავსებულია ბანკებში, რომლებსაც „Fitch Ratings“ სარეიტინგო სააგენტოსგან მიღებული აქვთ B (მოკლევადიანი) და BB (გრძელევადიანი) რეიტინგები.

მიმდინარე ანგარიშები სხვა საკრედიტო დაწესებულებებში ძირითადად მოიცავს ადგილობრივ ბანკებში არსებულ Nostro ანგარიშებს ლარში, აშშ დოლარსა და ევროში.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნულ ბანკში მიმდინარე ანგარიშების ნაშთები მოიცავს ერთდღიან ანაზრებს 16,300 ათასი ლარის ოდენობით.

### 12. სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში ასახვით

	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
<b>ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით</b>		
წარმოქმნილი ფინანსური აქტივები		
უცხოური ვალუტის ფორვარდული ხელშეკრულებები	5	20
სავალუტო სვოპის ხელშეკრულებები	-	4,483
<b>მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები</b>	<b>5</b>	<b>4,503</b>
<b>ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით</b>		
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები		
უცხოური ვალუტის ფორვარდული ხელშეკრულებები	-	-
სავალუტო სვოპის ხელშეკრულებები	12,807	-
<b>სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება მოგებაში ან ზარალში ასახვით</b>	<b>12,807</b>	<b>-</b>
<b>სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მთლიანი ფინანსური აქტივები მოგებაში ან ზარალში ასახვით</b>	<b>-</b>	<b>4,503</b>
<b>სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მთლიანი ფინანსური ვალდებულება მოგებაში ან ზარალში ასახვით</b>	<b>12,805</b>	<b>-</b>

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში ასახვით სავალუტო დერივატივის ხელშეკრულებებს მოიცავს.

2025 წლის 31 დეკემბრის და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წმინდა ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომელიც სამართლიანი ღირებულებით არის აღიარებული მოგება-ზარალში 14,507 ათასი ლარის და 6,210 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად, წარმოადგენს ამ გარიგებების წმინდა გავლენას ჯგუფის შემოსავლებზე. ეს თანხები მოიცავს საოპერაციო

## სს „მიკრობანკი კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათას ლარში)

დანახარჯებს, ე.ი. ნებისმიერ საზღაურს ან პროცენტს, რომლებიც ამ ჰეჯირების ინსტრუმენტს ერიცხება, ასევე კორექტირების ეფექტს მათი სამართლიანი ღირებულების განსასაზღვრად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია გარიგებები, რომლებიც განხორციელდა 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, და რომლებიც ჯერ არ დაფარულა. მოცემულია პირობითი თანხები და სავალუტო წყვილები, რომელთა გადაცვლაც მოხდება შემდგომი შედეგად:

	პირობითი თანხა	
	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
<b>აშშ დოლარის გაყიდვა ლარის ყიდვა</b>		
3 თვეზე ნაკლები	103,492	85,467
2-დან 12 თვემდე	126,670	51,364
1 წელზე მეტი	18,866	58,943
	<b>249,028</b>	<b>195,774</b>
<b>აშშ დოლარის გაყიდვა ევროს ყიდვა</b>		
3 თვეზე ნაკლები	475	2,252
	<b>475</b>	<b>2,252</b>
<b>აშშ დოლარის გაყიდვა შვეიცარიული ფრანკის ყიდვა</b>		
3 თვეზე ნაკლები	-	467
	-	<b>467</b>
<b>აშშ დოლარის გაყიდვა რუბლის ყიდვა</b>		
3 თვეზე ნაკლები	1,351	105
	<b>1,351</b>	<b>105</b>
<b>აშშ დოლარის გაყიდვა თურქული ლირას ყიდვა</b>		
2-დან 12 თვემდე	47	-
	<b>47</b>	-
<b>ლარის გაყიდვა გირვანჯა სტერლინგის ყიდვა</b>		
3 თვეზე ნაკლები	365	-
	<b>365</b>	-
<b>ლარის გაყიდვა აშშ დოლარის ყიდვა</b>		
3 თვეზე ნაკლები	-	406
2-დან 12 თვემდე	704	544
	<b>704</b>	<b>950</b>
<b>ევროს გაყიდვა ლარის ყიდვა</b>		
3 თვეზე ნაკლები	-	2,286
2-დან 12 თვემდე	35,831	14,653
1 წელზე მეტი	-	14,653
	<b>35,831</b>	<b>31,592</b>
<b>ევროს გაყიდვა აშშ დოლარის ყიდვა</b>		
3 თვეზე ნაკლები	-	821
	-	<b>821</b>

### 13. მომხმარებლებზე გაცემული სესხები

	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
ძირითადი თანხა	567,916	514,043
დარიცხული პროცენტი	2,552	1,837
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(20,757)	(15,415)
<b>სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები</b>	<b>549,711</b>	<b>500,465</b>

მომხმარებლებზე გაცემული ყველა სესხი ამორტიზებული ღირებულებით ფასდება. მომხმარებლებზე გაცემული სესხები ჯამდება ერთგვაროვანი პროდუქტის ჯგუფების მიხედვით, როდესაც თითოეულ ჯგუფში სესხები მსგავსი მახასიათებლებით ხასიათდება, მათი მაჩვენებლების დაკავშირებული რისკების და საბაზისო ბიზნეს პროცესების გათვალისწინებით.

## სს „მიკრობანკი კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათას ლარში)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია სასესხო პროდუქტების ჯგუფების მიხედვით 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მთლიანი საბალანსო ღირებულება	ზარალის რეზერვი	საბალანსო ღირებულება ამორტიზებული ღირებულებით
<b>საცალო მომხმარებლებზე გაცემული სესხები:</b>			
მიკრო ბიზნეს-სესხები	159,701	(7,655)	152,046
სასოფლო-სამეურნეო სესხები	124,781	(5,625)	119,156
სამომხმარებლო სესხები	94,492	(3,366)	91,126
ავტო სესხები	64,922	(551)	64,371
სესხები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის	61,400	(1,923)	59,477
სწრაფი სესხები	33,949	(1,298)	32,651
სალომზარდო სესხები	18,849	(72)	18,777
საბინაო სესხები	12,374	(267)	12,107
<b>სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები</b>	<b>570,468</b>	<b>(20,757)</b>	<b>549,711</b>

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია სასესხო პროდუქტების ჯგუფების მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მთლიანი საბალანსო ღირებულება	ზარალის რეზერვი	საბალანსო ღირებულება ამორტიზებული ღირებულებით
<b>საცალო მომხმარებლებზე გაცემული სესხები:</b>			
მიკრო ბიზნეს-სესხები	149,124	(3,276)	145,848
სასოფლო-სამეურნეო სესხები	111,208	(6,195)	105,013
სამომხმარებლო სესხები	83,328	(2,575)	80,753
ავტო სესხები	51,539	(201)	51,338
სესხები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის	50,626	(2,073)	48,553
სწრაფი სესხები	39,337	(775)	38,562
სალომზარდო სესხები	17,844	(51)	17,793
საბინაო სესხები	12,874	(269)	12,605
<b>სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები</b>	<b>515,880</b>	<b>(15,415)</b>	<b>500,465</b>

## სს „მიკრობანკი კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათას ლარში)

მოძრაობა სესხის გაუფასურების რეზერვში 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შემდეგია:

	2025			სულ
	სტატია 1 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	სტატია 2 არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - არა გაუფასურებული:	სტატია 3 არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - გაუფასურებული:	
<b>ნაშთი წლის დასაწყისში</b>	<b>3,515</b>	<b>1,905</b>	<b>9,995</b>	<b>15,415</b>
ახალი სესხები	8,508	-	-	<b>8,508</b>
12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე გადატანა	67	(67)	-	-
გადატანა არ გაუფასურებულ არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	(16,093)	17,007	(914)	-
გადატანა გაუფასურებულ არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	-	(24,304)	24,304	-
დაფარული სესხები	(1,838)	(241)	(4,236)	(6,315)
ჩამოწერილი წლის განმავლობაში	-	-	(21,209)	<b>(21,209)</b>
ადრე ჩამოწერილი სესხების აღდგენა	-	-	3,470	<b>3,470</b>
ცვლილებები საკრედიტო რისკში	9,489	8,040	595	18,124
საპროცენტო შემოსავლის კორექტირება	-	-	2,764	2,764
<b>ნაშთი წლის ბოლოს</b>	<b>3,648</b>	<b>2,340</b>	<b>14,769</b>	<b>20,757</b>

შესაბამისი მოძრაობა მომხმარებლებზე გაცემული სესხების მთლიან საბალანსო ღირებულებაში 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შემდეგია:

	2025			სულ
	სტატია 1 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	სტატია 2 არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - არა გაუფასურებული:	სტატია 3 არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - გაუფასურებული:	
<b>ნაშთი წლის დასაწყისში</b>	<b>475,545</b>	<b>25,612</b>	<b>14,723</b>	<b>515,880</b>
ახალი სესხები	416,633	-	-	<b>416,633</b>
12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე გადატანა	2,298	(2,298)	-	-
გადატანა არ გაუფასურებულ არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	(39,522)	40,676	(1,154)	-
გადატანა გაუფასურებულ არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	-	(26,044)	26,044	-
დაფარული სესხები	(335,644)	(9,536)	(6,404)	(351,584)
ჩამოწერილი წლის განმავლობაში	-	-	(21,209)	<b>(21,209)</b>
ადრე ჩამოწერილი სესხების აღდგენა	-	-	3,470	<b>3,470</b>
სხვა ცვლილებები	2,085	656	4,537	<b>7,278</b>
<b>ნაშთი წლის ბოლოს</b>	<b>521,395</b>	<b>29,066</b>	<b>20,007</b>	<b>570,468</b>

## სს „მიკრობანკი კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათას ლარში)

მომრავა სესხის გაუფასურების რეზერვში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შემდეგია:

	2024			სულ
	სტადია 1 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	სტადია 2 არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - არა გაუფასურებული:	სტადია 3 არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - გაუფასურებული:	
<b>ნაშთი წლის დასაწყისში</b>	<b>6,613</b>	<b>2,204</b>	<b>9,632</b>	<b>18,449</b>
ახალი სესხები	6,060	-	-	6,060
12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე გადატანა	166	(166)	-	-
გადატანა არ გაუფასურებულ არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	(9,883)	6,271	3,612	-
გადატანა გაუფასურებულ არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	-	(10,132)	10,132	-
დაფარული სესხები	(3,798)	(420)	(4,355)	(8,573)
ჩამოწერილი წლის განმავლობაში	-	-	(16,647)	(16,647)
წინა ჩამოწერების აღდგენა	-	-	3,429	3,429
ცვლილებები საკრედიტო რისკში	4,357	4,148	5,203	13,708
საპროცენტო შემოსავლის კორექტირება	-	-	(1,011)	(1,011)
<b>ნაშთი წლის ბოლოს</b>	<b>3,515</b>	<b>1,905</b>	<b>9,995</b>	<b>15,415</b>

შესაბამისი მომრავა მომხმარებლებზე გაცემული სესხების მთლიან საბალანსო ღირებულებაში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შემდეგია:

	2024			სულ
	სტადია 1 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	სტადია 2 არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - არა გაუფასურებული:	სტადია 3 არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - გაუფასურებული:	
<b>ნაშთი წლის დასაწყისში</b>	<b>390,012</b>	<b>38,655</b>	<b>15,800</b>	<b>444,467</b>
ახალი სესხები	394,715	-	-	394,715
12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე გადატანა	12,362	(12,362)	-	-
გადატანა არ გაუფასურებულ არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	(30,390)	32,839	(2,449)	-
გადატანა გაუფასურებულ არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	-	(16,968)	16,968	-
დაფარული სესხები	(291,871)	(17,511)	(6,803)	(316,185)
ჩამოწერილი წლის განმავლობაში	-	-	(16,647)	(16,647)
წინა ჩამოწერების აღდგენა	-	-	3,429	3,429
სხვა ცვლილებები	717	959	4,425	6,101
<b>ნაშთი წლის ბოლოს</b>	<b>475,545</b>	<b>25,612</b>	<b>14,723</b>	<b>515,880</b>

## სს „მიკრობანკი კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათას ლარში)

### 14. წმინდა ინვესტიცია იჯარებში

საიჯარო გადახდების მოთხოვნა და მათი დღევანდელი ღირებულება - ინვესტიციები იჯარებში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოკლებით 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთი იყო:

	დასაფარი 1 წლის ვადაში	დასაფარი 1-5 წლის ვადაში	სულ
<b>საიჯარო გადახდების მოთხოვნა</b>	<b>13,055</b>	<b>13,565</b>	<b>26,620</b>
გამოკლებული: გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავალი	(969)	(8,789)	(9,758)
<b>ინვესტიცია იჯარებში</b>	<b>12,086</b>	<b>4,776</b>	<b>16,862</b>
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(498)	(175)	(673)
<b>წმინდა ინვესტიცია იჯარებში</b>	<b>11,588</b>	<b>4,601</b>	<b>16,189</b>

საიჯარო გადახდების მოთხოვნა და მათი დღევანდელი ღირებულება - ინვესტიციები იჯარებში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოკლებით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთი იყო:

	დასაფარი 1 წლის ვადაში	დასაფარი 1-5 წლის ვადაში	სულ
<b>საიჯარო გადახდების მოთხოვნა</b>	<b>11,579</b>	<b>12,524</b>	<b>24,103</b>
გამოკლებული: გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავალი	(846)	(8,344)	(9,190)
<b>ინვესტიცია იჯარებში</b>	<b>10,733</b>	<b>4,180</b>	<b>14,913</b>
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(438)	(155)	(593)
<b>წმინდა ინვესტიცია იჯარებში</b>	<b>10,295</b>	<b>4,025</b>	<b>14,320</b>

მოდრაობა გაუფასურების რეზერვში 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შემდეგია:

	2025			სულ
	სტადია 1 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	სტადია 2 არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - არა გაუფასურებული:	სტადია 3 არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - გაუფასურებული:	
<b>ნაშთი წლის დასაწყისში</b>	<b>150</b>	<b>109</b>	<b>334</b>	<b>593</b>
ახალი წარმოშობილი აქტივები	274	-	-	274
12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე გადატანა	-	-	-	-
გადატანა არ გაუფასურებულ არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	(371)	371	-	-
გადატანა გაუფასურებულ არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	-	(385)	385	-
გადახდილი აქტივები	(101)	(23)	(76)	(200)
დასაკუთრებული აქტივები	-	(36)	(256)	(292)
ცვლილებები საკრედიტო რისკში	225	39	34	298
<b>ნაშთი წლის ბოლოს</b>	<b>177</b>	<b>75</b>	<b>421</b>	<b>673</b>

## სს „მიკრობანკი კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათას ლარში)

შესაბამისი მოძრაობა მთლიან საბალანსო ღირებულებაში 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შემდეგია:

	2025			სულ
	სტადია 1 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	სტადია 2 არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - არა გაუფასურებული:	სტადია 3 არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - გაუფასურებული:	
<b>ნაშთი წლის დასაწყისში</b>	<b>11,164</b>	<b>1,629</b>	<b>2,120</b>	<b>14,913</b>
ახალი წარმოშობილი აქტივები	10,167	-	-	10,167
12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე გადატანა	-	-	-	-
გადატანა არ გაუფასურებულ არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	(4,004)	4,004	-	-
გადატანა გაუფასურებულ არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	-	(2,713)	2,713	-
გადახდილი აქტივები	(5,009)	(371)	(529)	(5,909)
დასაკუთრებული აქტივები	(8)	(504)	(1,797)	(2,309)
<b>ნაშთი წლის ბოლოს</b>	<b>12,310</b>	<b>2,045</b>	<b>2,507</b>	<b>16,862</b>

მოძრაობა გაუფასურების რეზერვში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შემდეგია:

	2024			სულ
	1-ლი სტადია 12- თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მე-2 სტადია არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - არა გაუფასურებული	მე-3 სტადია არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - გაუფასურებული	
<b>ნაშთი წლის დასაწყისში</b>	<b>48</b>	<b>6</b>	<b>387</b>	<b>441</b>
ახალი წარმოშობილი აქტივები	209	-	-	209
12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე გადატანა	-	-	-	-
გადატანა არ გაუფასურებულ არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	(88)	88	-	-
გადატანა გაუფასურებულ არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	-	(56)	56	-
გადახდილი აქტივები	(21)	-	(77)	(98)
დასაკუთრებული აქტივები	-	-	(33)	(33)
ცვლილებები საკრედიტო რისკში	2	71	1	74
<b>ნაშთი წლის ბოლოს</b>	<b>150</b>	<b>109</b>	<b>334</b>	<b>593</b>

## სს „მიკრობანკი კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათას ლარში)

შესაბამისი მოძრაობა მთლიან საბალანსო ღირებულებაში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შემდეგია:

	2024			სულ
	სტადია 1 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	სტადია 2 არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - არა გაუფასურებული:	სტადია 3 არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - გაუფასურებული:	
<b>ნაშთი წლის დასაწყისში</b>	<b>9,946</b>	<b>1,070</b>	<b>1,844</b>	<b>12,860</b>
ახალი წარმოშობილი აქტივები	9,425	-	-	9,425
12-თვიანი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე გადატანა	-	-	-	-
გადატანა არ გაუფასურებულ არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	(3,332)	3,332	-	-
გადატანა გაუფასურებულ არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	-	(2,422)	2,422	-
გადახდილი აქტივები	(4,806)	(165)	(378)	(5,349)
დასაკუთრებული აქტივები	(69)	(186)	(1,768)	(2,023)
<b>ნაშთი წლის ბოლოს</b>	<b>11,164</b>	<b>1,629</b>	<b>2,120</b>	<b>14,913</b>

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საინვესტიციო სექტორების მიხედვით 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მთლიანი საბალანსო ღირებულება	ზარალის რეზერვი	საბალანსო ღირებულება
მშენებლობა	6,818	(299)	6,519
მომსახურება	2,462	(49)	2,413
ვაჭრობა	2,337	(70)	2,267
ტრანსპორტირება და ლოგისტიკა	2,334	(106)	2,228
სოფლის მეურნეობა	802	(67)	735
წარმოება	748	(12)	736
სილამაზე და ჯანდაცვა	650	(9)	641
სამომხმარებლო სესხი	153	(1)	152
ავტომობილის და ავტო ნაწილების დილერები	132	(22)	110
მეცნიერება და განათლება	140	(37)	103
სხვა	286	(1)	63
<b>წმინდა ინვესტიცია იჯარებში</b>	<b>16,862</b>	<b>(673)</b>	<b>16,189</b>

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საინვესტიციო სექტორების მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მთლიანი საბალანსო ღირებულება	ზარალის რეზერვი	საბალანსო ღირებულება
მშენებლობა	4,775	(130)	4,645
ტრანსპორტირება და ლოგისტიკა	2,761	(137)	2,624
მომსახურება	2,225	(47)	2,178
ვაჭრობა	1,754	(106)	1,648
წარმოება	944	(22)	922
სოფლის მეურნეობა	808	(105)	703

## სს „მიკრობანკი კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათას ლარში)

სილამაზე და ჯანდაცვა	633	(43)	590
სამომხმარებლო სესხი	254	-	254
ავტომობილის და ავტო ნაწილების დილერები	157	-	157
მეცნიერება და განათლება	140	-	140
სხვა	462	(3)	164
<b>წმინდა ინვესტიცია იჯარებში</b>	<b>14,913</b>	<b>(593)</b>	<b>14,320</b>

### 15. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

შენობა-ნაგებობები და საოფისე ფართები წარმოდგენილი ჯგუფის ფილიალების ქსელით, რომლებიც ქვეყნის მასშტაბით არის დაქირავებული; ავტოსატრანსპორტო საშუალებები მოიცავს ტრანსპორტირების მომსახურებებს, რომლებსაც ქირაობს ჯგუფი ავტომობილების მძღოლებთან ხელშეკრულების გაფორმების გზით. საშუალო შეწონილი იჯარის ვადა აქტივების გამოყენების უფლებისთვის 2025 წლის 31 დეკემბრის და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 7.4 და 7.0 წელს შეადგენს, შესაბამისად.

	შენობა-ნაგებობები და საოფისე ფართები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	სულ
<b>თვითღირებულება</b>			
ნაშთი 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	28,009	2,443	30,452
შემოსვლები	1,193	98	1,291
გაუქმება	(25)	(139)	(164)
მოდულიზაცია და სხვა ცვლილებები	6,499	14	6,513
<b>ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>35,676</b>	<b>2,416</b>	<b>38,092</b>
<b>ცვეთა</b>			
ნაშთი 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(17,108)	(1,668)	(18,776)
ცვეთა წლის განმავლობაში	(3,533)	(249)	(3,782)
<b>ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>(20,641)</b>	<b>(1,917)</b>	<b>(22,558)</b>
<b>საბალანსო ღირებულება</b>			
<b>2025 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>15,035</b>	<b>499</b>	<b>15,534</b>

	შენობა-ნაგებობები და საოფისე ფართები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	სულ
<b>თვითღირებულება</b>			
ნაშთი 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	22,067	2,009	24,076
შემოსვლები	1,157	-	1,157
გაუქმება	(225)	-	(225)
იჯარების მოდიფიცირება	5,010	434	5,444
<b>ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>28,009</b>	<b>2,443</b>	<b>30,452</b>
<b>ცვეთა</b>			
ნაშთი 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(13,153)	(1,442)	(14,595)
ცვეთა წლის განმავლობაში	(3,955)	(226)	(4,181)
<b>ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>(17,108)</b>	<b>(1,668)</b>	<b>(18,776)</b>
<b>საბალანსო ღირებულება</b>			
<b>2024 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>10,901</b>	<b>775</b>	<b>11,676</b>

# სს „მიკრობანკი კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათას ლარში)

მოძრაობა საიჯარო ვალდებულებებში 2025 და 2024 წლებში იყო შემდეგი:

	2025	2024
ნაშთი 1 იანვარს	12,399	9,689
შემოსვლები	1,277	1,157
გაუქმება	(178)	(225)
მოდულიზაცია და სხვა ცვლილებები	6,534	5,281
საპროცენტო ხარჯი	1,009	937
საკურსო სხვაობით განპირობებული ზარალი/(შემოსულობა)	(466)	400
იჯარის პროცენტის დაფარვა	(664)	(880)
იჯარის ძირითადი თანხის დაფარვა	(4,150)	(3,960)
<b>სულ</b>	<b>15,761</b>	<b>12,399</b>
<b>მოგება-ზარალში აღიარებული თანხები</b>	<b>2025</b>	<b>2024</b>
ცვეთის ხარჯი	(3,782)	(4,181)
საპროცენტო ხარჯი	1,009	(937)
საკურსო სხვაობით განპირობებული (ზარალი)/შემოსულობა	(466)	(400)
მოკლევადიან იჯარებსა და დაბალფასიან მუხლებთან დაკავშირებული ხარჯები	(663)	(470)
შემოსულობა იჯარის გაუქმებიდან	(21)	163
<b>სულ</b>	<b>(3,923)</b>	<b>(5,825)</b>

## 16. ძირითადი საშუალებები

	ავტოსატრანსპორტო			საიჯარო ქონების			სულ
	შენიშნა- ნაგებობები	პორტო	ავეჯი	IT აღჭურვილობა	გაუმჯობესება	სხვა	
<b>თვითღირებულება</b>							
2025 წლის 1 იანვარს	107	1,354	1,684	7,480	7,524	4,473	22,622
შემოსვლები	-	191	250	1,733	679	739	3,592
გასვლა	-	(71)	(36)	(398)	-	(125)	(630)
<b>2025 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>107</b>	<b>1,474</b>	<b>1,898</b>	<b>8,815</b>	<b>8,203</b>	<b>5,087</b>	<b>25,584</b>
<b>დაგროვილი ცვეთა</b>							
2025 წლის 1 იანვარს	(61)	(1,078)	(1,409)	(4,707)	(6,354)	(3,663)	(17,272)
ცვეთა წლის განმავლობაში	(4)	(117)	(70)	(865)	(532)	(193)	(1,781)
გასვლისას ელიმინირებული	-	68	32	395	-	118	613
<b>2025 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>(65)</b>	<b>(1,127)</b>	<b>(1,447)</b>	<b>(5,177)</b>	<b>(6,886)</b>	<b>(3,738)</b>	<b>(18,440)</b>
<b>საბალანსო ღირებულება</b>							
2025 წლის 31 დეკემბერს	<b>42</b>	<b>347</b>	<b>451</b>	<b>3,638</b>	<b>1,317</b>	<b>1,349</b>	<b>7,144</b>
<b>თვითღირებულება</b>							
2024 წლის 1 იანვარს	105	1,186	1,508	6,870	6,902	4,439	21,010
შემოსვლები	-	210	98	1,069	621	469	2,467
გასვლა	2	(42)	78	(459)	1	(435)	(855)
<b>2024 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>107</b>	<b>1,354</b>	<b>1,684</b>	<b>7,480</b>	<b>7,524</b>	<b>4,473</b>	<b>22,622</b>
<b>დაგროვილი ცვეთა</b>							
2024 წლის 1 იანვარს	(57)	(1,071)	(1,307)	(4,309)	(6,285)	(3,994)	(17,023)
ცვეთა წლის განმავლობაში	(4)	(73)	(57)	(694)	(436)	(120)	(1,384)
გასვლისას ელიმინირებული	-	66	(45)	296	367	451	1,135
<b>2024 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>(61)</b>	<b>(1,078)</b>	<b>(1,409)</b>	<b>(4,707)</b>	<b>(6,354)</b>	<b>(3,663)</b>	<b>(17,272)</b>
<b>საბალანსო ღირებულება</b>							
2024 წლის 31 დეკემბერს	<b>46</b>	<b>276</b>	<b>275</b>	<b>2,773</b>	<b>1,170</b>	<b>810</b>	<b>5,350</b>

## სს „მიკრობანკი კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათას ლარში)

სხვა ძირითადი საშუალებები უმეტესად მოიცავს უსაფრთხოების სისტემებს და გენერატორებს. 2025 წლის 31 დეკემბრის და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრულად ამორტიზებულმა ერთეულებმა, რომლებიც კვლავ გამოყენებულია შესაბამისად შეადგინა 11,021 ათასი და 10,560 ათასი ლარი.

### 17. არამატერიალური აქტივები

	არამატერიალური აქტივები
<b>თვითღირებულება</b>	
<b>2024 წლის 1 იანვარს</b>	<b>10,452</b>
შემოსვლები	2,741
გასვლები	(3,738)
<b>2024 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>9,455</b>
შემოსვლები	4,892
გასვლები	(1,222)
<b>2025 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>13,125</b>
<b>დაგროვილი ამორტიზაცია</b>	
<b>2024 წლის 1 იანვარს</b>	<b>(6,189)</b>
წლის ამორტიზაცია	(1,871)
გასვლები	3,390
<b>2024 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>(4,670)</b>
წლის ამორტიზაცია	(2,166)
გასვლისას ელიმინირებული	1,222
<b>2025 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>(5,614)</b>
<b>საბალანსო ღირებულება</b>	
<b>2024 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>4,785</b>
<b>2025 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>7,511</b>

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფას და ლიცენზიებს, მათ ადგილობრივად შემუშავებულ პროგრამულ უზრუნველყოფას წმინდა სააღრიცხვო ღირებულებით 2,664 ათასი ლარი (2024 წ.: 1,677 ათასი ლარი).

### 18. სხვა აქტივები

	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
სხვა მოთხოვნები	2,179	1,889
სხვა მოთხოვნები ლიზინგზე	2,158	1,878
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(1,449)	(313)
<b>სულ სხვა ფინანსური აქტივები</b>	<b>2,888</b>	<b>3,454</b>
დასაკუთრებული აქტივები	2,902	2,784
იჯარით გასაცემი აქტივები	4,369	1,720
გადახდილი ავანსი	1,237	820
მარაგები	157	133
